

# ლიტერატურული გაზეთი

№10 (122) 23 მაისი - 5 ივნისი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

## გივი ალხაზიშვილი

### ერთად ვრანა

ის გულში დაგრჩა  
დაჭასავით ისევ ლივლივებ;  
სხვა ვინ დაგვეძებს,  
ერთმანეთით დაობლებულებს?!

სულ აღარავინ,  
მაგრამ თითქოს ვიგულისხმებით,  
სქოლიოდან რომ ვეზიდებით საკუთარ ფიქრებს  
და ჩვენ ვნერთ და ვშლით სიცოცხლის კვალს  
და კვალთან ერთად ვუჩინარდებით,  
ვერებით აქ და ვარსებობთ სადღაც.

ხან მავინყდება, რომ დავინყება  
ათასში ერთხელ მაინც მისხენებს,  
როდესაც თავი მიავინყდება —  
ისე თვლემს ჩემში,  
როგორც მამის ბოძებულ სახლში...

სულში დროდადრო ვილაც იღვიძებს  
და ჩემთან ერთად ფრენა უნდება  
და სადაც გული დარჩა ოდესღაც,  
მოხუჭავს თვალს და იქ მიბრუნდება.

IV



## როსტომ ჩხეიძე

### საკრამენტო

წინასიტყვაობის მაგიერ ბიოგრაფიული რომანისა  
„ღევების სტუმარი (ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ქრონიკა)“

— ამით მინდოდა დამეწყო „ტრაგიკული ნიღბები“... ამით გამეხსნა... რა არის, არა, მაინც რა არის, იმედა რაზიკაშვილი კაკლის ქვეშ რომ ზის და ქალამნებს ასხამს, საიდნაც დაჭრილი ხარ-ირემი მოვარდება და მის წინ დაენარცხება. იმედა ირემს ილლიდან ისარს ამოაცლის და მის გატყავებას შეუდგება. მონადირე დაადგება თავზე და მოსთხოვს: დაანებე თავი ირემს, რადგანაც შენ არ გეკუთვნისო, — მაგრამ იმედა წარბსაც არ შეიხრის: ჩემიაო. ის გაგულისდება: თუ შენია, აბა, მითხარი, რითი მოჰკალიო, — და: ამითაო, — იმედამ სადგისი უნდა აჩვენოს, ქალამნებს რითაც ასხამდა, — ეს ვატაკე და მოვკალიო. და მონადირეს პირში ჩალაგამოვლებულს გაისტუმრებდა. აა, როგორია!.. არა, როგორია! ეს ვატაკე და მოვკალიო, — სადგისი შეათამაშა... ამ ეპიზოდით მინდოდა დამეწყო, თავიდან ცოტა სხვაგვარად მქონდა ეს წიგნი ჩაფიქრებული, მაგრამ წერისას სულ სხვაგვარად გაიშალა თხრობა და... რა მექნა, შეველიე — იქ აღარ მოუხდებოდა... ძალიან ამოვარდნილი გამოჩნდებოდა, თორემ ერთხანს მაინც ვუტრიალე, ეგებ როგორმე მიეკეროს-მეთქი... თქვენ გამოიყენეთ, ვინმემ გამოიყენეთ, ვაჟაზე წიგნის დაწერა ვისაც მოგიწდებათ, ამით დაიწყეთ, დაიწყეთ რა!.. თამაზ ბიბილურსაც შევთავაზე, გამიხილა თუ არა, ვაჟაზე ბიოგრაფიული რომანის მსგავსი მინდა რაღაც დავწერო, მაშინვე ეს ეპიზოდი გავასხენე: ამით დაიწყე, შესავალში ძალიან წაგადგება-მეთქი. მხრები აიჩეჩა: შენ უფრო გამოგადგებოდა, სხვაგვარად რომ დაგწერა „ტრაგიკული ნიღბები“, მე კი თხრობაში ჩართვით აუცილებლად ჩავრთავ, მაგრამ მაინცდამაინც ამით წიგნის დაწყება? რა ვიცი, რა ვიციო!.. არადა, იმასაც ვუმტკიცებდი და თქვენც იცოდეთ, კომპოზიციური ქარგა სულაც ამ თქმულების ირგვლივ უნდა დატრიალდეს — აქედან მოდიოდა ვაჟა, ამ ფესვებიდან... აჰა, ამ სადგისით მოვკალიო... და იმან სიტყვის შებრუნება ვეღარ გაუბედა... ეს სურათია, რაც არის — სადგისშემართული რომ ადგას თავზე მოკლულ ხარი-ირემს... თითქოს მითოსიდან გადმოსული სახეა, ან რაღა თითქოს, სწორედ იქიდან არის შემოჭრილი ჩარგლის ყოფაში და თითქოს ამთლიანებს საკრალურობის იმ ნაშთებს, რაც ტრადიციული საზოგადოებიდან დარჩენილა ფშავ-ხევსურეთის საყმოების ცხოვრებაში, თვითონ ვაჟა-ფშაველასი არ იყოს, თავისი პიროვნებითაც რომ აღადგენდა საკრალურ სინამდვილეს... და ხიდი თავისთავად გაიდება იმედი რაზიკაულსა და მის შთამომავალს შორის... აი, ამ სადგისით მოვკალიო... უჰ, იმ პირველ ჩანაფიქრს რომ არ ავცდენოდი... ვინმემ გამოიყენეთ... თქვენ მაინც... შეიდი კაცი ხართ და, როგორ დავიჯერო, რომ ერთი მაინც არ დაწერთ წიგნს ვაჟაზე...

თამაზ ჩხენკელის მონოლოგებში, ანტიკური ქოროსთვისაც რომ მიუმსგავსებიათ, ესეც უნდა გამოჩნდეს, ეს ექსტაზური ამოფრქვევა.  
თავიდან ცოტა სხვაგვარად მქონდა ეს წიგნი ჩაფიქრებულიო...  
მთლად ბიოგრაფიულ რომანად თუ არა, ეტყობა, ერთგვარად ბელეტრიზებულ თხრობად, რომელიც მარჯვედ უნდა შემოვლებოდა თუ ჩაფენოდა მეცნიერულ კვლევას ვაჟა-ფშაველას პოემებში პიროვნების გარდაქმნის მითოსური საფუძვლის წარმოსაჩენად, მაგრამ პირვანდელი განზრახვანი ბევრჯერ შეცვლილა თუ სულაც პირწმინდად გადასხვაფერებულა და „ტრაგიკული ნიღბებიც“ მათ შორის უნდა ვიგულისხმეთ. ისე შეიკვროდა კომპოზიციურად და ვაჟას პოემების სადარ მონოგრაფიად ჩამოიქნებოდა, ერთადერთი ეს აკლდა გულს, იმედი რაზიკაულის ეპიზოდი რომ ვერ მოეხვედრებინა მის ქარგაში, თუმცა... ხომ შეიძლება სხვა ნარკვევებსა თუ ესეებში გამოიყენებინა, ვაჟას ირგვლივ რომ მოუყრიდა თანდათანობით თავს და ცალკე ციკლადც გამოკვეთდა?!.  
ჯერ თუ ვერსად ეპოვნა მისთვის ადგილი, ციკლი ხომ კვლავაც გრძელდებოდა და, რაკილა ხელის აღებას არ აპირებდა, სადმე როგორ ვერ ჩასვამდა იმ შთამბეჭდაობით, თვითონ როგორც უძგერებდა გულს მისი ყოველი გახსენება და „ტრაგიკული ნიღბების“ კომპოზიციური ღერძი კინაღამ მის ირგვლივ დაეტრიალებინა.  
ხოლო ის ბელეტრისტული ფონი თუ გარსი, მონოგრაფიაში გამოიყენებელი, თავისებურად დაინურებოდა ესეში „ვაჟა — მომავლის პოეტი“, რომლის ფინალურ მონაკვეთშიც პარალელიზმის ხერხის მოშველიებით თვალნათლივ წარმოისახებოდა ვაჟას ცნობიერების უცნაურობა — თუ რარივ შერწყმოდა მთაში მიყუყული მეომარი და მოლექსე ხალხის არქაული ხედვა ცივილიზებული ქართველი კაცის ფსიქოლოგიას.  
ერთი მხრივ ეს გახლდათ ვაჟა-ფშაველა:  
მინის მუშა და მონადირეა, თემისა და ქრისტიანული ოჯახის წესზე მდგარი ოჯახის წევრი.  
მეორე მხრივ:  
პეტერბურგში ნამყოფი განსწავლული მოქალაქე, რომელიც ოსტატურად თამაშობს ბილიარდს, ტფილისში ზოგჯერ ტროსტით დადის, ხოლო ზეპურ საზოგადოებაში უძვირფასეს სიგარას ეწევა, თუმც არ არის მწვეელი.  
ეს კაცი დაძინებისას ქრისტიანულ „ღმერთო შენითა და არა ჩვენი-თას“ ამბობს, და თანასოფელთა შორის გულგახსნილი ამაყად აცხადებს:  
— ნაწილიანი ვარ, ნაწილიანი!..  
ხოლო გულმოსულმა „საკრამენტოს“ ძახილით უნდა მოიხოს გული.

V



თემურ გაბუნია

# საპიზიტო ბარათი მწერლებსთვის

არსებობს ისეთი ზოგადსაკაცობრიო თემები, რომელთა შესახებაც თითქმის ყველა ეპოქის მწერალი წერდა და რომლებიც დროთა განმავლობაში ერთგვარ საეპიკურ ბარათებადაც კი იქცა მსოფლიო ლიტერატურაში საპატიო ადგილის დამკვიდრების მსურველთათვის...

რა თემებზეა საუბარი ან რომელი მწერლების შემოქმედებაში აისახა ისინი, ამის შესახებ ამ ნერილში მინდა გესაუბროთ.

## I ბაქცევა

ოიკოფობია ბერძნული სიტყვაა და ოჯახის, სახლის შიშს ნიშნავს.

2004 წელს ინგლისელმა ფილოსოფოსმა როჯერ სკრუტონმა თავის გახმაურებულ წიგნში „ფილოსოფოსი დოუ-ვერ ბიჩზე“ სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცა ტერმინ ოიკოფობიას. მან მიიჩნია, რომ სახლიდან წასვლის სურვილს ყველა ახალგაზრდა განიცდიდა გარკვეულ ასაკში და რომ ტრადიციული რელიგიური ფასეულობებისა და ადათ-წესების უარყოფაც ოიკოფობიის ერთ-ერთი გამოვლინება იყო...

ფსიქიატრები ოიკოფობიას სახლისა და სახლში არსებული ნივთების შიშს უწოდებენ...

ადამიანის ფსიქიკაში ოდითგანვე ღრმად იყო გამჯდარი მოგზაურობისა და თავგადასავლების ძიების სურვილი. წმინდა მამების გადმოცემით, ერთ-ერთი პირველი წარდგინადელი პატრიარქი, ვინც სახლიდან წასულა, იარედი გახლდათ. ის, ალბათ, კენის მოდგმის ხალხით დასახლებულ ქალაქებში მოგზაურობას უნდა მოეხიბლა, სადაც მეძავეებს დახარჯა მთელი თავისი ქონება, მერე კი მონანიე და სასწრაფო კეთილი მამას მუხლებში ჩაუვარდა და პატიება სთხოვა. სწორედ ამ ამბავს ეხება იგავი უძღვებელის შესახებ...


იარედის ეპოქის შემდეგ უამრავმა საუკუნემ ჩაიარა, სახლიდან წასვლისა თუ გაქცევის თემის კი აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს... თბილ და მყუდრო გარემოში ყოფნას კასრში ცხოვრებას ამჯობინებს ჰექსტონი ფინი. ის თავისი მეურვე ქვრივის ოჯახიდან გარბის და ტივით მისისიპიზე მოგზაურობს. ხალხმრავალი ქალაქიდან გაქცევაზე ოცნებობს ჰოლდენ კოლფილდი, ამ ლიტერატურული პერსონაჟის პროტოტიპი და შემქმნელი ჯერომ სელინჯერი კი თურმე ხუთი წლისაც არ ყოფილა, სახლიდან წასვლა რომ განუზრახავს. მასზე რამდენიმე წლით უფროს დასთან შეკამათების შემდეგ ჯერის ინდიელის ფორმა ჩაუცვამს, სათამაშოები ჩანთაში ჩაულაგებია და დისთვის განუცხადებია — აქედან სამუდამოდ მივდივარო. მერე კარგახანს მდგარა ზღურბლთან და როცა დედა დაბრუნდა, უთქვამს: წასვლას ვაპირებდი, მაგრამ შენთან გამოუმშვიდობებლად არ მომიხდაო.

სამშობლოდან გადახვეწის მძაფრი სურვილი ამოძრავებდა ირლანდიელ მწერალს, ჯეიმზ ჯოისსაც. ასევე მის უამრავ პერსონაჟს. საგულსხმოა, რომ მან ეს სურვილი რეალობად აქცია, ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში დატოვა ირლანდია და უკან აღარასოდეს დაბრუნებულა...

სახლიდან წასვლის ძლიერი სურვილი იყვნენ შეპყრობილნი სათავგადასავლო ლიტერატურის გამრეები, ასევე უკვე კლასიკად ქცეული საბავშვო და საყმაწვილო რომანების პერსონაჟებიც, ამიტომ, ალბათ, ურიდო არ იქნება, ზოგიერთ მათგანზე ვისაუბროთ...

## II ჰექსტონი ფინი და ჰოლდენ კოლფილდი

ლიტერატორები გარკვეულ მსგავსებას ხედავენ მარკ ტვენის ჰექსტონი ფინისა და ჯერომ სელინჯერის ჰოლდენ კოლფილდის შორის და მართლაც, მსოფლიო ლიტერატურაში მწიგნობად თუ მოიძებნება ორი ისეთი პერსონაჟი, ასე ძლიერ რომ ჰგავდნენ და, ამავდროულად, განსხვავდებოდნენ კიდევ ერთმანეთისაგან. ფინიცა და კოლფილდიც ფულისა და კონფორმისტული ცხოვრების მოძულენი არიან. ჰექს ურჩევნია ჩამოძინილსა და ნახ-



ევრად მშვიერს კასრში ეძინოს, ვიდრე მადლარსა და სუფთად ჩაცმულს ფუმფულსა საწოლში. მას გულს ურევს ისეთი საჭმლის ჭამა, რომელიც ადვილად მოიპოვება. „უნდა გავქვეულობო, ტომ, ეს აუცილებელი იყო! სულ მალე მეცადინებო და იწყებო და ახლა სკოლაში მაიძულებენ სიარულს; ამას კი ვეღარ ავიტან! ხომ ხედავ, ტომ, სიმდიდრეც არაფერი არ ყოფილა, მისგან მხოლოდ უსამოვნება გეოხს და სიკვდილს ნატრობ. ამ ჩემს ნაგლეჯებს და ჩემს კასრს შევეჩვიე და ვერც მოვიშორებ. ამისთანა უბედურება არც დამატყდებოდა თავს, ის ტიალი ფული რომ არ ყოფილიყო. ტომ, შენთვის მომიცია ჩემი ნილიც, ისე მოიხმარე, როგორც შენი ფული. მე კი ზოგჯერ მომეცა ათი ცენტი, ისიც ხშირად არ მინდა, რადგან მე ის მომწონს, რაც ადვილად არ იშოვება...“ აი, როგორ ხსნის თავის გაქცევის მიზეზებს ჰექსტონი ფინი.

„ტომ სოიერი არასოდეს მყვარებია, ერთობ თავდაჯერებული ვინმეა“, იტყვის ჯინ სტიანთან საუბარში ფოლკნერი, მაშინ როდესაც უსაყვარლეს ლიტერატურულ გამრებს შორის ტვენის ორ პერსონაჟს დასახლებებს: ჰექს ფინსა და ჯიმს. მაინც რატომ მოიძულა ფოლკნერმა ასე ტომი? ტომს სინანულის გრძნობა საერთოდ არ გააჩნია, ის ყოყონია, ამპარტავანი და თვითკმაყოფილი. ჰექსი კი პირიქით, მეგობრისგან განსხვავებით, გამოუმეზულ შინაგან ბრძოლაშია, სურს, ყველასთან პირნათელი იყოს, ხანდახან ლოცვაც კი მოუწდება, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან გრძნობს, რომ მხოლოდ მართალი ადამიანის ლოცვას აქვს ფასი, საკუთარი თავი კი უღირსად და ცრუპენტელად მიაჩნია. ჰექს აქვს პოტენციალი, რომ ოდესმე მორწმუნე გახდეს, ბევრი დადებითი თვისებაც გააჩნია, შეუძლია, სრულად უანგაროდ დაეხმაროს განსაცდელში მყოფს, მეტიც, მისთვის თავიც კი განიროს, თვითონ კი ჩრდილში დარჩეს, რასაც ვერ ვიტყვით ტომზე, რომელსაც განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანივით ყურადღების ცენტრში ყოფნა ურჩევნია. ჰექსი ქარივით თავისუფალია, მას სძულს ცხოვრება მდიდრულ, სულისმემუთველ სახლებში, სამაგიეროდ უყვარს ტყე, მდინარე, ღამის გათევა კასრებში... სწორედ ამიტომ გარბის, მით უმეტეს, რომ ლოთი მამისგან რეალური საფრთხეც ემუქრება...

გაქცევა ერთ-ერთი ძირითადი თემაა ჯერომ სელინჯერისთვისაც. გავისხნოთ ჰოლდენ კოლფილდის ცნობილი მონოლოგი რომანიდან „თამაში ჭვავის ყანაში“: „ვიფიქრე, ვიფიქრე და გადავწყვიტე, აქაურობას გავტოვდი. აღარც მინდა დაბრუნებულიყავი და აღარც სხვა სკოლაში შეესულიყავი...“

სადმე ქოხს ავიშენებ და იქ გავატარებ მთელს ჩემს სიცოცხლეს. ქოხს ტყის ნაპირას დავიდგამ, შიგ ტყეში არა, რადგან სულ მზეში მინდა, ვიყო. საჭმელს მე თვი-

თონ მოვიმზადებ.“ ჰოლდენს სურს, ყრუმუხჯობა მოიგონოს, ხოლო, თუ ცოლის შერთვა მოუხდა, გამოძებნოს ვინმე ლამაზი გოგო, მასავით ყრუ-მუნჯი. ბავშვები თუ გაუწნდათ, სადმე გადამალავენ, წიგნებს უყიდიან და თავადვე ასწავლიან წერა-კითხვას. აი, ასეთ უცნაურ გაქცევაზე ოცნებობს ჰოლდენ კოლფილდი. საგულსხმოა, რომ ჰექსტონი ფინსაც ქალაქიდან უნდა წასვლა, მიყრუებულ, უკაცრიელ ადგილას. ტყე მისთვისაც თავისუფალი ცხოვრების სიმბოლოა. მდიდრულ სახლში ცხოვრებაზე არც ჰექსი ოცნებობს და არც ჰოლდენი, ერთს კასრი იზიდავს, მეორეს — ქოხი. სელინჯერის პერსონაჟს გულს ურევს სკოლის დირექტორი თარმერი, რომელიც მდიდარ მშობლებს ელაქუცება, ღარიბებს კი მხოლოდ ფორმალურად ესალმება და საუბრის ღირსადაც არ თვლის. ჰექსის არ იყოს, ჰოლდენსაც სძულს ფული და ფულის დიქტატურას დაქვემდებარებული ადამიანები. აი, როგორ ჰგავს ეს ორი პერსონაჟი ერთმანეთს, თუმცა მათ შორის თვალშისაცემი განსხვავებაცაა. ტვენის ლიტერატურულ გმირს გაქცევის სურვილს უძლიერებს ისიც, რომ რელიგიური ცხოვრებას აძალბებენ. ის ვერ იტანს, მისი ალმურდელი ქვრივი დღენიდაგ რომ ლოცულობს, მას კი აძულებს ეკლესიაში იაროს და მოსაწყენ ქადაგებებს უსმინოს. ჰექს ლოცვას თამბაქოს ლეჭვა და ჩიბუხის გაბოლება ურჩევნია, ზრდილობიან საუბარს კი — გინება... ამრიგად, მარკ ტვენის რაღაც ახალ ესთეტიკას გვთავაზობს: სუფთა ჩაცმულობის ნაცვლად ჭუჭყიანი ძონძები, ლოცვისა და ზრდილობიანი საუბრის ნაცვლად — გინება, უფროსებისადმი დაუფორჩილებლობა, ბიბლიისა და ეკლესიისადმი ირონიული დამოკიდებულება...

გავისხნოთ, როგორ აღიზიანებს ჰექს ძველი ალტქმის ამბების მოსმენა, ვერაფრით აუხსნია, რატომ უჭედავენ ყურებს მოსეს ისტორიებით, რომელიც თურმე დიდი ხნის წინ გარდაცვლილა. მას ხომ მკვდარი ხალხი სრულიადაც არ აინტერესებს. ჰექს სასაცილოდაც არ ჰყოფნის სამოთხესა და ჯოჯოხეთზე საუბრები. ჯოჯოხეთში მოხვედრისაც არ ეშინია, პირიქით, ნატრობს კიდევ იქ ყოფნას, სადაც ტომ სოიერი იქნება. ტომის ადგილი კი, მის უოტსონის აზრით, ჯოჯოხეთშია. ამიტომ, ბუნებრივია, ჰექსაც იქ უნდა მოხვედრა. და, აი, გარკვეული პერიოდის შემდეგ ბავშვის ცხოვრებაში დგება კრიტიკული მომენტი, როცა არჩევანი უნდა გააკეთოს. მას ეჩვენება, რომ მის უოტსონს, რომელსაც მისთვის არაფერი დაუშავებია, უსატიოსნოდ მოექცა, ამასთანავე სინდისის ქენჯენასა და მძაფრ შინაგან ბრძოლას განიცდის. „ტანში ჟრუანტელმა დამიარა და თითქმის გადავწყვიტე კიდევ, რომ ვილოცებდი და ვეცდებოდი, უფრო უკეთესი ბიჭი გავმცხადარიყავი. დავიჩოქე, მაგრამ ვერ ვლოცულობდი. რატომ ვერ ვლოცულობდი? ... იმიტომ, რომ ალალი გულით არ ვიყავი, იმიტომ, რომ პატიოსნად არ ვიქცეოდი...“ და, აი, ჰექსი წერილს წერს მის უოტსონს, ატყობინებს, ზანგი რომ დაიჭირეს და თხოვს, გამოისყიდოს, მაგრამ, უნებლიედ, აგონდება, როგორ უთხრა ჯიმში, ჩემი ერთადერთი მეგობარი ხარო და წერილს დახვეს. „რაც იქნება იქნება, ისევ ჯოჯოხეთი იყოს“, ამბობს ჰექსი, რადგან მიაჩნია, რომ ბავშვობიდან ნაჩვევი სიაკაცე უფრო შეფერის...

ეს უკვე არჩევანია, რომელსაც ცამეტი წლის ბიჭი აკეთებს...

დაიხ, ტომი და ჰექსი ბავშვები არიან, ამიტომ მათი საუბრები რელიგიაზე, წესით, სერიოზულად არც უნდა აღვიქვათ, მაგრამ, თუ კარგად ჩაუფიქრებდით იმას, რასაც ტომი ჰექსს სთავაზობს და, ფაქტობრივად, რითიც ითანხმებს, შინ დაბრუნდეს, უმალ მივხვდებით, რომ საქმე მიაშიტურ ბავშვურ ფანტაზიებს არ ეხება და რომ მწერლის მსოფლმხედველობაზე გარკვეული გავლენა მოუხდენია სენტლუისის თავისუფალ ქვისმთელთა საზოგადოებაში ყოფნას, რომელშიც 1861 წლის 22 მაისს გაწვერიანდა, 10 ივლისს კი ოსტატიც გახდა. გავისხნოთ, როგორ არწმუნებს ტომი მეგობარს, კასრში ცხოვრებას თავი დაანებოს და ქვრივთან დაბრუნდეს. მისი აზრით, სიმდიდრე ჰექსს ხელს არ შეუშლის ყაჩაღობაში, პირიქით, თუ რიგაინად არ ჩაიცვა, თავის რაზმში არც

მიიღებს. ის მეგობარს უხსნის, რა სხვაობაცაა მეკობრესა და ყაჩაღს შორის. „ყაჩაღი მეკობრეზე გაცილებით მეტია! თითქმის ყველა ქვეყანაში ისინი კეთილშობილი წარმოშობისანი არიან, ჰერცოგები, ან სხვები“. ტომი პირდება, რომ მალე შეყრის ბიჭებს, რათა ყაჩაღებად აკურთხოს. ფიცი თურმე აუცილებლად შუალამისას უნდა დადონ, რაც შეიძლება მიყრუებულ ალაგას, ბოროტი სულებითა და მოჩვენებით სახე სახლში ან სასაფლაოზე. ხომ არ გავს ტომის მიერ მოფიქრებული ყაჩაღად კურთხევის რიტუალი საიდუმლო სამომში მიღებისას? გავისხნოთ ბიბლიურ საზოგადოებაში პიერ ბეზუხოვის მიღების სცენა ლევ ტოლსტოის რომანიდან „ომი და მშვიდობა“. პიერიც არისტოკრატია, ისიც სიბნელეში სადაც მიტოვებულ შენობაში შეყავთ და ფიცს ადებინებენ... მარკ ტვენთან რიტუალი სასაფლაოზე სრულდება, პიერ ბეზუხოვს კუმბოში აწვენენ...

ჰექსისგან განსხვავებით სელინჯერის პერსონაჟის, ჰოლდენ კოლფილდის, სახლიდან წასვლის გადაწყვეტილებაში თავს მოხვეულ რელიგიური აღზრდას არანაირი როლი არ უთამაშია, ჰოლდენი არც ანტირელიგიური მსოფლმხედველობით გამოირჩევა. მართალია, ლოცვას ვერც ის ახერხებს, რადგან გაორებულ მდგომარეობაშია მშობლების სხვადასხვა აღმსარებლობის გამო, მაგრამ ქრისტი უყვარს (საგულსხმოა, რომ სელინჯერიც მსგავს რელიგიურ გაორებას განიცდიდა სიყმანველით, დედა კათოლიკე ყავდა, მამა კი — იუდეველი, ასე რომ, მათ ოჯახში შობასაც აღნიშნავდნენ და ხანუკასაც). მოგვიანებით მწერლის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ქრისტიანული თემატიკა („ფრენი და ზუი“), მისი გვიანდელი ნაწარმოებები კი რელიგიურ ტრაქტატებს დაემსგავსება, რის გამოც გააკრიტიკებენ...

ამრიგად, ჰექსტონი ფინსა და ჰოლდენ კოლფილდს შორის უფრო მეტი სხვაობაა, ვიდრე მსგავსება...

## III საერთო თემატიკა

ლევ ტოლსტოი შეიძლება, მივიჩნიოთ მწერლად, რომელმაც ერთგვარად შეაჯამა მთელი ის გლობალისტური ტენდენციები, რომლებიც მსოფლიო ლიტერატურაში მანამდე არსებობდა. მაინც რომელ ტენდენციებზეა საუბარი? წინააღობის ძიების ხანის მწერალმა, ჯოჯონი ბოკაჩომ, თავისი „დეკამერონით“ მძლავრი იმპულსი მისცა სასულიერო პირების დაცემულ და გაორებულ ადამიანებად წარმოჩენას, ხოლო უილიამ შექსპირის „რომეო და ჯულიეტამ“ კი — ისეთი ნაწარმოებების შექმნას, რომელთა მთავარი გმირებიც ნათელ ფერებში დახატული თვითმკვლელები იყვნენ. საგულსხმოა, რომ ამ ტენდენციებს იზიარებდნენ თავიანთ თანამედროვეებსა და მომავალ თაობებზე უდიდესი გავლენის მქონე მწერლები: ბალზაკი, სტენდალი, დიუმა, ჰიუგო, სტიინბეკი და, რაღა თქმა უნდა, ტოლსტოიც... მოდით, თავდაპირველად გავისხნოთ ის სასულიერო პირები, რომლებიც ამ მწერლებს დაცემულ, გაორებულ, უარყოფით ან გარტყესკულ ადამიანებად ჰყავთ გამოყვანილი:

1) მამა სერგი (ტოლსტოის ამავე დასახელების მოთხრობიდან) — არისტოკრატია, რომელიც უმალესი საზოგადოების ბიწიერებას გაერიდა, სანიშნო მოძღვარი გახდა, მაგრამ წლების შემდეგ მანაც შესცოდა, თანაც გარეგნობით არაფრით გამოირჩეულ, გონებრივად განუვითარებელ გლეხის გოგოსთან;

2) აბატი კარლოს ერერა — ბალზაკის რომანიდან „კურტიზანთა ბრწყინვალეობა და სილატაკე“. ამ სასულიერო პირის სახელსა და გვარს ამოფარებულ ავაზაკის ინტრიგებს რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე ეწირება;

3) სტენდალის „წითელი და შავის“ პერსონაჟი ჟულიენ სორელი. ჟულიენს სასულიერო პირად განდგომა მხოლოდ კარიერისტული მიზნების გამო სურდა. სასიყვარულო ისტორიებში გახლართულს, მოგვიანებით, თავისი საყვარლის მკვლელობის მცდელობისთვის სიკვდილით სჯიან. ასე უიღბლოდ სრულდება მისი ცხოვრება და, რაღა თქმა უნდა, კარიერაც;

4) საფრანგეთისთვის თავდადებული ისტორიული პირი კარდინალი რიმელიე,



რომელსაც ვითომდაც ანა ავსტრიელი უყვარს. დიუმას რომანებში მას, რატომღაც, დაუსრულებლად აბამპულელებს გამოგონილი პერსონაჟები, მუშკეტერები, რომლებიც იმ დროს, როდესაც საფრანგეთი საომარ მდგომარეობაშია ინგლისთან, ლორდ ბეკინგემისა და ანა ავსტრიელის პრესტიჟის გადარჩენისთვის იბრძვიან, თანამემამულეებს ხოცავენ და ხელს უშლიან პატრიოტ კარდინალს, ამხილოს მეფისა და საფრანგეთის მოღალატე, ზეეროვნული სიყვარულის ქურუმი, ანა ავსტრიელი...

გლობალისტურ ტენდენციებს ერთგვარი ხარკი გადაუხადა ჰიუგომ „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“ გამოყვანილი უარყოფითი სასულიერო პირით — მამაკლოდით, სტაინბეკმა კი — კეისით („მრისხანების მტევნები“), მხტომელთა სექტის წევრით, რომელიც მექალთანე და ნათლობის საიდუმლოში დაეჭვებული მღვდელია. როგორც ვხედავთ, ძალზედ შთაბეჭდავი გალერეაა, თუმცა არანაკლებ წარმომადგენლობითია თვითმკვლელ პერსონაჟთა პორტრეტების შემქმნელ მწერალთა ჩამონათვალიც, რომელშიც კვლევა ტოლსტოის ფიგურირებს თავისი ცნობილი ანა კარენინათი. ამ ლიტერატურული გმირის გვერდით გამოფენილია თვითმკვლელთა სხვა გამორჩეული პორტრეტებიც: მარტინ იდენი (ჯეკ ლონდონის რომანიდან); ნილსენ ნაგელი (კნუტ ჰამსუნის „მისტერიები“); კონსტანტინ ტრეპლიოვი (ჩეხოვის „თოლია“); სიმონ გლასი (ჯერომ სელინჯერის მოთხრობიდან „ბანანათევზას ამინდი“); ქვენტინ კომპსონი (უილიამ ფოლკნერი „ხმაური და მძინვარება“) და სხვა...

დროთა განმავლობაში ამ ორ თემას, თვითმკვლელთა დადებით პერსონაჟებად, ხოლო სასულიერო პირების გაორებულ და დაცემულ ადამიანებად წარმოჩენას, შეემატა მესამეც — მწერლებმა დაიწყეს საიდუმლო სამოქმედო ნებების პორტრეტების ნათელი ფერებით დახატვა. ლევ ტოლსტოიმ „ომი და მშვიდობის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი, პიერ ბუზუხოვი, არათუ კეთილშობილ და გულსხმიერ ადამიანად გამოიყვანა, არამედ ეროვნულ გმირადაც, რომელიც ჩამორჩენილი რუსეთის სიბნელიდან დასახსნელად მზად იყო, სენატის მოედანზე გასულიერო და ტყვეებისთვის შეეშვირა თავი. ამრიგად, ტოლსტოიმ ერთგვარად შეაჯამა კიდევ ლიტერატურაში მანამდე არსებული თემები, მან არა მხოლოდ წრე შეკრა, არამედ თითქოს თავისი უხილავი ბეჭედიც კი დაარტყა ამ სამ ლიტერატურულ ტენდენციას (თვითმკვლელთა გაიდელაებას, სასულიერო პირთა უარყოფით ადამიანებად წარმოჩენას, საიდუმლო სამოს ნებებისა კი — გმირებად). დიახ, სწორედ ეს გახლდათ ტოლსტოის ბეჭედი, რომლითაც მან თავის შემოქმედებას ერთგვარი ნიშანიც კი დაასვა.

საგულსხმოა, რომ ტოლსტოის თანამოაზრეებიც აღმოაჩნდნენ, თანამედროვეებშიც და მომდევნო თაობის მწერალთა შორისაც. გავისხენოთ ალექსანდრე დიუმას ნანარმოებები, რომელთა ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟ არამისსაც პიერ ბუზუხოვზე არანაკლები გმირულ-რომანტიკული შარავანდედი მოსავს, დიუმას გვიანდელ რომანებში ყოფილი მუშკეტერი უკვე სასულიერო პირი და საიდუმლო სამოს მეთაურია. ის აქტიურად ერევა პოლიტიკაში, გავლენა აქვს არა მხოლოდ პაატრებსა და აბატებზე, არამედ მეკობრეთა გემის კაპიტნებსა და თვით ბასტილის ციხის უფროსზეც კი, საიდანაც დაუბრკოლებლივ ათავისუფლებინებს პა-

ტიმარს. შინაომების ორდენის წევრი ჯეიმზ ჯოისის ცნობილი რომანის „ულისეს“ ერთ-ერთი მთავარი გმირი ლეოპოლდ ბლუმიც, რომელიც ავტორს დადებით პერსონაჟად ყავს გამოყვანილი...

ამრიგად, ტოლსტოის ბეჭედი შემდგომი თაობის მწერლებმაც გამოიყენეს, მეტიც, დადებით პერსონაჟებად წარმოჩენილი თვითმკვლელებისა და ცოდვით დაცემული სასულიერო პირების დახატვა ერთგვარ სავიზიტო ბარათადაც კი იქცა დიდ ხელოვნებაში შესასვლელად. გვიხსენებთ ჯეკ ლონდონის მარტინ იდენი, კნუტ ჰამსუნის ნაგელი, რა კეთილშობილი და ვაჟკაცური თვისებების მქონე ადამიანები არიან ისინი! თუმცა, თუ კარგად ჩავუფიქრებთ, გარკვეულ უცნაურობასაც კი აღმოვაჩინებთ მათ ხასიათში. ნუთუ მარტინ იდენისთვის მხოლოდ დიდების კვარცხლბეკზე ასვლა იყო ცხოვრების მთავარი მიზანი, რის შემდეგაც სხვა საქმე აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ თავი მოეკლა?! ან რატომ გამოიყვანა კნუტ ჰამსუნმა ნაგელის მეგზურად ჯოჯოხეთში ნარკომანი და თვითმკვლელი ქალი, დაგირავებული ჯვრის ფასად ოპიუმით რომ იყიდა, შემდეგ კი ზღვაში გადახტომით დაასრულა სიცოცხლე?! ჰამსუნის „მისტერიების“ გმირს, რომელიც არამედ ნათელი ხედავდა არა ზეცაში, არამედ ქვესკნელში, თვითმკვლეობის წინ სწორედ თავისი მეგზური ეცხადება, საგულსხმოა, რომ მანამდე ნაგელი ზღვაში ბეჭედს კარგავს, თითქოს სწორედაც რომ ჯვრის დამგირავებელი, თვითმკვლელი ქალის დასანიშნა. და, აი, როცა კედლის საათი იატაკზე ენარცხება, მეგზურის ხმაც ესმის. „მეძახის, — ჩურჩულებს და თვალდაჭყეტილი იყურება ფანჯარაში“. მერე ნაჩქარევად იცმევს და სიბნელეში ზღვისკენ გარბის. წყალზე ბუბუყით სკდება ნავსადგურიდან ზღვაში მისი გადახტომით გაჩენილი ბუმბუტი. დიახ, ნაგელი ის მისტიკური თვითმკვლელია, რომელმაც აღიარა, „რომ ძირისძირამდე განჭვრიტა ყველაფერი და ქვესკნელის შუქმა დააბრმავა“ („მისტერიები“).

არანაკლებ იდუმალეობით მოცულია ჯერომ სელინჯერის თვითმკვლელი პერსონაჟი, სიმონ გლასი, მოთხრობიდან „ბანანათევზას ამინდი“. სწორედ 1948 წელს „ნიუ იორკერში“ გამოქვეყნებული ეს პატარა მოთხრობა იქცა ავტორისთვის სავიზიტო ბარათად დიდ მწერლობაში შესასვლელად. მანამდე ამ ელიტარულმა ჟურნალმა სელინჯერს ბევრი მოთხრობა დაუწუნა. „ბანანათევზას ამინდი“ კი ლიტერატორებმა შეაფასეს, როგორც ახალი სიტყვა ამერიკულ ლიტერატურაში.

**IV  
მწერალი,  
რომელმაც  
საპიზიტო პარათი დასია**

სელინჯერმა რომანი „თამაში ჭვავის ყანაში“ ადრინდელი მოთხრობის, „მცირე ამბოხი მედიონ ავენიუზე“, საფუძველზე შექმნა. თავდაპირველად მას ამ ნანარმოების პიესად გადაკეთება ჰქონდა ჩაფიქრებული და როდესაც ომში წავიდა, უკვე ექვსი თავიც კი ჰქონდა დაწერილი. სელინჯერი ომის პერიოდშიც არ წყვეტდა მუშაობას. როგორც კი დროს იხელეუბნა, გადმოიტანდა სამხედრო ჯიპიდან თავის საბეჭდ მანქანას და სადმე მოფარებულ ადგილას განმარტოვდებოდა. თურმე ნიგნზე ისე გატაცებით მუშაობდა, რომ დაბომბვის დროსაც კი არ ტოვებდა დროებით შტაბებს, უპრობლემად, მაგდის ქვეშეშვებოდა და იქ აგრძელებდა ბეჭდვას, სელინჯერი სანგარშიც მუშაობდა ან სადმე ბუნებაში ფიცრებისგან გაკეთებულ პატარა მაგიდაზეც.

სულიერი ამბოხების თემა მხოლოდ სელინჯერის უმთავრესი ნანარმოები-სთვის — „თამაში ჭვავის ყანაში“ — არ იყო ნიშანდობლივი (რომელსაც თითქმის ათი წელი წერდა), ის ლაიტმოტივით გასდევდა მთელ მის შემოქმედებასაც. მკითხველი გრძნობდა, რომ ეს მცირე ამბოხი ოდესმე ნამდვილად აჯანყებად უნდა გადაზრდილიყო და, აი, ეს მომენტიც დადგა. მწერალმა ნათელი ხაზი გადაკეთა, რის შემდეგაც მას თავს დაესხა ლიტერატორებისა და ფსიქოლოგებისგან, ფილოსოფოსებისა და ბიოგრაფოსებისგან, კინოინდუსტრიის წარმომადგენლებისა და სხ-

ვადასხვა პროფესიის ადამიანებისაგან შემდგარი მთელი ჯგუფი. სელინჯერის წინააღმდეგ ცდილობდნენ, კომპრომატები შეეკონინებინათ, ომის ვეტერანის სინდრომით დაავადებულ ადამიანად წარმოეჩინათ, უგულო მამად და თვით მცირენლოვანთა შემცდენადაც კი... მას დღესაც ყველაზე ანტიისტებლიმენტურ მწერლად მიიჩნევენ და მზად არიან, წარმოუდგენელი რამ, სერიული მკვლელების იმპულსირებაც კი მიანერონ. ბუნებრივია, ისმის კითხვა, როდის გადალახა ნათელი ხაზი ან რითი გაანაწყენა თავისი კრიტიკოსები?

როგორც მოგეხსენებათ, თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისში სელინჯერი არც თუ ისე მძაფრად უპირისპირდებოდა ისტებლიშმენტს და ლიტერატურაში დამკვიდრებულ გლობალისტურ ტენდენციებს. მართალია, მისი ლიტერატურული გმირი, ჰოლდენ კოლფილდი, სკოლებში დამკვიდრებულ თვალთმაქცურ ატმოსფეროსაც აკრიტიკებდა და არმიასაც, ფულის დიქტატურას დაქვემდებარებულ სამყაროსაც და მასკულტურასაც, ჰომოსექსუალიზმსაც და ჰოლივუდში გამეფებულ გარყვნილებასაც, მაგრამ ეს XX საუკუნის 50-იანი წლების ამერიკაში ჯერ კიდევ ასატანი იყო, თანაც არც ჰოლდენი გამოიჩინებდა დიდი რელიგიური განსწავლულებითა და მორალური სისპეტაკით, ის ერთი კოლფილდის გარიცხული თინეიჯერი იყო, გაორებული და დაბნეული... ამგვარ ზომიერ ლიტერატურულ კრიტიკას ისტებლიშმენტი როგორმე აიტანდა, პირიქით, მისსაღმებოდა კიდევ, ყოველ შემთხვევაში იმ მომენტამდე მაინც, ვიდრე მწერალი გარკვეულ ზღვარს არ გადააბიჯებდა. თანაც, ერთი შეხედვით, ეს ახალგაზრდა ხელოვანი ზოგიერთ გლობალისტურ ლიტერატურულ ტენდენციას იზიარებდა კიდევ:


1) ლიტერატურაში შესული იყო ტრადიციული სავიზიტო ბარათით, 1948 წელს „ნიუ იორკერში“ გამოქვეყნებული მოთხრობის, „ბანანათევზას ამინდი“, მთავარ პერსონაჟად გამოყვანილი ყავდა დადებითი თვისებების მქონე თვითმკვლელი — სიმონ გლასი, რომელიც, როგორც ეს მოგვიანებით გლასების ციკლიდან ირკვევა, არა მხოლოდ ოჯახის პატრიარქია, არამედ ერთგვარი რელიგიური ლიდერიც.

2) რომანის „თამაში ჭვავის ყანაში“ (1951 წ.) მთავარი პერსონაჟი, ჰოლდენ კოლფილდი, საიდუმლო ორგანიზაციის წევრი იყო (გავისხენოთ მისი დიალოგი ფიზისთან).

3) სელინჯერს დახატული ყავს გაორებული სასულიერო პირიც — 1959 წელს „ნიუ იორკერში“ გამოქვეყნებული თხზულების, „სიმორი — შესავალი“, ერთ-ერთი პერსონაჟი, კათოლიკე მღვდელი უეიკერი, ვედანტური რეინკარნაციის თეორიის ფარული გამზიარებელი და მოტრფი-ალეა...

დიახ, ეს ყველაფერი გლობალისტებისთვისაც მისაღები უნდა ყოფილიყო. სელინჯერსა და ტოლსტოის ხომ გარკვეული თემატური მსგავსებაც კი ჰქონდათ? მამ, რაღას ერჩოდნენ? რატომ დაუპირისპირდა კრიტიკოსთა მთელი არმია?


საქმეც ისაა, რომ სელინჯერი სახიფათო თამაში თამაშობდა, თითქოს გლობალისტების მხარეს იყო, მაგრამ სინამდვილეში არც იყო. დიახ, სიმორი თვითმკვლელია, მაგრამ მის თვითმკვლეობაში არის რაღაც უცნაური, მისტიკური. „ნიუ იორკერის“ რედაქტორმა, მაქსველმა, აკი თავდაპირველად ვერც გაიგო, რატომ იკლავდა თავს სიმორი და მწერალს თხოვა, რაღაც დაემატებინა და სელინჯერმაც ჩაამატა. ასე მოხდა ნანარმოებში სიმორის ცოლის, მიურიელის, სატელეფონო საუბარი თავის დედასთან, საიდანაც ჩანს, რომ თვითმკვლელს ომის ტრავმა ჰქონდა... მაქსველიც დაკმაყოფილდა. ახლა უკვე ნათელი იყო, რატომ იკლავდა თავს სიმორი... მაგრამ სინამდვილეში რჩებოდა უამრავი დეტალი, რაც მაქსველს, და დასავლური განათლების მქონე ადამიანებს, წესით ვერც უნდა გაეგოთ. რისი სიმბოლო იყო ბანანი? არამყარი სიყვარულის ხომ არა, როგორც ამას „მაჰაბჰარატა“ გვამცნობდა? ან იგავური სახით ხომ არ გადმოგვცემდა ბანანათევზას ზღაპარში სიმორ გლასი თავისი თვითმკვლეობის მიზეზებს? რატომ შეჭამა თვითმკვლელმა თევზმა 78 ბანანი, რომელიც შემდეგ ღორ-



ივით გასივდა, დარანში ვეღარ გამოეტია, ხურგება დაემართა და მოკვდა? ხომ არ არის ციფრი 78 „მაჰაბჰარატაში“ ჩამოთვლილი 78 სიცოცხლის წყურვილის სიმბოლო, ხოლო მეორე თევზის მიერ შეჭმული 6 ბანანი — 6 არანმინდა ვნების (სიამაყე, უმცირება, ცრუ შეხედულებები, ეჭვი, ეროტიკა, სიძულვილი), რომელიც, წესით, ასკეტს უნდა დაეთრუნა? მაგრამ ეს ყველაფერი იმ პერიოდში ლიტერატორებს არც აინტერესებდათ, მთავარი იყო, რომ გამოჩნდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც წერდა თვითმკვლელზე, თანაც ნიჭიერად, რაც იძლეოდა საშუალებას ელიტაში მიელოთ.

თუმცა, წლების შემდეგ, როცა დაინერება „ფრენი და ზუი“, მართლმადიდებლური სულისკვეთებით გამსჭვალული ნანარმოები, რომელშიც ამერიკული განათლების სისტემას დაუპირისპირდება უკვე არა თინეიჯერი ჰოლდენი (ინტელიგენტი, მაგრამ მაინც ოდნავ თავპარ-იანი), არამედ — ჭკუადაძვდარი ფრენი და ზუი გლასები, გლობალისტები შემოფოთდებიან და, ალბათ, ინანებენ კიდევ, რომ უფრო ადრე არ გააკრიტიკეს ეს ნახევრად ირლანდიელი მეამბოხე. ის, აკი, თავის „სიმორი — შესავალი“ საგანგებოდ უსვამდა ხაზს — ჩემი წინაპარი, ირლანდიელი ზოზო, ცირკის მსახიობი იყო და დიდი სიმალლიდან ხტებოდა წყლიან პატარა კასრში. მწერალმა, მართლაც, უღვაშებიანი ზოზოსი არ იყოს, ნამდვილი საცირკო წარმოდგენა მოუწყო გლობალისტებს, შემოვიდა ლიტერატურაში როგორც ვითომდაც „მათიანი“, სინამდვილეში კი, თურმე, სულ სხვა მხარეს „იბრძოდა“. მოგვიანებით, სელინჯერი თავის ნანარმოებში ასეთ რიტორიკულ შეკითხვასაც კი დასვამს: იმათ მხარეს ხომ არ ვაიკვდივით (იგულისხმება ფროიდისტები)... თუმცა არა, ჯერი არავის მხარეს არ გადასულა, არც ფროიდისტების და არც არანაირი „ისტების“, ის მუდამ იბრძოდა ფსევდომეცნიერული და ათეისტური მოძღვრებების წინააღმდეგ. რაც შეეხება ჰოლდენ კოლფილდს, მის სიყმანვილისდროინდელ ორეულს, თუ კარგად ჩავუკვირდებით, ის სულ სხვა კონტექსტში საუბრობდა საიდუმლო სამოხე. ყოველ შემთხვევაში, ორგანიზაციაში, რომელიც იძულებით, შიშის გამო შევიდა, თავს არაკომფორტულად გრძნობდა, რაც გახდა კიდევ სკოლიდან წამოსვლის უმთავრესი მიზეზი. სწორედ ეს განსახვავებს ჰოლდენს სხვა ლიტერატურული გმირებისგან (ბუზუხოვისგან, არამისისგან, ბლუმისგან...), რომლებიც საკუთარ ორგანიზაციებში თავს ბედნიერად გრძნობდნენ...

და აი, 60-იანი წლების დასაწყისში მოხდა ის, რამაც გლობალისტურად განწყობილი ლიტერატორების მოთმინების ფიანა აავსო. 1965 წელს „ნიუ იორკერში“ სელინჯერმა გამოაქვეყნა „ჰაპოლოტი 16, 1924“, ეპისტოლარული ჟანრის ნანარმოები, რომელშიც 7 წლის სიმორ გლასი დასასვენებელი ბანაკიდან მშობლებისადმი გაგზავნილ წერილში წინასწარმეტყველებს, რომ ოცდაათ წელს გადაცილებული თავს მოიკლავს, მისი მამა ბადი კი ცნობილი მწერალი გახდება... ეს უკვე მეტისმეტი იყო, სელინჯერი ხედავდა იმ სავიზიტო ბარათს, რომლითაც ელიტარულ მწერლობაში მიიღეს. ვის სჭირდებოდა წინასწარმეტყვე-ლი თვითმკვლელი? ეს გაუთავებელი მის-ტიფიკაციები? ან ამერიკული განათლებ-ის სისტემის კრიტიკასა და იესოს ლოცვის მნიშვნელობაზე დაწერილი „ფრენი და ზუი“? აუცილებელი ხდებოდა, ეს ადამიანი როგორმე შეერეებინათ, რადგან ის, რასაც სელინჯერი აკეთებდა, უკვე მცირე ამბოხება აღარც იყო...





უსმოსაუბარი

ზოგჯერ ვგულისხმობ სიჩუმეში და თითქოს ვხედავ, ის მიმანიშნებს — აქ როგორ გაჩნდა, სიყვარულივით როგორ იშვა თავისთავისგან, გვიბოძა თავის სამყოფელი და სულმა შენი თვალებიდან ამოიხედა.

ხედავ, გზა როგორ გელოდება, როგორ გეძახის?! გრძნობ სიტყვებს შორის სუნთქვის ჩქამებს, ისინი მუდამ ერთმანეთში იბადებიან და ხანდახან დუმილს ირჩევენ, მაგრამ უხმო საუბარი მხოლოდ სულს ესმის, როცა შენი მიყურადება ამოიყვანს სიღრმიდან სათქმელს, როცა ბგერები იქცევიან ასო-ნიშნებად, ნაგულისხმევ ხმას შეინახავენ — დამალული მზე თავისთავში, როცა იშლება.

მაგრამ მზე ზოგჯერ ჩვენში ამოდის, როგორც პასუხი, რომლის ამოხსნა ვერავინ შეძლო და ყოფნის ზღვართან შიში ბადებს წონასწორობას...

მერამდენე საუკუნეა, ჩემში რომ ცოცხლობ რად მემალეები დასაბამიდან?! გადავიღალე შენ ჩრდილში ყოფნით, მაგრამ სხვაგანაც არსად არ მინდა... მე ვიბადები ყოველ წამში და ვკვდები კიდევ, ვიღაც მიყურებს გამუდმებით ყველა წამიდან...

\*\*\*  
ნიგნში ვინახავ, რასაც მერე ცხოვრება წაშლის, იმის იმედით, რომ ქარი მაინც გადაფურცლავს, ან ვინმე(ს) ხელი შეეხება, ნაიკითხავს და აღმოაჩენს, რომ ჯერ კიდევ შესძლებია, იგრძნოს ცრემლი გულში ჩაღვრილი, რომელიც არ ჩანს და არ ბრწყინავს და ვერავინ თვალს ვერ შეავლებს, მხოლოდ სისხლში ისმის ჩქამივით, უკვე მეოთხე ნელინადია, მე მაინც გამჩნევ სულ(ს), შორიახლო როცა ჩამივლი...

\*\*\*  
ჩასახლდა შიში მის თვალეში, ნეტავ როდემდე? ნუთუ წავა და შიშთან ერთად მასაც წაიყვანს? დატოვე, ღმერთო, კიბის პირველ საფეხურზე ჩამოჯდება და დედას ისე დაელოდება, როგორც დილით მზეს, ცისკრის ვარსკვლავი რომ მქრქალდება და ჩვენ გულში გაურკვეველ მოლოდინს ტოვებს.

\*\*\*  
მე გული კი არ მტკივა შენზე, რომ ველარ მხედავ, მხოლოდ მირეკავ და ცდილობ, ის დრო გამახსენო, როცა ჩვენ ვენთეთ ბუხართან ერთად ჩვენც რომ ვინვოდით... და ვხდები, ჩვენი ერთად ყოფნა კვამლი იყო და ცად წავიდა.

\*\*\*  
ისე წვეთ-წვეთად შემოდის მარტი, რომ შევეჩვიე ამ თვის წვეთოვანს, ისე ცეცხლი და ისე მარდი, ვერ ვხდები, როდის და რით ერთობა.

ჩნდება იმედი, არ ვიცი, ვისი, ალბათ იმისი, მე ვინც მიფარავს და მივალ უფლის ბოძებულ ვიზით, ან მივალ, ანდა ხილვა მიპარავს?!

შეჩვეულია მკლავის რიკული, რომ თავის თავის არის საყრდენი... მე ახლაც შენში ვარ გარიყული, ნაგულისხმევი და მოსახდენი.

გივი ალხაზიშვილი

\*\*\*  
ღრმად ჩავიძალე შენში, ისე ღრმად, რომ თავს ვკარგავდი, რომლის პოვნაც გულისცემას თუ შეეძლო და სხვას არავის და აღარაფერს, მეუთვალავედ იშვა უფსკრული, საამო ბინდი მიეფინა თვალის დარაბებს. ხმადარცხვენილი შენი ბგერები ამომავალ წუთს მზეს ადარებენ.

სტაკატო...

როგორც სკის ზუზუნს მივუახლოვდი მაღალი ძაბვის ფიქრს, ის მახედებს ცისკენ, რომელიც გულში გაიხსნა...

წელან იქ ვიყავ, ახლა სხვაგან, ოლონდ იქ არა, სადაც ვიყავ... მტკივან მზერაში ჩამენვეთა უფერული ცა...

ვემალეები ბუფერულ სივრცეს და ავად ვხდები, რადგან ყოფა შენთან არ მიშვებს და სუნთქვას მიშლის ჩაკეტილი თვალსანიერი...

მოდი, მკერდზე ხელი შეგახო, ისე რომ, შენი გულისცემა გავიგონო მონატრებულ სტაკატოსავით...

მიჩვეული ვარ ჩემში ჩამალვას, როცა სხვები ველარ მხედავენ, ჩემ ფიქრს თვალს ველარ ადევნებენ და ვერ სწავლობენ ნაკეთებს, რომლებიც იცვლებიან სიტყვებთან ერთად, ხოლო ისინი დაეძებენ გასაღწევ სივრცეს, ზოგჯერ ბავშვივით ცელქობენ და ისე დაფრენენ, რომ ფრთებიც კი არ ახსენდებათ.

ასეა დღესაც, ვარ ჩემში და თავი გარეთ ვერ გავიტყუე, უსმენს მუსიკას და მუსიკის ჰაერს სუნთქავს, ტაქტებს შორის ისე მოძრაობს, როგორც მე და შენ, ერთმანეთს შორის მანძილს რომ ვზრდიდით, ხან ვაუქმებდით, თან ერთადქცევის სურვილს მივდევი ერთმანეთში და სასრული იწყებოდა — ქრომატულ გამის უნებლიე ამოძინებით — ისევე გულიდან, საიდანაც ამოჰყავდა სუნთქვის ფრთები და მთელი ჩვენი არსებობა წუთზე მიბმული.

ხმები ყოველთვის ერთმანეთში იბადებიან...

მიგრაცია

...ასე დავსახლდი ორ სოფელს შორის, ოთხი წლის წინათ რომ დამემალე...

მაშინ ერთმანეთს არც კი ვიცნობდით, მოგვიანებით გამიმხილე, ერთხელ თურმე სიზმარში მნახე და იმის მერე ცხადში მეძებდი.

მეჩვენება, რომ მომავალშიც ასე მოხდება და ჩვენ ვიქნებით ახალ სხვებში ან უბრალოდ ახალ ძველებში...

როცა ჩვენ არ ვართ, მაშინ სხვებში ვართ და იქ ვარსებობთ შეცვლილ სახელით...

იქ აღმოვაჩენთ ჩვენ სიყვარულს, თქვენში რომ დაგვრჩა და უპიროვნო არსებობას ჩვენ კი არ ვმალავთ, ჩვენ გვმალავს იგი, ვინც მიგვატოვა, ვინც დაგვასახლა ახალ სხვებში ან ძველ ახლებში...

ინახავს ჩემი მესხიერება ამ გამუდმებულ მიგრაციას კინო-ფირივით და არცერთ სიტყვას არ წარმოვთქვამ გაგულისებით, მე მივატოვებ საკუთარ თავს და მის ორეულს თავის ხელბარგით, დაეჭვებით და კულისებით.

მე კართან ვდგავარ, სადაც ვდგავარ ყველგან კარია, უკარო სივრცეს სვამს თვალი და შენით ვბრუნდები, ჩვენ ხომ იმ დროში გავითქვიფეთ, არსად რომ ქრება და რომ გავრბივართ, მაშინაც კი სადღაც ვბრუნდები.

თავს ვპარავ ვინთვის...

სიჩუმეს კანრავს მესკიას კენესა და შენს სიზმრებში იბუდებენ მოლაღურები, თავს ვკარგავ შენთვის, ვპოულობ შენთან, სულს ვითქვამ შენი მონახულებით.

რა მესმის, გარდა გულისცემისა, გავირინდები ხმას ველარ გაგცემ, მალე ამ ბალებს დაიპყრობს ბინდი და ჩვენ სიჩუმეს დუმილად აქცევს.

ეს ფრინველები მსტუმრობენ ხშირად, მეგობრები კი ველარ იცლიან, მე ხომ ვინც მიყვარს, გულში მყავს ყველა და მათ გარეშე არ შემიძლია...

ქსპრომთი ლქსო ღორქულს!

ქრება აპრილი, გაგვიქრა მარტი, სმა შენ არ გიყვარს და არ სვამ მარტინს, სამაგიეროდ კითხულობ ნიგნებს, მარტივ დერიდას და მარტივ მარტინს.


ორკანტრი

სპილენძის ჯგუფი მალერისთვის დადლილ ფილტვებით ასვენებს სუნთქვას, გაურკვეველ დროში მოცურავს, წარმოსახვაში გადამალულ სივრცით მიილტვის, რომელიც დღესაც ალბათობით გარემოცულია.

იგი ისეთი მეტყველია და მოუბარი, სიმეზიანთა და ხის ჯგუფის შემოძინებით, ეს ვოლტორნები, ასე ერთად რომ უბრავენ, გადასარჩენად ფლეიტის ხმას ეპოტინები.

დირიჟორი ხომ ბგერებისგან არის ნაგები, დიაპაზონით, უღერადობით და ტონალობით, მხოლოდ ჰობოის ნაღვლიანი ხმით შემეგება და ბავშვობიდან შემოფრენილ შაშვის გალობით.

ვიდრე ტრომბონი არ ჩამოხვეს პიანოს ფარდას, მოგეჩვენება, უცნობ ძალას ხელში ეკავე, შენ გაიხსენებ მითიურ ლა-ს, კამერტონს მართალს და ობოლ ბგერებს, ბარტყებივით როგორ ჩეკავენ.





დასაწყისი პირველ გვერდზე

ფანდურზე დაკვრა უყვარს და ფშაურ ლექსებს ნაიმღერებს ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ სასიმღერო რეპერტუარში მიხაილ ლერმონტოვის სტრიქონებიც უნდა გამოუჩინოს.

ამ პასაჟს შეავსებდა რამდენიმე ფსიქოლოგიური შტრიხითაც — ვაჟამ სიცილი რომ არ იცოდა და ყველაზე სახუმარო და სახალისო ფრაზისა თუ ამბის მოსმენისასაც მხოლოდ გაიღიმებდა. განრისხებისას მძვინვარება რომ სჩვეოდა, თუმცა უფრო მაინც მშვიდობა დასდებოდა, ზავივით გულჩვილი და მგრძობიარე — ნაამბობზეც რომ აუჩუყდებოდა გული და ცრემლი მოადგებოდა ხოლმე თვალზე...

და გენანება, ამ მხრივ რომ აღარ გაგრძელებულა თამაზ ჩხენკელის ფიქრი, და ფსიქოლოგიური პორტრეტების ოსტატი გაერიდა ბელეტრისტულ ჩანარებს.

ბელეტრისტული ფონი და გარსი კი არა, მზამზარეული ბიოგრაფიული რომანის ქარავა პარალელურზე აგებული თეზისური მონახაზი, მიჰყვები, გამლი და...

თამაზ ბიბილურს აგულიანებდა: ეგებ შენ მაინცო...

შესავალსაც დაუნანებლად ჩუქნიდა და თავის სამსახურსაც სთავაზობდა: თუ რაიმეს დაზუსტება დაგჭირდეს, აგერ ვარო!..

ის მადლობას მოახსენებდა და დაატანდა: „ტრაგიკული ნიღბები“ ჩემთვის თავისებური გზამკვლევი ვაჟას სამყაროში შესაღწევადო.

ამას სიამის ელვა გადაჰკრავდა, თუმცა ხელეხს კი გაასავსებდა: ვაჟა ბევრად უკეთესის ღირსიაო.

თამაზ ბიბილურის ესეი რომ გამოქვეყნდებოდა — „და უფსკრულს დასცქერს პირიმიზე...“ — ძალიან მოუწონებდა: ორიგინალური კუთხე მოგიძებნია, ვაჟას წარმოსახვით თეატრზე რაიმეს თქმა თუ შეიძლებოდა, ვერც წარმომედგინა, არამცთუ ასე შესანიშნავად, ასეთი ექსპრესიით, ცალკე თავად ხომ არა გულისხმობ შენი ნიგნისათვისო?!

ცალკე თავად არ ვიცი, მაგრამ ასე მინდა გაგიკვილო გზა ვაჟას სამყაროსაკენ, ეს ბილიკიც მოვსინჯო, თორემ რომ მეგონა მზად ვიყავი ბელეტრისტული თხზულების დასაწერად, დაწყებისთანავე ერთბაშად ისე დამიტანა, ლამის ხელი ავიღეო, — შესჩივლებდა ის, — ქარავა კი შესაძლოა დედაბუნების მთელი ეპოსი გამოვიყენო, ყოველწლიურად რომ ჩაივილიდა ვაჟას თვალწინ, წელიწადის ოთხი დრო, წელიწადის ოთხთავიო.

და მე მომიტრიალდებოდა: — ნეტა ბატონი ოთარი ხომ არ აპირებს ვაჟაზე ბიოგრაფიული რომანის დაწერას?!. ვასილ ბარნოვის ცხოვრებაში პერსონაჟად რომ შემოჰყავს, ისეთი მონუმენტური სილუეტი გაიღვებებს, ეს მონუმენტურობაა სწორედ შესაბამისი ნიღბები, ვაჟას პორტრეტის გამოკვეთას ვინც მოინდომებს, ამ სიმალეზე უნდა აიწიოს ბიოგრაფიული რომანი, თორემ ისე რა აზრი აქვს... ნეტა ხომ არ აპირებს?!. წარმომიდგენია, რა იქნება!..

დედაბუნების მთელი ეპოსი, წელიწადის ოთხთავიო...

ეს ეპოსი ყველა პოეტის თვალწინ მიედინებოდა, ეს ოთხთავი ყველა პოეტის თვალწინ გადაშლილიყო, მაგრამ ისე შემძვრელად ვერცერთისა, როგორც ვაჟა-ფშაველასი — თავისი გამოკვეთების სიხარულით, თავარა ზაფხულით, შემოდგომის სევდითა და ზამთრის სიმკაცრით, როდესაც ნაღვლით იმსჯვალავდა და ფიქრით ცხოველ-ფრინველთა გუნება. და რაოდენ ნიშანდობლივი გახლდათ, რომ ვაჟა ყოველთვის რაღაც შინაგანი შემფოთებით ელოდა ზამთარს, ახალწლის დადგომას ლექსებით ეგებებოდა და ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც კიდევაც ნახავდა გაზაფხულს.

მარტოდ შერჩებოდა ზამთრობით გარესამყაროს, მდუმარებაში ჩაფლული და გამოკეტილი?

სამაგიეროდ — და შენც ხელშესახებდა გრძნობ მის მხატვრულ წარმოსახვებს ადევნებულს — როგორ იდგამდა სულს მთელი ბუნება და ცოცხლებოდა, ალაპარაკდებოდნენ ქუჩი და ფესვები, მთის წყარო და სოფლის თავში დაგდებული ბებერი ლოდი, მუხა და თელა... ალაპარაკდებოდა შვილის ნუკრი თუ ბარად ჩამოსული ირემი...

— ყველაფერი სულდგმულობს, ყვე-

ლაფერი სევდითა და ტრაგიზმით იმოსება, ყველაფერში ჩანს ზვიადი ბუნება, რომელიც „ერთფერად მტვირთველი არის საქმის თეთრის და შავისა“.

და ისე განიმსჭვალებოდა თამაზ ბიბილური ვაჟაური წარმოსახვებითა და განწყობილებებით, საყმანვილო წიგნს — „წელიწადის დრონი“ — უპირველესად მისი შთაგონებით შექმნიდა, იმ სევდასა და ტრაგიზმსაც გადაიტანდა თხრობაში, ამ მხატვრული სინამდვილიდან რომ შეეთვისებინა, იმ სულით განმსჭვალავდა და დიდებულ თხზულებადაც ამით გარდაქმნიდა ბავშვობის შთაბეჭდილებებს, კვლავაც მძაფრსა და გაუნელებელს, ქართული სოფლის წესის თანდათანობითი მოშლა რომ აღბეჭდავდა მგრძობიარე გულში.

გოგებაშვილური ათინათიც გადაჰკრავს ამ წიგნს, მაგრამ ვაჟა-ფშაველას სულიერებით უფრო აღვსილა... და გარდა თავისთავადი მხატვრული ღირებულებისა, „წელიწადის დრონი“ იმ მხრივაც საგულისხმოა, თამაზ ბიბილური აქედანაც რომ მიჰკვალავდა ბილიკს ვაჟას უჩვეულო სამყაროში შესაღწევად, იმ მხატვრულ წარმოსახვებში, სადაც გამირთა ვნებანი უფსკრულივით ღრმა და ბნელი გახლდათ, უფსკრულს კი... უფსკრულს აუცილებლო-

როსტომ ჩხეიძე

საკრამენტო

ბად დასცქერდა პირიმიზე — მოღერებულის ყელითა.

როგორ გინდოდა, ვთქვათ, სპექტაკლში გადაგეტანა პირიმიზის ვაჟასეული მეტაფორა, გვირგვინი არამარტო ერთი თხზულების ფინალისა, არამედ ვაჟაური სახისმეტყველებისა?

როგორ გინდოდა ბიოგრაფიული რომანი დაემშვენებინა ამ პირიმიზით?

და ამ მეტაფორაში გამოგეტვია ვაჟას ნაწილიანობა — მზის სიმბოლო, ბეჭებს შუა რომ აღბეჭდოდათ ღვთისმშობლებს და... ვაჟას იმათგან თუ გადმოჰყოლოდა, თორემ, აბა, სხვა საიდან?!

— საკრამენტოო, — ამის შეძახილიც რომ უყვარდა?!

საკრამენტო ესპანურად წმინდა ძღვენს ნიშნავს და ამ აზრითაც დაერქმეოდა ამერიკის შეერთებული შტატების იმ ადგილს მისი აღმომჩენის მიერ, ადგილს, რომელიც ერთბაშად უნდა დაწინაურებულიყო კალიფორნიის შტატში მას შემდეგ, რაც სნეულუბასავით მოდებული ოქროს ციებ-ცხელების შუაგულში აღმოჩნდებოდა და ოქროსმადიებლებით წაიღებებოდა.

იქ გაისმოდა ეს შეძახილი სიმხნევის, იმედოვნების, ოცნების ახდენის დასტურად თუ თავისებურ პაროლადაც, ყინიანი სწრაფვის, ბედთან შეურიგებლობის, თავზეხელაღებულიობის გამოხატულებად, და ჯეკ ლონდონისთვისაც მახლობელი რომ გახდებოდა ეს შეძახილი, თავის პერსონაჟებსაც ააკვირებინებდა.

მაინც რა სივრცეები უნდა გადმოეყვარა, არა, ტფილისამდე რომ ჩამოეღწია და ჩვენს ჟარგონულ მეტყველებასაც მორგებოდა?!

ქართულ ლიტერატურაში კი ეს სიტყვა მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობაში გაიღვებდა — „ხუთის ამბავი“, როსტომ რეტვიანი გამოჩნდება თუ არა დასაწყისშივე, „საკრამენტო“ უნდა ამოიძახოს აკვირებული, ძველებური შეძახილით.

ეს აკვირებაც და ყოფითობიდან უკვე გამქრალი სიტყვის აღდგენაც უთუოდ ვაჟა-ფშაველას ასოციაციური გამოწვევით უნდა იყოს ჩართული თხრობაში, „საკრამენტოს მადლიც“ რომ უნდა მიემატოს გახუმრებულ „დაწყევლაში“: აი, გაგინყრათ მისი მადლიო!..

და იმეოროს და იმეოროს პერსონაჟმა გაუთავებლად და მოთხრობის ფინალური აკორდით მაინცდამაინც ეს სიტყვა აღმოჩნდეს: საკრამენტო!

...ნეტა საიდან და ვისგან ჩარჩენოდა ხსოვნაში ვაჟას ეს სიტყვა და ასერიგად რას მოეხიბლა, გამეორება რომ არა წყინდებოდა?!

რას და: მის ფსიქოლოგიურ სათავესაც და გარეგულ ჟღერადობასაც.

ისე ქართველი მოღვაწეებიდან ყველა-საგან მოელი ამ სიტყვის აკვირებას თუ არა, ერთი-ორჯერ წამოძახებას მაინც, ყოველ შემთხვევაში შესაძლოა ძალიანაც არ გაგვიკვირებოდა, მემუარულ ჩანანერებ-

ში სადმე რომ წაწყდომოდი, თუ როგორ ეთქვა ილია ჭავჭავაძეს: საკრამენტოო!.. ან აკაკი წერეთელს, ან ნიკო ნიკოლაძეს, ან სერგეი მესხს, ან ალექსანდრე ყაზბეგს, ის კი არა, იაკობ გოგებაშვილსა და ვასილ ბარნოვსაც შესაძლოა დასცდენოდით... ერთადერთი ვაჟა-ფშაველასაგან ვერ წარმოიდგენდი... ვერ წარმოიდგენდი და აჰა — ისე მოერგო და შეეთვისებინა, თითქოს თანასოფლელებსა და ჯვარ-ხატობებში სულ „საკრამენტოებით“ ელაპარაკოს...



ირაკლი ოჩიაურის ქედურობა

გულს კი იოხებდა და...

ვისთვის როგორ, მაგრამ ვაჟასათვის ეს სულაც არ გახლდათ უფრო ტფილისურ-ჟარგონული წამოძახილიც, რაკილა თვითონაც მძაფრად აუფუთფუთდებოდა გულში ოქროსმადიებლობის ჟინი.

აუფუთფუთდებოდა და ეგრე!..

და კიდევ მიადგებოდა 1901 წლის 18 დეკემბერს კავკასიის სამთო სამმართველოს თხოვნით — თიანეთის მაზრის მაღაროსკარის საზოგადოების სოფელ ჩარგლის მკვიდრის სახელით:

— წარმოვადგენ რა პიროვნების დამადასტურებელ საბუთს, უმოჩრილესად ვთხოვ კავკასიის სამთო სამმართველოს, მიზოძით საძიებო მონაშობა ოქროს ქვიშრობისა და საბადოს გამოსაკვლევად.

და ხელსაც მოანერდა: სასულიერო პირის შვილი ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი.

რალა ვაჟა-ფშაველა და რალა გიორგი ლეონიძის ელიოზი, „ნატვრის ხის“ ერთი ყველაზე კოლორიტული და თავისებურად სიმბოლური სახეობა, ცხარე მეოცნებე, თავისივე შეთხზული უცნაური ოცნებით რომ იფარავს თავს მხეცივით შემოტეული სინამდვილისაგან, თორემ ან ოქროს კვერცხის მდებელ ქეთამს რა აძებნიებდა, ან ნათელთვეზის, რისი გულისთვისაც მთელი დღეები დაკარნახებული იდგებოდა იორში, მოჩხრეკდა, ამოხაპავდა მდინარეს, დალიდა ბაღესაც და ჩაგვალსაც, წყლის ტოტებსაც დაწურავდა, ხელაობასაც გადააკვდებოდა, მაგრამ არ იქნებოდა, ნათელთვეზას ვერ იგდებდა ხელთ და ვერა... და ან ნატვრის ხის ძიებაშიც რატომღა ამოხდებოდა სული.

მიზოძით საძიებო მონაშობა ოქროს ქვიშრობისა და საბადოს გამოსაკვლევადო...

ვინ იცის, ფარნავაზივით ისიც თავიდან ბედისა თუ სასწაულის იმედად გახლდათ — ნადირობისას სადმე გამოქვამულში ეგებ განძს გადაწყდებოდა. თუმცა ფარნავაზს განძზე როდის რა ეფიქრა, მონადირე გახლათ და ირემსაც ნადირობის წყურვილით ატანილი უნდა გაკიდებოდა. რას წარმოიდგენდა, დაფარულ საუნჯესთან თუ მიყვანდა ეს დევნა და მარშრუტი, და სიზმარში მზის სხივის ცვარი რომ ეცხო სახეზე, ასე აუცხადდებოდა.

იმაზე ნაკლები მონადირე არც ვაჟა ყოფილა და სიზმარშიც და ხილვაშიც არაერთხელ გამოცხადებოდა მზე, ვინ იცის, მისი ცვარიც გადმოსდიოდა სახეზე და ესეც იხოცავდა, რათა მერე ნელზე შემორტყმულ მზის სხივს გამოჰყოლოდა გარეთ...

და მამ რალა დარჩენოდა, გარდა იმი-სა, რომ ზმანება მასაც მოვლენოდა ყოფით რეალობაში ახდენილ სასწაულად!..

კი მაგრამ, ნადირობისას ჯადოსნური ირმის გამოცხადების იმედად განა როდემდე უნდა ყოფილიყო, ეგებ თვითონაც გაენ-

ძრია მარჯვენა და ირმის ნაცვლად კავკასიის სამთო სამმართველოს მოწმობა დაეჭირა ხელში, რათა ამ მოწმობით გადაებრუნებინა ის ოქროს ქვიშრობი და საბადო, რომლის არსებობაც არ ეეჭვებოდა.

აქ აღმოჩენილი ოქრო მთლად მისი კუთვნილება ველარ იქნებოდა და მთავრობა თავისნილს და საგრძნობ ნილსაც მოითხოვდა, იმდენად საგრძნობს, რომ არაფერს შეგარჩენდა?

მე შენ გეტყვი, ჰუმანური ხელისუფლება მოვლენოდა ქვეყანას სათავეში — მინაწყალს არ გინარჩუნებდნენ და ოქროს ვილა დაგიტოვებდა!.. მაგრამ მისი მიგნება რალაცას მაინც ნიშნავდა — რალაცას, თუ მთლად ქვეყნის გამოსახსნელად და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღსადგენად ვერ გამოიყენებდი — ფარნავაზივით!

საკრამენტო!

აეთრთოლებინა ოქროს მოპოვების ჟინს.

და ამ ჟინს მიეყვანა სამთო სამმართველოს კართან, ოღონდაც მონაშობა ვიგლო ხელთ და მერე მე ვიციო!..

შენ უცნაური ოცნება ეძახე. რამდენი სასწაული აცხადებულა და ეგებ ესეც...

საძიებო მონაშობას არავინ უბოძებდა. ოქროს ქვიშრობსა და საბადოს სავაჟაფშაველოდ არავინ გახდიდა.

ისე ნეტა მონაშობა რომ ეშოვნა, რა ოქროს ქვიშას მოხვეტდა და რა ზოდებს აღმოაჩენდა?!

სამაგიეროდ...

რა არის მაინც, რამხელა წყალობა, რომ შემოქმედება სხვათათვის ხელმიუკარებია და იქაური ოქროს ქვიშრობებისა და საბადოების მოხილვას არც სამთო და არც არანაირი სამმართველოს ნებართვა არ ესაჭიროება.

საკრამენტო!

იმ ქვიშრობებსა და საბადოებში იჭრებოდი თავისუფლების წყურვილით ანთებულ და სულ ფენა-ფენა აბრუნებდი მინას და ამოგქონდა და ამოგქონდა დაფარული საუნჯე.

რა გენადლებოდა, რა — წინ ირემი მიკუნტრუშებდა და მზის სხივებიც დაგთამაშებდა და გელამუნებოდა და გეზიდებოდა შორეული და შორეული სივრცეებისაკენ.

საკრამენტო!

გულს კი იოხებდაო... სულს კი იშოშმინებდა, აფორიაქებულს, ამღვლვარებულს, აქეთ-იქით მიმოწყვეტილს, დევების სუფრაზე მოხვედრაც რომ ელოდა და საკუთარი თავის იმედადღა უნდა ყოფილიყო, რადგანაც ახლომახლო თვალის ვერსად დაეკრა კოპალასა თუ იახსარისათვის, თან ერთნი რომ იყვნენ და თან სხვადასხვანი, თავთავისი სიუჟეტები ამოეკრათ და ჯერ ისევ ტრიალებდნენ საყმთა წარმოსახვაში, ჯერაც გადაიღვებდნენ შემთხვევიდან შემთხვევამდე, ვიდრე საკრალურ შინაარსს დაჰკარგავდნენ და ზღაპრის პერსონაჟებისაგან აღარაფრით განსხვავდებოდნენ.

ანდრეზული დროჟამი მათაც უკან უნდა დარჩენილიყო.

მაგრამ ვიდრე ამ დროჟამიდან ამოცვივდებოდნენ ისინიც და ფშავე-ხევსურული მითოსის სხვა გამრეებიც, ვაჟა-ფშაველას უნდა მიეხსრო მათთვის და მათ წრეშიც გარეულიყო და იმ ტრადიციული გარემოს გადაარჩენაც ეცადა თავის საგმირო ეპოსში, რომლის ნაშთებიც შესაკონინებელი გახდომოდა და ჰომეროსულ ძალღონეს მოითხოვდა გასამთლიანებლად.

სხვა ვერც ვერაფერი უშველიდა.

სად იყო მერე ეს ჰომეროსული ძალღონე?

სად იყო ის პეროიკული სული და მადლი, საგმირო ეპოსი აუცილებლად რომ უნდა განემსჭვალა?

სად იყო ის ენობრივი მანერა, ერთადერთი და განუმეორებელი, რომელსაც ყველაზე მარჯვედ უნდა მოერგო და საკუთარ სამოსელში გამოეხვია დაუოკებელი პოეტური წარმოსახვანი?

...აბა, რისი ნაწილიანი ვარო?! — გაიფიქრებდა ლუკა რაზიკაშვილი და გარშემო შემფოთებით მიმოიხედავდა, არავინ გამიგოს, არავინ შემიტყოსო.

ჯერჯერობით არავინ ჩანდა გამგები თუ შემტყობარი.

მხოლოდ... პირიმიზე თუ გაიღვებდა მოღერებულის ყელითა და... ისიც სადაც მიიკარგებოდა.

აი, ამ სადგისით მოვკალიო, — აზიდულიყო იმედა რაზიკაშვილი და კაცი არა ჩანდა მისთვის ნანადირევის წამრთვეტი.



საქართველო ლამაზო... ანა

ანას სახელი არც გამეგონა, პირველად თემო ნაცვლიშვილის სიმღერა რომ მოვისმინე. ცხელია, ფანჯრები დაღებული გვექონდა, ალბათ შუალამე იყო — სიმღერამ გამომალვინა. სულ ბავშვი ვიქნებოდი — შევწუხდი, ძილი რომ დამიფრთხეს. ჩვენი კარის მეზობელს სტუდენტი მდგმური ჰყავდა, სწორედ ის და მისი სტუმარი დაქალები მღეროდნენ უტკბილესად.

ეტყობა, მალე მოვიწახვები, სიამოვნებისაგან გავიტრუნე და საბოლოოდ გამოვფიზლდი. მეორე დღესვე გავიგე, რომ ანა კალანდაძის ლექსს მღეროდნენ ასე გატაცებით და ხმაშეწყობილად. **სადღესო ჩანართი:** მთელი საქართველოს ნიჭიერი გოგო-ბიჭები ნაირნაირ კონკურსზე მაინცდამაინც ინგლისურად რომ აამღერეს (— ვააუ, როგორი „ახლემბური“ ინტერპრეტაციით ასრულებენ ერიკ კლაპტონის, ბარბრა სტრაიზანდის, უიტნი ჰიუსტონის, ჯო კოკერის თუ სტინგის სიმღერებს), რაო, ინგლისელ-ამერიკელ მართლაც დიდ ვარსკვლავებს „აჯიბებენ“ თუ საკუთარ პროვინციულიზმს გვიდასტურებენ? რაღაც არ მსმენია, ქართული სიმღერის კონკურსით რომ დაინტერესებულიყვნენ, არადა, ვინ იცის, რამდენი კარგი სიმღერაა უყურადღებოდ დარჩენილი; სულ ახლახანს ზვიად ბოლქვაძის ოთარ ჭილაძის ლექსზე შექმნილი შესანიშნავი სიმღერა მოვისმინე (მისივე ჩინებული შესრულებით) — სხვა რომ არა, ასეთი დიდი პოეტის „გამუსიკება“ (დები იმხნელების სიმღერიდან) ჩვენს „მასკულტურულ“ უკულტურობაში — სასიქადულო ფაქტია.

თემო ნაცვლიშვილის ეს სიმღერაც, ჩემთვის ვარინკა ნერეთლის „სულიკოს“ ტოლფასი რომ არის, ნეტავი ბოლოს როდის იყო ტელეეთერი?

გასული საუკუნის 70-ანი წლებია. ბიჭვინთაში ვართ. ღამის პირველი საათია. გაუსადღისმა სიცხემ გამომგვრეკა სახელებიდან, ზღვის ნაპირას გულაღმა ვწევართ ქვიშაზე და ვარსკვლავებით მოჭედ-ილ ცას ავჩერებთ, თანაც, დასიცხეული, ვწუწუნებთ და ვვიშვიშებთ. ჩემი მეგობრები კარგად მღერიან — ვილაყამ „საქართველო ლამაზო“ წამოიწყო, ყველანი ავეყვიტ, ეს იყო და ეს, სიცხე აღარც გაგვხსენებია.

გავიდა მრავალი წელი: ჩემს დისშვილ-იშვილს, 5 წლის ნინუკას ლექსებს ვუკითხავ, მინდა, ანას ლექსიც ვასწავლო, საერთოდ იოლად იზებირებს, მაგრამ ამჯერად რატომღაც არაფერი გამომდის. ბოლოს ხერხს მივმართავ, არც ხმა მივარგა და არც სმენა — მაგრამ სიმღერას ვინყებ. ბავშვი ინტერესით მისმენს (მამამისივით აბსოლუტური სმენა აქვს), სულ მალე იმახსოვრებს ტექსტსაც და სიამოვნებით ვმღერით ორ ხმაში (მე მეორეს ვაცოდვილებ). მეორე ზაფხულის დამღევს ნინუკა სკოლისათვის ემზადება: გადაშლის ქართული ენის სახელმძღვანელოს და თვალეზგაბრწყინებული მომირბენინებს — პირველსავე გვერდზე ანას ლექსია დაბეჭდილი.

ამდენ დავიდარაბასა თუ წენვა-გლეჯაში, გარე თუ შიდა აგრესიათა ტყვეობაში, ჩვენი არსობის პურის დამამცირებელ და, ხშირად უშედეგო ძიებაში; მეორეს მხრით — სულიერების, ზნეობის, ხელოვნების, ზოგადად — კულტურის გლობალური კრიზისის ჟამს — სულ „გადაგვაკინყდა“, რომ საქართველო, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, უმშვენიერესი, მართლაც ედემს მინამგვანი ქვეყანაა. ეს ხომ ღვთის ბოძებული, ფასდაუდებელი საუნჯეა.

ბოლო ოცნლეულში „ხალხის მსახურთა“ სულმოუთქმელმა, მანიაკურმა წყურვილმა ნებისმიერი საშუალებით მყისიერი გამდიდრებისა („პრავმატიზმად“ რომ საღებდა) დიდი ზიანი მოუტანა სრულიად საქართველოს („იყიდება საქართველო“ — სულ იაფად).

საღა არის ჩვენი ამაღლებულისაკენ სწრაფვა, სამყაროს ესთეტიკური აღქმა; ქართველთა თანდაყოლილი, გენეტიკური ესთეტიზმი ხომ ძალდაუტანებლად ერწყმოდა მშვენიერ გარემოს.

გერონტი ქიქოძე, „ხელოვნების აღორძინებისათვის“, 1917: „ჩვენი ისტორიული ტრადიცია საუკეთესო საფუძველს

წარმოადგენს ხალხისა და ესთეტიკური კულტურის შესაუღლებლად.

ქართული ხელოვნება არასოდეს არ ყოფილა განკერძოებული და მიუწვდომელი; ქართველ მწერლებს, ხუროთმოძღვრებსა და მხატვრებს, არასდროს არ ჰქონიათ მიუკარებელ ქურუმთა კასტის ხასიათი. მათი შემოქმედება გულგამლილი იყო სამხრეთის მზის სინათლისათვის, რომელიც ერთნაირი სიუხვით უნათებს ყმასა და მბრძანებელს. ჩვენი ხელოვნება დამწყვედული არ ყოფილა არც პირანაევო, არც ციხე-კომპენს, სადაც მხოლოდ რაინდები ცხოვრობენ, არც სალონებში, სადაც მხოლოდ არისტოკრატები მოძრაობენ. ქართული ტაძრები და სასახლეები ხშირად ბორცვებსა და გორაკებზე შენდებოდა, რათა ყოველ თვალხილულ არსებას შესძლებოდა მათი დანახვა. შენობის კედლები ჩუქურთმებითა და მხატვრობით იყო დაფარული, რათა ყველასათვის მისაწვდომი ყოფილიყო დიდი ხელოვნება“.

„საუცხოო“ უცხოელებს, ტურისტებს (რომელთაც, სამწუხაროდ, საქართველოს მთა-ბარი ზოგჯერ ჩვენ ახალგაზრდობაზე უკეთ აქვთ ათვისება) დიდი ზარ-ზეიმით კი შევუგებოთ, მაგრამ „ტურიზმით ფულის შემოდინებაზე“ უნინარესად, ჩვენს უნიკალურ ბუნებაზე ვიზრუნოთ.

ლალი ავალიანი

# ასოციაციათა მძივი პატიოსანი და უუპის თვლახით ფრაგმენტები



\*\*\*  
*მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ, თვალნი მეფინა ქვეყანა, გულზე მესვენა მზე-მთვარე, ვლაპარაკობდი ღმერთთან.*

ღმერთთან მოლაპარაკე ვაჟა-ფშაველამ მხურვალე უბეში ჩაისვა შვლის ნუკრი და ობლობის სიმწარე „აამბობინა“.

მსოფლიო ლიტერატურაში ათასობით თხზულებაა შექმნილი, როცა პირველ პირში მთხრობელი ავტორი სხვა სულიერ არსებაში „ჩასახლდება“, ან უსულო საგანს დაუთმობს სიტყვას: ზოგჯერ ოქროს მონეტას, ზოგჯერ ფეხსაცმელს, ხანაც მხატვრის პალიტრის ფერს და სხვა. მელომანმა ლაშა ბულაძემ თავყვანისცემა ღვთაებრივი მარია კალასის მიმართ ერთბაშად უცნაურად გადმოსცა: „აალაპარაკა“ სოლიტერი (ლენტისებრი ბრტყელი ჭია, რომელიც ადამიანისა და ცხოველის სხეულში პარაზიტობს. გახდომის მიზნით, ის თითქოსდა გადაუყვალაპავს ახალგაზრდა მომღერალს, თუმცა სხვა წყაროები, მაგალითად, ერთი „მოყვითალო“, ვარსკვლავთა პირად ცხოვრებაში უცერემონიოდ მჩხრეკავი უცხოური დოკუმენტური ფილმი გველს გვისახელებს). ჭიის „მონო-

ლოგი“ ისტერიკით მთავრდება, რადგან მარია კალასი სიკვდილის პირასაა, სოლიტერს კი თავი ვერ დაუღწევია მისი სტომაქიდან.

რას იზამ, კაცია და გუნება! ერთი თანამედროვე გახმაურებული უცხოური რომანი ნაიკითხვ: ქალბატონი ავტორის მიერ წრეგადასული სიბილწის გადმოცემამ თავზარი დამცა; გავიფიქრე — ვაიმე, ესენი ალბათ ეკსკრემენტებზეც დანერუნ-მეთქი. ბედის ირონიით, მალევე გრუნბერგის „სტატისტიკა“ ჩემი ავიმოლოდინი „გაამართლა“; თუმცა, რაც მართალი, მართალია — ინფანტილური, გზაბნეული, გაუბედურებული თინეიჯერების ცხოვრებაზე დაწერილი რომანი არ დაინუნება.

თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამაო და, რიგ შემთხვევაში, ჩვენმა „გაბედულმა“ ავტორებმა აღვირახსნილობის რეკორდი მოხსნეს. ნარცისიზმის გადმოცემა (ირონიის გარეშე!) მოდური გახდა. არადა, ყოველივე ეს — „შეშველი“ ნატურალიზმი, სკაბრეზი თუ ავტორთა თვითრწული თავმომწონობა უკვე იყო XX საუკუნის დასაწყისში (სიურრეალიზმი, დადაიზმი, ფუტურიზმი და ასე შემდეგ)...

იგორ სევერიანინი, ეგოფუტურიზმის დამაარსებელი წერდა:

Я, гений Игорь Северянин  
Своей победой упоён,  
Я повсемерно озраён,  
Я повсеместно утверждён!

ჰიპერამბიციურობისა თუ „მანია გრანდოზას“ ბაცილა ბევრ ჩვენს ავტორსაც (ასაკობრივი ცენზის მიუხედავად) შეეყარა.

ქართველო „გენიოსებო“, იტრაბახეთ რამდენიც გინდათ, „გაიპიარეთ“ თავი, ღამის დედიშობილა გამოჩნდით ტელეეკრანზე, მაგრამ ნუ მისწერთ დედას! „წერილი დედას“ — აქამომდე ეს სათაური პაოლო იაშვილისა (1917) და სერგეი ესენინის („დედის წერილი“, „პასუხი“, 1924) შედეგების ასოციაციას ინვევდა.

დალოცვილო, თუ მაინცდამაინც ცინიზმის, ირონიის, მკრეხელობის, ბოღმისა და ბრაზის გადმონთხევა გსურს, ბანალურ ევფემიზმს მაინც მიმართე, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და ტაბუც გაითვალისწინე!

„დე-“ (ლათინური — de) ზოგჯერ რა თარსი თავსართია: დეკუმანიზაცია, დესტრუქცია, დესაკრალიზაცია, დემორალიზაცია, დემაგოგია...

არადა, როგორ დაენაფნენ ჩვენი უმნიფარი ტექსტების ავტორები ამ ცნებათა გაფეტიშებას?!

\*\*\*  
ზრდილობა ერთი ციური ნიჭთაგანია. აკაკი

იყო დრო, როცა ღირსეული თავდაჭერილობა, ზნეკეთილობა და ზრდილობა, დახვეწილი მეტყველება — ოჯახური გარემოთი, აღზრდა-განათლებით თუ შინაგანი კულტურით განპირობებული — „ბურჟუაზიულ გადმონათმად“ მიიჩნეოდა. იმ დროს დაბადებულიც არ ვიყავი, მაგრამ ზეპირი თუ წერილობითი წყაროებით (თანაც ჩემი ხელობის — ლიტერატურის ისტორიკოსობის გამო) კარგად ვიცი, როგორ „უღრენდნენ“, აჭერდნენ და ზოგჯერ ხვრეტდნენ კიდევ ასეთ ხალხს.

საოცარი ის გახლავთ, რომ საქართველო ერთ-ერთ გამონაკლისი იყო საბჭოთა კავშირში, რომლის მოსახლეობამ საუკუნეთა მანძილზე შესისხლხორცებული ყოფითი კულტურა, მეტყველებებისა და ქცევის ნორმები, ძირითადად მაინც, შეინარჩუნა ქალაქად და სოფლადაც. ამის დადასტურება იყო მიმართვის ყოველად ანტიკომუნისტური ფორმები — „ბატონო“, „ქალბატონო“... ყოველ შემთხვევაში, „ამხანაგოსა“ და „მოქალაქეს“ ძახილი, პირადად მე, ძირითადად, ძველ საბჭოთა ფილმებში გამიგონია. რუსეთში „ტოვარიშჩი“ და „გრაჟდანი“ მოგვიანებით უფრო სავალალო მიმართვა — „ჟენშიჩი-ნა“, „მუჟნიჩი-ნა“ ჩაანაცვლა.

ალბათ ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ ქართველებსათვის ამ მხრივ არაფერი შეცვლილა; ხოლო როცა რუსეთში მიმართვის ადრინდელ, რევოლუციამდელ ფორმაზე გადავიდნენ — „უფალო“ („გოსპოდინ“, „გოსპოჟა“) — თავადვე ენოთიერებოდათ.

თუმცა ერთმანეთს ბატონობით მივმართავდით, იყო გამონაკლისიც: XIX საუკუნიდან მომდინარე, დიდ ქართველ მწერლებს ხშირად მხოლოდ სახელით იხსენიებდნენ.

ილია, როცა ეკამათებოდა აკაკის, მაგალითად, წერილში „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“ — ბატონ აკაკი წერეთელად მოიხსენიებდა; სხვაგან კი, სადაც აქებდა და ადიდებდა მას, „ვინც ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ამ ოცდახუთ წელიწადში ატკობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის“ — მხოლოდ სახელს სჯერდებოდა. ეს უღრმესი პატივისცემის გამოხატულება იყო.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენ, კომუნისტური „სამოთხისაგან“ თავდახსნილთ, სრულიადაც არ უნდა გავგჭირებოდა ისედაც ბუნებრივი მიმართვის ფორმის (და შინაარსის) საყოველთაო ათვისებაც და, ზოგადად, უფრო დახვეწილ ურთიერთობებსა და ქცევის წესებზე ზრუნვა.

მოხდა პირუკუ: მცირედი გამონაკლისის გარდა, უზრდელობა, ბილწისტყვაობა, წრეგადასული აგრესიულობა, საჯარო კამათის დროსაც კი — გლადიატორის ალტკინებით შეხლა-შემოხლა (სიტყვიერი თუ ფიზიკური) ღამის ცხოვრების ნორმად გვექცა.

ყოფითი უკულტურობისა და მდაბიური მეტყველების თითქმის საყოველთაო გავრცელების შედეგია „ეპატაჟად“ შერაცხული უზრდელობა, მკვიდრად ფეხმოკიდებული მასმედიაში, მხატვრული ლიტერატურისა და კრიტიკის დიდ ნაწილში.

რაღა უნდა მოეთხოვოს ჩემს უსაყვარლეს ეიფორიულ თინეიჯერებს, ვულგარულობის, უხამსობისა და ბილწისტყვაობის ნიაღვარში (რეალურ თუ ვირტუალურ სივრცეში) რომ უწევთ „ოქროს ხანის“ გატარება...

**P.S.** სოფელი ძალიან მიყვარს; თუმცა „საკუთარი“ სოფელი არ გვექონდა (ზაფხულობით მაშინ იაფფასიან კიკეთსა და წყნეთს, ან, შექცევისდაგვარად, მთასა თუ ზღვას მივაშურებდით მთელი ოჯახი), სკოლის საგაზაფხულო არდადეგებზე ხშირად მარტოკა ჩავდიოდი სოფელ ქვიტირში, ავალანების სადა, ძველებურ ღამაზ სახლში, სადაც დიდი სიყვარულით მხვდებოდა მამაჩემის ბიძილა საშვიკო ბებო, მდივნის ქალი (მისი სამივე შვილი ქუთაისში ცხოვრობდა). ახლაც ჩამესმის მისი ტკბილი ხმა: დაძახებაზე, ჩემი „ბატონოს“ საპასუხოდ — „თვითონ ბატონო“ — მომიგებდა მე, მერვე თუ მეცხრეკლასელ ბავშვს და მერე მეტყოდა სათქმელს.



\*\*\*

ხალხის ალაგს მასაა გამეფებული, რომელშიც პიროვნება, ეს უღვთისიერესი მოვლენა, სრულიად ითქვიფება.

გრიგოლ რობაქიძე

იოსიპ ბროდსკის ნათქვამია: მსოფლიოში, ყველაზე მყარად ორი რუსული სიტყვა დამკვიდრდა „ვოდკა“ და „ინტელიგენცია“; რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ინტელიგენცია ამოშალოს ამ „სიიდან“. რაღა დარჩება მაშინ? მხოლოდ ვოდკაო (მოვისმინე ტელევიზიით, სიზუსტეზე პასუხს ვერ ვაგებ). ვფიქრობ, რომ ძალადობრივად თავსმოხვეულ ქსენოფობიასაც მიუძღვის ამაში ბრალი: გავიხსენოთ თუნდაც გაუთავებელი პოლემიკა ქართულ მედიაში გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს. მავანთა აზრით, ინტელიგენციის ცნება წმინდანის რუსული მოვლენაა და ჩვენთვის მიუღებელი იყო. როგორც ხდება ხოლმე, ნაბან წყალს ბავშვთან ერთად ქართული ინტელიგენცია („კორუმპირებული“, „ანგაჟირებული“, „გაყიდული“) გადააყოლებს.

ინტელიგენცია, ჩემი აზრით, მხოლოდ ინტელექტუალებს არ გულისხმობს, ეს ცნება ნებისმიერი ფენის ადამიანთა სულიერი თვისება, მისი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმის გამოვლენაა. ინტელიგენცია სამომხმარებლო სულისკვეთების ადამიანთა, „ჰომო ვულგარისთა“ ერთობლიობის (მასის) ოპოზიციურ მენეჯილედ მესახება.

ინტელიგენცია, სამწუხაროდ, ბევრჯერ იყო „განტყვევების ვაცი“ XX საუკუნეში (1921, 1924, 1937, 1951 და ასე შემდეგ), მას არც დამოუკიდებელ საქართველოში, XXI საუკუნეში ადგას ჯილა.

საქართველო ღარიბი ქვეყანაა და, შესაბამისად, ინტელიგენციაც ღარიბი ჰყავდა და ჰყავს; 90-იანი წლებიდან ინტელიგენცია მართლაც ინტელიგენტურად იტანს გასაჭირს. სულ ახლახანს კოლეგების (ლიტერატურათმცოდნეების) წრეში 70-იანი წლების ერთი „ფრთიანი“ სამთავრობო გამონათქვამი გავიხსენე: „უშრომელი შემოსავალი“. ამ ნონსენსზე (ეგრეთ ნოდებულ ჩრდილოვან შემოსავალს მარიფათი, ჭკუა და, რასაკვირველია, შრომაც ესაჭიროებოდა და დღესაც ესაჭიროება: ამიტომაც დაგვიტოვა „მოხერხებულმა“ წინა მთავრობებმა ცარიელი ბელელი) გვარიანად გაემხიარულდით, მაგრამ ერთსულოვნად შეეჯერდით, რომ ჩვენს ნაყოფიერ საქმიანობას ბოლო ოცნლეულში ზედმინეგნით მიესადაგებოდა „უშემოსავლო შრომის“ სტიგმა.

რატომ რჩება ინტელიგენცია მუდმივად ნაგებული? „უხერხემლობის“ (არააგრესიულობის) გამო თუ საკუთარ თავზე მტად ქვეყნის ბედი რომ აღელვებს და ცდილობს, ზედმეტი პრობლემებით არავის შეაწყინოს თავი?

„ტიქნიციზმის“ ადამიანის სულში შეჭრამ საკვალლო შედეგი გამოიღო: სულიერებას, რწმენას, ზოგადსაკაცობრიო მარადიულ ფასეულობებს, ზოგადად — ჰუმანიზმს რეგრესის უამი დაუდგა.

„კაცობრიობას ესაჭიროება ხსნა, კაცობრიობა დასაცავია საკუთარი თავისაგან; არსებულმა სინამდვილემ დაგვანახა, რომ მშვიდობისა და კეთილდღეობისაგან ძალიან შორს ვართ“ (პოლონელი მწერალი და ფილოსოფოსი სტანისლავ ლემი).

ჩვენთვის დღესაც აქტუალურია ლემის საყვედური საკუთარი მთავრობის მიმართ („სუვერენულ პოლონეთში კულტურის ბედით სახელმწიფოებრივ დონეზე არავინ ინტერესდება“), იგი 1997 წელს დასცინოდა უნიადგო ოპტიმისტებს, თუმცა მაინც ფიქრობდა, რომ კაცობრიობა, როგორმე, XXI საუკუნესაც გადაიტანს. XXI საუკუნესაც მოვესწარი, მაგრამ შოუ-ბიზნესისაგან ნალექილ საქართველოში შემოქმედებითი თუ სამეცნიერო ინტელიგენცია კვლავ გერის როლია.

**P.S.** რა მაგის პასუხია და, უსაშველოდ, უსახსროდ, უფუნქციოდ დარჩენილი, პატივყარილი ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილი შედარებით იაფფასიან ვოდკას რომ მიეძალა, ქსენოფობებს კი განვარისხებ, მაგრამ ნამდვილად არ არის მხოლოდ რუსი ოკუპანტების ბრალი.

**ყველა წესის დაცვით აღსრულებული და ეჭვგამორიცხვლი თვითმკვლელობა თითქოს არც ისე დეტექტიურ ამბად უნდა მოგეჩვენოს, მაგრამ იგივე წესები და გამორიცხვლი ეჭვები ახალი ისტორიის საშენ მასალად გვევლინება ან უკვე წიგნში და, ეს წიგნი, ყანრულად რომ ძალიან დაჯაკონკრეტოთ — დეტექტიური რომანია.**

ბოლოდროინდელ ქართულ ლიტერატურაში რამდენიმე კარგი დეტექტიური რომანის დასახელება თავისუფლად შეგვიძლია და, სწორედ ამ კარგ წიგნებს მივმატა ზვიად კვარაცხელიას ახალი რომანიც. თუმცა არის მასში კიდევ რაღაც აღმატებული და სრულიად სხვა, რაც ამ კონკრეტულ წიგნის ტექსტებისგან გამოარჩევს ახლაც და, ალბათ, სამომავლოდაც.

ეს, უპირველეს ყოვლისა, ზვიად კვარაცხელიას შემოქმედებითი სტილია, მისი წერის მანერა, ინტონაცია, რომელმაც პირველივე კრებულიდან დაამახსოვრა თავი მკითხველს. „ჰაე“ — ასე ჰქვია მის პირველ წიგნს, სადაც ისეთი ენით მეტყველებს ჯერ კიდევ გამოუცდელი, „დებიუტანტი“ ახალგაზრდა მწერალი, რომ შეუძლებელია, მძაფრ შთაბეჭდილებად არ ჩაგრჩეს გონების და გულის ყურთასმენაში.

ამ მრავალფეროვანი, მდიდარი ენითაა მოყოლილი ამბები ახალ რომანშიც. თუმცა, ენაზე ოდნავ გვიან. მანამდე კი, ორიოდ სიტყვით ფაბულის შესახებ.

**წინო სადღობელაშვილი**

**რეჰსიემი**

**დანადგული თაოზისთვის**

**ზვიად კვარაცხელია — „ფორმა №100“**

წარმოიდგინეთ ერთი პატარა ქალაქის ძველებური ფოტოატელიე, თავისი მუდამ ინტერესის აღმძვრელი, რაღაცნაირად მითოლოგიზებული ფოტოგრაფით და მისი იდუმალი-მისტიკური აღჭურვილობით, საიდანაც ჯერ კიდევ ჩვენს ბავშვობაში ვიცოდით, რომ ის ჩიტი გამოფრინდებოდა ხოლმე, რომელსაც წამი უნდა შეეჩერებინა და, მთელი ეს რიტუალიც — ფოტოს გადაღების სამზადისი, იყო ამ უხილავი ჩიტის მოლოდინი, რომელიც, ვინ იცის, რამდენი ადამიანის ცხოვრებიდან, კადრიდან, ეპიზოდიდან აფრენილა განუმეორებელი წამის სიმძაფრით და, სამუდამო ანაბეჭდებად უქცევია ერთი შეხედვით ჩვეულებრივი დრო; სწორედ ამგვარ ფოტოატელიეში იკრიბებიან კლასელები და იღებენ ერთობლივ სამახსოვრო ფოტოს, ფოტოგრაფი გამოცდილი სტრატეგიით ცდილობს მათ დანყოფი-დალაგებას, ვიღაცები ეწინააღმდეგებიან და, ფოტოზე, წინა რიგებისკენ მიინევენ... ჩხაქ! და ბავშვობის ერთობლივი ფოტოსურათი მზადაა.


მერე კი ყველაფერი ცხოვრებაში გრძელდება. ეს არის კლასი ბავშვებისა, რომლებსაც წყვილია, ქაოსი და ბოროტება ერგო ცხოვრების ულუფად. ეს — დანადგული თაოზაა. ნაომარი ქვეყნის შვილების თაოზა.

ზვიად კვარაცხელიას შემოქმედებაში ჯერჯერობით ცენტრალურ თემად სწორედ ეს — დანადგული თაოზის თემა რჩება (თვითონვე მოუძებნა სახელი და ასე განმარტა: „ჩვენ დანადგული თაოზა ვართ, შიგნიდან გვაქვს ნამზომი ჩართული და კაცმა არ იცის, როდის ავფეთქდებით, როდის ამოვალბინებთ სისხლის“. „ფორმა №100“)

ამგვარ სიმძაფრეებამდე საცხოვრებლად ბევრი ამბავი გჭირდება. ტრაგედიაც, კომედიაც, ფარსიც და აბსურდიც... რომანში ყველაფერი დოზირებულადაა საიმისოდ, რომ საერთო ფონი მოიზილოს, რომელზეც კარდიოგრამასავით დროის, ეპოქის, ცხოვრების ანაბეჭდი გამოჩნდება.

ზვიად კვარაცხელია არცერთ უმნიშვნელო ფრაგმენტსაც კი ეპოქის კონტექსტის გარეშე არ მოიხმობს არც რომანში და არც სხვა მოთხრობებში. ეს მისი მწერლური პოზიციაა — ვინრო ჭრილიდან კი არ დაგანახოს სათქმელი, არამედ, რაც შეიძლება ფართოდ გაგივოს კარი და გაჩვენოს მისი ყველა შესაძლო ინტერპრეტაცია. ის არ ძალადობს შენზე — მკითხ-

ველზე, და არ გთავაზობს „საკუთარ სინამდვილეს“ (მიუხედავად იმისა, რომ ეს სუბიექტური აღქმა სინამდვილისა, მისგან ნაფიქრი და ნაოცნებარიც კი, მთელ შემოქმედებას მსუბუქ რემარკად ახლავს და ესეც ძალიან თვალშისაცემია). ზვიადისთვის ნაცრისფერი 90-იანების სახელით უტრირებული უახლესი წარსული — პირადი ბიოგრაფიაა, პირადი მძაფრი შთაბეჭდილებაა, რომლისგანაც ვერ (თუ არ) თავისუფლდება და ცდილობს, შე(გა)ხედოს მას, როგორც განმსჯელმა, ანალიტიკოსმა, დამკვირვებელმა, მწერალმა... ფურცლიდან ფურცელზე, თავიდან თავში თითქოს მწერლის ჩაურევლად და დაუკითხავად, თავისით მოძრაობენ შინდისფერდროშიანი ახალგაზრდების აჩრდილები, ეგზალტირებული მომიტიზაციების ექოები, ყველაფერი ეს კი საბოლოოდ სიკვდილის ფერებად იძირება, სევდისა და მოწყენილობის ისეთ ფერებად, რომ მუდმივი მელანქოლია ამ წარსულიდან თავდაღწევას შენვე გაიძულებს — მკითხველს. თავდაღწევას არა გაქცევის გზით, არამედ, ელემენტარულ-



ლად, დაფიქრებით — რა მოხდა მაშინ? რა შეცდომები დავუშვი, ასე რომ დავისაჯეთ?..

ახალგაზრდა, ლამაზი გოგო, სახელად მართა, განუკითხაობის, უპასუხისმგებლობის ჭაობში ნაზარდი ბიჭების მსხვერპლი ხდება. თვითონაც ამ ჭაობის შვილია, უფრო სწორად, თავად მიიღო გადაწყვეტილება, ზიარებოდა ჭაობს, რათა ეპოვა გამოსავალი და გადაეურჩინა ერთადერთი ძმა, რომელსაც ციხეში ჯოჯოხეთური განაჩენი ელოდა. ამ მთლიან სისტემაში — ჯოჯოხეთის სისტემაში — ყველა თანაბრადაა ჩართული: დანყებული სახელმწიფო მოხელიდან, დამთავრებული კარის მეზობლებით, და მათ, ყველას, თავისი მოტივაცია აქვთ, მართათვის დახმარების აღმოჩენის თავისებური მეთოდი.

გამოსავალი კი მაინც არ არის, რადგან შეუძლებელია, ჯოჯოხეთურ სისტემაში, რაც უნდა კეთილშობილი ზრახვებით გიძგერდეს გული, იპოვო გამოსავალი. და მართა თვითონ პოულობს მას — თავს იკლავს. მისი თვითმკვლელობის გამოძიება რომანის მხატვრული ქარგაა, სადაც ახალი ამბები, ახალი ისტორიები, ხანდახან ცხადისა და ირეალურის ზღვარზე, ერთმანეთს ენაცვლება...

„ფორმა №100“ თანამედროვე რომანია — მასში რამდენიმე ტექსტია თავისი ენობრივი მრავალფეროვნებით. მეტატექსტები ერთმანეთს სიცხადეს და, ამავედროულ-

ლად, იდუმალებასაც სძენს, და ესეც ზვიად კვარაცხელიას შემოქმედების ღირსება მგონია. მას შეუძლია, გაიმბოს ნამდვილიც და მისტიკურიც და მათ შორის გამდინარე უგამჭვირვალესი ზღვარის კამერტონით გააჯეროს ტექსტი, როგორც მხატვრული ქსოვილი.

ერთ-ერთი შრე-ტექსტი კი მთხრობელის მიერ დაწერილი კინოსცენარია, რომელსაც „ფორმა №100“ ჰქვია. ზვიადი ცდილობს, ბევრი რამ ისედაც კინო-ენით და კინო-თვლით მოყვეს, რაკურსებს კინოს პრინციპით ალაგებს. ამის მშვენიერი ნიმუში ტაქსის ეპიზოდია, ტაქსიში მოსმენილი დიალოგები (რომლებშიც რომანის ერთ-ერთი გმირის ამბავი იხსნება) კინოსცენარის დიალოგებივით სხარტი და მნიშვნელოვანია, ეპიზოდი კი მთლიანობაში კინოს მართლა ჰგავს...

ფორმა №100 ჯანმრთელობის ცნობაა, რომელსაც კინოსცენარის გმირი იღებს და რომელიც კინოსცენარისტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი საბუთია გარესამყაროსთან საურთიერთოდ. ზოგადად, ეს საზოგადოებისთვის საჭირო ცნობაა, საზოგადოების „პასპორტია“, სადაც მისი სულიერ-ზნეობრივ-ეთიკურ-ესთეტიკური და უამრავი სხვა მდგომარეობა უნდა დაზუსტდეს.

ფორმა №100 საზოგადოებას მწყობრში ვერა აქვს, რადგან ამ საზოგადოებაში ჩვევები გაბატონებულან. ისინია ახლა უმტკიცესი რჯულზეც, სიყვარულზეც, ზოგადად — სიცოცხლეზე.

ერთ-ერთი თავი, რომელსაც „სადღელამისო“ ჰქვია, მთავარი გმირის დღიურის სახითაა დაწერილი. დღიურს უცნაური ფორმა აქვს — ყოველი აბზაცი ზმნის კამერტონით იწყება. ზმნა გამოტანილია წინა პლანზე და მთელი აქცენტი მასზე მოდის. შესაბამისად, თვალის ერთი გადავლებით, იშლება ზმნური ცხოვრების რეტროსპექტივა: ვიღვიძებ, ვიცვამ, ვვარჯიშობ, ვიკვებები, ვწნევი, გავრბივარ, ვმსახურობ, ვითვალისწინებ, ველაპარაკები, ვლამაზდები, ვკოცნი, ვსწავლობ, ვინარჩუნებ, ვინიღბები, ველოდები და ასე შემდეგ.

ცხოვრება, როგორც ზმნა — არის ამაში რაღაც ძალიან სახიფათო. სახიფათო, თუკი დაუშვებ და ჩვევად აქცევ. თუკი დაუშვებ და ჩვევად აქცევ იმასაც, რაც ამ ზმნების მიღმაა, ან შინაარსშია. ჩვევადაა ქცეული სამშობლოს სიყვარული — ამიტომ ის გადაგვარებულია და ეგზალტირებული ბრბოს ექოებამდე დადის, რომელიც ხანდახან გამოქვაბულისდროინდელი ადამიანის შინაგან აკუსტიკას მოგვაგონებს; ჩვევადაა ქცეული ტაძარში სიარული, ღმერთზე ფიქრი და ამიტომ, წიგნში რამდენიმე აქტიური სასულიერო პირის არსებობის მიუხედავად, ნათელი არც მათგან მოდის და არც ტაძარში მყოფი მრევლისგან. ისინიც რაღაც საერთო სისტემაში ჩართულან და პირადი მოტივაციით ცდილობენ, კბილებით დაიცივან ის, რისიც სწამთ. განსჯას ეს საკითხი არ ექვემდებარება.

ჩვევადაა ქცეული ადამიანის დამცირება, უსიყვარულობა. ამიტომ, სიყვარულის ყველაზე ამაღლებული გამოვლინებაც კი, რაც რომანის ბოლოში, მთავარი გმირის მიერ მართათვის ოდესღაც მიწერილი წერილში მუდმივად დგება, მხოლოდ მისტიკაა, ნახევრად დაუჯერებელი ამბავი, ეფემერა, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ფხვს ვერ იკიდებს. ყოველ შემთხვევაში, მან მართას გადაარჩენა ვერ შეძლო...

ვფიქრობ, ეს რომანი გაფრთხილება უფროა, შეხსენება საზოგადოებისთვის, რომ ფორმა №100 მუდმივად შესავსებია და მასში არასახარბიელო მონაცემებია. რომ დანადგული თაოზა ცხოვრების გზაზეა გამოსული და კაცმა არ იცის, რა შეიძლება, მოიმოქმედოს ბავშვობის ლაბირინთებში ჩარჩენილმა წყვილადის ნამსხვრევებმა. რომ მთავარი ცხოვრებით დაიცვან ის, ოვრების ხედა და გაცვდა, ფიქრი მასზე და არშეგუება. ბოროტებასთან, სიყალბესთან არშეგუება.

ასეთი პოზიციით ზვიად კვარაცხელია თვითონ ცხოვრობს, როგორც მოქალაქე. და ძალიან სასიხარულოა, რომ ამ პოზიციითვე აგრძელებს ცხოვრებას, როგორც მწერალი.



რალაცა, ჰორიზონტამდე განელილი, დაბრუნებისას შემჭიდროებული, მკვირივი, პოეზიის ფორმულასავით.

ლია სტურუა

სომ არის რალაც ფუნდამენტური კულტურული კოდი, რომლის გარეშე შენი აზრი, ფიქრი, ფასეულობა, იი, ასეთი ვერ იქნებოდა. და ხომ არიან ისინი. მათთან მთელი ცხოვრება დავალებული რომ იქნები, მათ მიმართ — მუდამ მადლიერი. ისინი ქმნიდნენ შენი სულის სივრცის რეალურ ბუნებრივებას. მათი სულის ნაბადია ის, რაც შენს მიმდევრებს შეელოდა. და ასე. მუდამ. ასე იქნება. რასაც არ უნდა არქიმედენ მერე ამ მონივნებას, ამ უბრალო მადლიერებას.

ნიგნს, რომელზეც ვილაპარაკებ, კარგად იცნობს მკითხველი. იქნებ ტელევიზია ან სხვა პიარსაშუალება უმოკლესი და ეფექტური გზა ყოფილიყო საზოგადოდ (რეკლამისათვის არ ვიჭყვი, ნიგნთან უხეზულია) გზა მკითხველამდე. რა თქმა უნდა, ფორმალურ მხარეს იგულისხმებდა, არა — სიღრმეს. აქამდე მკითხველს მისასვლელად დრო სჭირდება, ნიგნამდე მისვლა სჭირდება. ეს შემდეგი და უმთავრესი ეტაპია, რაც ამართლებს ან არ ამართლებს თანამედროვე ყველა პიარ ფორმალურ მხარეს: ის ხდება დამაჯერებელი, ან — არასოდეს.

თუმცა მკითხველი ინფორმაციის ამ ზღვანაკადშიც აკვლევს მისთვის განსაკუთრებულს. შესაბამის ფასეულობას, და — მეთანხმებით, სადაც ისე პოულობ შენს თავს, როგორც ამას სხვაგან ვერასგზით მოახერხებდი. ამიტომაც ლიტერატურა მხოლოდ თვითშემეცნების საუკეთესო გზა კი არა — ცხოვრების შემეცნების გზაც უნდა იყოს, გარდა ერთგვარი თამაშისა, მხატვრულსა და ემპირიულ, ორ სინამდვილეს შორის მდგომი მკითხველისათვის, ვისაც მწერალი აძლევს საოცარ საშუალებას: რეალობისგან მოუწყვეტლად განიცდიდეს ენითუთქმელ შერჩენებს, ყოფნას არამინიერ სინამდვილემ.

ზერელე, უგულისყურო კითხვა რელიგიურ რიტუალზე დასწრებას გავს, როცა მლოცველი თავად კი არ ეზიარება — თვალს ადევნებს პროცესს სხვათა ზიარებისა. ანუ: მოწმეა დელიკატური სერობის, სადაც მონაწილედ არ მიესვლება. და თუ მწერლის შემოქმედებას გული-სყურით მოვეკიდებით, აღარ დაგვრჩება შეგრძნებითი ადგილი, თითქოს სასწაული უჩვენოდ ხდება.

ეს იმ სახლს გავდა, სადაც ორი წლის წინ ვესტუმრე. ყველა ზედმეტობისგან ცარიელი ოთახების კედლები ტილოებს ავესო ზღვა ფერებით და სივრცეებით. რომ შემეძლოს სიტყვით აღწერა, იქნებ კიდევ მექცია ტილოდ. თუმცა ვამბობდი: ზღვა ფერებით და სივრცეებით სავსე სახლის კარი გამიღო

(ის წუთი „ნატვისის“ სონეტს გავდა: „და მე არ მინდა ფუფუნება ამაზე მეტი, ოქროსფერი დღის შუაგულში

ვიჯდე და ვჭვრეტდე“).

ყოფითი სიცარიელისგან დაცილი ოთახებს ხელოვნების უსავსესი მშვენიერება სამუხეუმე სივრცეს მატებდა. და ამ ფონზე კიდევ უფრო ამკვეთრებდა მისი პატრონის პოეტურად ფერმკრთალ ნატურას. სურათი იყო უკიდურესად შთაბეჭდვითი. დავსხედით და ვილაპარაკეთ პოეზიაზე. ქმნის პროცესზე. მხატვრობაზე. ელგუჯას შემოქმედებაზე.

(და როგორც „სიყვარულის სონეტში“. და „თვითკრიტიკულ სონეტში“. და „სონეტში დაფნის გვირგვინზე“. და „იმპრესიონისტულ სონეტში“:

„ღმერთი ვიცანი ამ ხატებში და შევიფერე, დავალევი ლურჯი წყალი, ჩამდგარი ხეში...“).

მაშინ ვფიქრობდი, სულ სხვაგვარად გაგრძელებოდა ყველაფერი. დავიწყებდი მუშაობას თემაზე. სწავლას გავაგრძელებდი. დაფნერი მის შემოქმედებაზე. თუმცა გაგრძელდა ყველაფერი. უფრო სხვაგვარად. მაგრამ მასზე დაუნერვლი დანაპირები, სიტყვები, სულ თავს მახსენებდნენ და სულ მაფორიაქებდნენ.

თუმცა მაშინ ვერ წარმოვიდგინე თუ სირუმი ჩემი დრო ასე გაგრძელდებოდა. როცა კარამდე მომაცილა, იდგა თბილი და

საყვარელი. ვიდრე კიბეს ჩავცდებოდი, სადარბაზოს გასასვლელამდე, ვიდრე კარს მიეფარებოდა დაკეტილს. რომლის შიგნით ჩემთვის დარჩა ზღვა ფერი და ზღვა სივრცე

(როგორც „ნოსტალგიურ სონეტში“: „ვილაცა მოვა და დამადებს სიმშვიდის ბორკილს, და მყუდროების სასარგებლოდ გაიღუქება“).

იმ სახლის იმ დღის იმ ემოციას, რასაც ვამსგავსებ ახლა, როცა ჩემს ოთახში ვზივარ მათ შორის, მის წიგნებს, ჩემ ირგვლივ გაშლილებს, იმ წიგნს ვიღებ. როგორც ერთგვარ სილურჯის ნაქრძალს. და შევეცდები მასზე მოვიყვებ. წიგნზე, სადაც „ზღვა დაკეტილია“.

რა თქმა უნდა, „საკუთარი ოთახი“ მის ავტორსაც არ მიუჩნევია მხოლოდ ადგილის გარემოებად. მეჩვენება, რომ განწყობად თვლიდა მდგომარეობას, როცა ქალი სოციალური და ყოფითი ბარიერის გადალახვის მერე შეძლებდა თავის დამკვიდრებას. როცა საზოგადოების ყოფა და ინსტინქტი მისი სულიერების მიმართ მტრულად აღარ იქნებოდნენ განწყობილი. ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ ზოგად თავისებურებებზე, რაც ნიჭიერი შემოქმედის დამკვიდრების პროცესს თან ახლავს. ეს არ არის ერთსახოვანად გახსნილი და უპრობლემო. მყარი ყოფის ტრადიციის ნიადაგზე მას მუდამ ხვდება დამკვიდრები-

დარეჯან სუმბაძე

სად მიდის, როცა „ზღვა დაკეტილია“

თი ბარიერი, როგორც წინააღმდეგობა. მაგრამ პრობლემა როცა შემოქმედ ქალს ეხება, ის ყველა სხვას აღემატება. მოდი, ნუ ვიჭყვით იმას, ლამის საუკუნე გავიდა უკვე „საკუთარი ოთახის“ შემდეგ. თუმცა განწყობა იმდენად თვალშისაცემია, ყურადღების ღირსადაც არ ღირს. რაკი ისედაც აშკარაა: არსებითი მენტალური მიდგომები უცვლელი რჩება. მასა ზოგადად ინარჩუნებს ტრადიციულ კონსერვაციულ შეუვალლობას სიახლისადმი. თუმცა დღეს აღარ გვჭირდება, ვამტკიცებდეთ თეორიებს ქალის ზღვა შესაძლებლობებზე. მან მოახერხა ყველა სივრცეში შეუდარებლად დამკვიდრება. და არათუ თანასწორად — უპირატესად, სიახლის ინიციატორად. მერე რა, თუ „სხვა ხეთა მიღმა გაჰყურებს სხვა ცას“.

სამყაროსადმი გახსნილობის, მიმღებლობის მდგომარეობის ბუნებრივი განვითარება პოეზიის ქმნა, განწყობის მდგომარეობაა, როცა ყველა შეხედულების, გარემოსა და რეალობის მიუხედავად ადგილი აქვს თავისებურ თავდადებას. როცა ყველა გარეფაქტორი მოპირდაპირედ დამდგარა, როგორც ხელისშემშლელი. ეს ერთგვარი ფონია, სადაც უნდა გამჟღავნდეს ენერგია, რასაც ძალა უნდა შესწევდეს აღმატების; მოახერხოს, იქმნას ახალ სინათლედ. ეს შემოქმედი ენერგიაა, ყოფითად დაუჯერებელი, მიუღებელი, და, ამავე დროს, შემოქმედი, ურომლისოდაც ვერ გაძლებენ.

აი, როგორი უცნაური სინთეზია გარემოსა და შემოქმედის მთლიანობა, ყოფიერების ეტაპი, რაც, ბოლოს და ბოლოს, შემოქმედის ისტორიულ დროდ უნდა იქცეს. თორემ მისი სულიერი დრო მუდამ იქნება. მერე და მერე უფრო მეტად, მუდამ იქნება.

მე ვთქვი, რეალობა არასდროსაა გულგრილი მეტი შემოქმედის სიახლისადმი. ის რეაგირებს სიტუაციის შესაბამისად. ეს სქემატური მიდგომაა. სახეს იცვლის ცენზორის როლში მყოფი მათგანი: ვინც ერთდროულად, ერთ შემთხვევაში, სისტემის თავგადაკლული დამცველია, სხვა დროს ხალხის საყვარელი შემოქმედი, კლასიკოსად წოდებული. მთავარია, ვის ჭრის სმენას ახალი სიტყვა, ახალი ფერი, ახალი გზა. ვის ურღვევს მყუდრო, მარადიულ უძრაობას ღია სარკმლიდან მონაბერი ახალი სიო. როცა ბრძოლას უცხადებს აზრის ფორმალურ მხარეს — ხან სონეტის და ხან ვერლიბრის სალექსო ფორმას, როგორც სისტემურ ზედმეტობას,

როგორც კულტურის ბურჟუაზიულ ბაქტირიას. მათ გააჩნიათ შესაბამისად, უდაოა, შესაბამის დროში მყარი არგუმენტები, რასაც ამაყად ეყრდნობიან — ისინი, ვინც უკვე მყარად დგანან ენობრივ შემოქმედებით ნიადაგზე. არგუმენტები, რა თქმა უნდა, მათივე ფიქრით, მუდამ ამართლებს მათ ცენზურას თუ პოზიციას. კრიტიკულ გზას, შეხედულებას საგანზე, რამაც, ჩვენთვის ფაქტია, დროს გაუძლო, თანამედროვედ, გადარჩენილ ფასეულობად წარმოგვიდგა. სამწუხაროდ, ეს განწყობა ყოველთვის ერთგვარ სახეს იღებს ყველა დროის ცენზორის აზრში, ვინც ერთგვარად მომართულია წინააღმდეგ ახალი და უცნაური ფიქრის კვალში დგომისკენ. ანუ საგნის განსჯისკენ. საგნის შემოქმედისთვის კი ეს რეალობა უკიდურესად რთული დროა. ანდა იქნებ ზუსტად ეს არის მისი ქმედების მოტივაცია, მისი მასტიმულირებელი. და, ამავე დროს, ცენზურის ქმნის მოთხოვნილება ჩნდება მოვლენის მიმართ, რამაც ხელოვნების უდაო საგანს გრძნობენ ისინი. ამიტომაც მგონია, რომ რადიკალიზმი ან სიხისტე, როგორც პოზიციური მიდგომები ავანგარდული მოვლენის მიმართ, გამომვლენთა მხრიდან აშკარა კონსერვატორულ შიშს აჩენს; და გარდაუვალ სიახლესთან ცენზურის სიღრმის შემეცნებელ კი არა, უფრო — ზედაპირზე დასანახი საგნის მიმართ ქვეცნობიერ იმპულსს ამჟღავნებს: დევნიდეს იმას,

უყვარდათ რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი... მის ხმას ვერლიბრის თავისუფალი სუნთქვა მოყვია. და როგორც ერთი საუკუნით ადრე იტყოდნენ, „მან თავისი სამყარო შემოხაზა“. ეს ერთგვარ ახალ ეტაპს იწყებდა.

ხელში მეჭირა ზღვისფერი წიგნი. ენერა „ზღვა დაკეტილია“.

და თუკი „ზღვა დაკეტილია“, და როცა „ზღვა დაკეტილია“, ვის შეესვლება დაკეტილ ზღვაში. გასაღები უნდა გვეპოვა.

ფიქრობდი, მე ვარ მკითხველი, ვინც ფლობს იმ არაჩვეულებრივ განწყობას, ხელს კიდებდეს ამ, ძალიან საფრთხილო, საქმეს. წერდეს პოეტზე, ვინც შეცვალა მისი თაობის, და უფრო წინა, ადამიანთა ენობრივი შეგრძნებითი ცნობიერება. და, ვფიქრობდი, ის, რაც დღეს ჩემი თაობისთვის ჰაერია, წყალია, რაც ბუნებრივად მოჩანს — ფორმა, ლექსთწყობა — იდეენობა რისხვით და კალმით. როგორც საერთოდ სიახლედ მკაცრ, კონსერვატორულ ნიადაგზე; როგორც რწმენის კატეგორია, როცა ახალ რელიგიებს ცეცხლისა და მახვილის რისხვით დევნიან ხოლმე. რისი სიცოცხლის უნარს ისევე დრო გამოცდის.

იმ ფორმობრივი სიახლის შეთვისება, რაც 70-იანი წლების საქართველოში ლია სტურუას, ბესიკ ხარანაულის სახელებს უკავშირდება, როგორც ყველა ექსპერიმენტი შესაბამის ეპოქაში, მოითხოვს ძალას, შემოქმედებით გამბედაობას. და თუ ორივე მათგანისათვის, ენისა და შემოქმედისთვის, ორგანული პროცესია, ასაზრდოვებს დაუძლეველი ენერგია, რადგან პროცესი სულაც არ არის ცალმხრივი. თანაც გულისხმობს დამხვედრ წინააღმდეგობას. ყველა სიახლეს, რაც ლოგიკურად უნდა დახვდეს კიდევ ტრადიციისგან. ეს სავსებით ბუნებრივია და, ამავე დროს, სასიამოვნო, როცა მკითხველი შეეცდები, თვალს ადევნებდეს ისტორიის ანალოგიებს. მაგრამ მეტად რთულია, როცა რეალობაში, აქ და ახლა, მსგავს პროცესში მონაწილეობ. ეს რთული იყო მაშინ მათთვისაც.

ეს სალექსო რეფორმა, ეს ახალი ფორმა, ფუნდამენტურ ნიადაგზე უძველესი ტრადიციის გახსენებას ემყარებოდა, ახალ სიცოცხლეს გულისხმობდა, ბასილი საბან-მინდელის ჩვენთვის ცნობილი უპირველესი იამბიკობედიან მეტრულად გამრავალფეროვნებულ ლექსამდე, ეროვნული და უცხოური სალექსო ფორმების შერწყმულ, უახლეს სინთეზამდე. ამ დროს დამკვიდრებული ვერლიბრი, თავისუფალი ლექსის ფორმა, ორგანულად შეეფერა ქართულ ლექსთწყობას. მიზეზი იქნებ იყო მისი სილაბური ბუნება, რაკი: ამ სახის ლექსის (ვერლიბრის) დაბადების ენაც — ფრანგული — არის ამავე ბუნებისა.

ხო, და, ვამბობდი: ხელში მეჭირა ზღვისფერი წიგნი. „ზღვა დაკეტილია“ ენერა. ვფიქრობდი: ეს აკრძალავა. მაგრამ მკითხველის (ჩემი) განწყობა როგორ მომცემს-მეთქი უფლებიყავი. ეს ერთგვარი მიღება თუ შეგუება იმ, გარკვეულ შეთანხმებულ, რეალობასთან აღარაფერს მიტოვებდა, გარდა ცნობის-მოყვარეობის, გამეგო, რა ხდებოდა მიღმა. უპირველესი, ამის შემდეგ რაც გავაკეთე: ავდექი და კარი დავკეტე. არა იმიტომ, ჩემი შევიღებ ხმაურით დიდად შემანუხებდნენ. ამისთვის უკვე გაიზარდნენ. არა. უფრო: მჭირდებოდა დაჯერება, ერთი შეხედვით, ამ მარტივი სინტაქსური წინადადების არა ჩვეულებრივი აზრის: როგორ უნდა ყოფილიყო ზღვა დაკეტილი. ასეთ დროს არის მნიშვნელოვანი, გქონდეს მართლაც საკუთარი ოთახი-მეთქი, გავიფიქრე. ფიზიკური მოცემულობა, გეოგრაფია, ადგილის მყარი გარემოება.

თუ ფერწერული ტილოსათვის ჩარჩოს ფუნქციას მივანიჭებთ, შეიძლება, ვილაპარაკოთ სათაურის პოეტიკაზე. ის ერთგვარ გამაფრთხილებელ აზრს თუ გასაღებს, როგორც საორიენტაციო მინიშნებას გვაძლევს ტექსტში შესვლამდე. ის გვაფრთხილებს, ყვება, გვითითებს. აქ ჩნდება შენი ნება. შენი შესაბამისი მოლოდინი, შინაგანი განგაში: როგორ იქცევიან ამ დროს. როგორ. სად მიდის, როცა „ზღვა დაკეტილია“. რატომ იკეტება ზღვა. სულიერება. განცალკევებით. ვის ესმის თუ ზღვა დაკეტილია. ან გზა მისკენ. ხედი.



რაც მცდელობის უკიდურესს მის სიბეჯითეს თვითდამკვიდრების საფრთხეს უქმნის. და აშკარაა, მედროვის ეს იმუნიტეტი, ხელოვნებასთან რასაც კავშირი, ვფიქრობ, არ აქვს, სიახლისადმი რადიკალური რეაქცია, როგორც ფორმულირებული ემოცია, ერთსახოვანად ვლინდება მუდამ.

ხელოვნისთვის ეს ასეა ზოგადად და ასე იყო თვითდამკვიდრების მისი პროცესიც. მის გამოჩენას, შემოქმედებით სიახლეებს რეაქციულად შეხვდნენ ისინიც, ვინც მანამდე მკითხველისთვის საყვარელი შემოქმედის სტატუსს აშკარად გულისხმობდა.

ერთი შეხედვით ყველაფერი როცა რიგზეა, როცა გამომცემლობები, ჟურნალები, გაზეთები უარს თუ არ ამბობენ შენს ნაწერებზე, კრიტიკა დუმს, ან დიოთირამბით ამკობს მათ, მაშინ, აი, მაშინ უნდა რჩებოდეს ეჭვის (მანიც) ნატამალი, ყველაფერი არცთუ რიგზეა. ანუ, როცა შემოქმედის გამოჩენას მოულოდნელი ცვლილება ახლავს ენის სივრცულ ატმოსფეროში, როცა მისთვის იხარჯებიან სიტყვები, ეს ცუდი არ არის. პირიქით, ეს ახალი დღის დასაწყისია.

აი, ასეთი მღელვარება მოჰყვა მისი შემოქმედების დასაწყისს, ვერლიბრის ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებას, თუ უძველეს ნაცნობ ფესვებთან დაბრუნებას, მაგრამ ახალ სიცოცხლეს ენის დაცულ ნიაღში, სადაც იყვნენ და უკვე



სარკმელი.

არსებობს კი რამე პირობა იქ მოხვედრის, გარდა იმის, დროებით მაინც დაივიწყო ყველაფერი, განმარტოვდე შენს ოთახში უცნაურ, ზღვისფერ ნიგნთან ერთად. მსგავსად ეგზისტენციალური მოგზაურობის. და დაიჯერო, რომ მართლაც „ზღვა დაკეტილია“.

ზღვის ნაკრძალივით ეს „ლურჯი ნიგნი“, სულიერების შენახვის, დაცვის შესაძლებლობა, შესხენებაა დედამიწის გონიერი მკვიდრებისთვის, დაცული ნოეს სამყაროა, ჩვენსავე სულიერებაში უცხოთვალდაუკარებელი, შენახული ჰუმანური ინსტიტუტების გადარჩენის სურვილია.

პირობითობით შემოსაზღვრულ პრაგმატიზმში ხშირად მხატვრული სინამდვილე მხოლოდ უბრალო მოთხოვნილება კი არა, — აუცილებლობაა. ამაზე ბევრს ვლაპარაკობთ. მაინც ბოლომდე არავინ იცის, რატომ ჩნდება ეს უაღრესად ჯადოსნური მოთხოვნილება: ეთიშებოდე რეალობას, თავს აფარებდე წარმოსახულ ხილვებს, სახეებს, მეტაფორებდა სახელდებულ შეგრძნებებს, ან ილუზიურად, მშვენიერად შეზურულ ანმყოს. რისიც საერთოდ ნაკლებად სჯერათ. გზა, არსებული დღის მოტყუების პირობად ქცევის, პოეტის ხმისკენ შენი, მკითხველის, გასაგებელია, თუ გინდა, ზღვა თვალთ იხილო:

„მომატყუეთ!  
ისე, რომ დავიჯერო,  
აგურისფერი ქარით  
გაამაგრეთ ტყუილი,  
თეთრი წინილებით,  
(სახლი და ფრთა)  
ოლონდ“

და ოლონდ მთავარია, არ ყვებოდეს პირობა, თორემ ხელოვნების თუ ესთეტიკური ტყუილის ქმნის მოთხოვნილება ხომ იქ ჩნდება, სადაც სამყარო გადავსებულა რეალური ტყუილით, სადაც მისგან გაქცევის ერთადერთი გზა საკუთარ თავს უნდა უპოვო თუ სულიერი რამ დარჩა შენში. და ზუსტად ისეთ გზას უპოვი, რის გავლასაც იმ სინათლის დოზა ეყოფა, რაც ჯერ ისევ გადაგრჩენია. ეს ხელოვნების უნარია: უნამდვილო მოჩვენების, მშვენიერებით თავდავიწყების, რეალური პოეზიისა. ოლონდ უნდა გვეროდეს მისი. ოლონდ: „ასე, 17 წლის უნდა იყოთ!“.

ოლონდ მუდამ და უპირობოდ. ეს პოეტის ყოფითი დროა. და ის საკუთარ პირობით დროში უცვლელია. ნიგნი წარმოადგენს ერთი ტიპის ლექსების კრებულს. თითქოს ერთ ამბავს მიყვებოდე. საერთოდ, ვფიქრობ, ერთი შემოქმედი ერთ ამბავს ყვება. მისი პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა, თითქოს ერთი სხივის მრავალ გვაროვანი პლასტიკური შესაძლებლობა, რადაც უცვლელ, ელემენტარულ, პირველ ნაწილაკს იმეორებს, იმგვარს, ნერილის ეპიგრაფი რასაც იაზრებს. ამ შემთხვევაში ზღვით შეკრული პოეტური ეს მთლიანობა, ქმნის საერთო სურათს, სადაც რეალობას არასდროს სცდები. მეტაფორულად თარგმნილი, ის შენი ალქმის გასაგებელი გზაა თუ ზღვაა. რომლის გარდა, ამ პალიტრაზე ლურჯი ფერი დომინირებს ყველა-ფრის ნაცვლად. სისხლის ნაცვლად ცა მონანილოვს.

პოეზია დედანია დღევანდლობის უამრავი „ტირაჟირებით“. ის დღეების ერთფეროვან მრავლობითობას იმეორებს. მისი სტილური ნიჭიერება ამავე დროს „უნიჭო გამრავლებაა“. ეს დროა, როცა ყოვლად უაზრო ერთფეროვნება ფარავს უმთავრესს, და ამ აბსურდულ რეალობაში გულგრილობა და მიმბაძველობა ერთსულად თანაარსებობენ. ანუ: ნიშნავს გიმეორებენ. ანუ: ვერასდროს გივიწყებენ.

„ვერ დამიმახსოვრა ზღვამ,  
ძნელად მოსაყოლი გაკვეთილივით“.  
ეს ზღვა მეხსიერებაა, წარმავალი,  
მიმოქცეული,  
„ერთი ტალღის მანძილზე ფიქრობს“. მოზაიკური ნატურმორტები,  
ზღვის წვეთები ავსებენ ამბავს.  
„წვიმა გადახრილი  
მარჯვნიდან მარცხნივ,  
სიბერნის პომას ვწერ —  
აი, სადაა ფსკერები!“  
„უანგი ოქროს ნათესავია?  
წყალწაღებულ მეთყვებებს  
მაინც არ მოეკიდება,  
იქამდე კლავენ...“

„ნადით ჩემი ისტორიიდან!  
მე თვითონაც გაძლებაზე ვარ:  
სულ მსხვილი პლანები,  
მოთვალთვალე ვიდეო,  
მასზე გათვლილი მოქმედება,  
არაცხოვრება,  
ესეც გარედან შემოგდებული,  
ქარივით, რომლის  
ხეებთან ურთიერთობა ლირიკაა,  
მავთულებთან — ფსიქოზი“.  
და აკროპოლის ურბანისტულ ხილვებს შორის დაკარგული პორტრეტები:  
„ჩემო ტყუებო!  
პირიზონტს რომ ალურჯვით  
და აადვილებთ,  
შუამდგომლობას მინვეთ მთებთან“.  
„ქალაქმაც ნელნელა დამიწყო ნაშლა,  
ოსტატურად შესრულებულ  
ბატალიებში,

ვის რად უნდა  
ჩემი კამერული პორტრეტი?“  
ასეთი შეუსაბამობა:  
„სანამ ორნი ხართ,  
ცულისპირზე ეტევით,  
მარტო რომ დარჩები,  
მთელი სახლი გინდა:  
ერთი ოთახი კოშმარები,  
ერთი შუშბანდი სინათლე,  
მათ გასანახევრებლად  
ხორცი —  
სამოცი კვ ვაშლი,  
თავისი რკინითა და ლაჟღაჟით,  
ცულისპირის მეტაფორას

ფართობი ჭამს  
რა შეუსაბამობაა! ვფიქრობ ჩემთვის...“  
მერე ფსკერი ზედაპირზე ინაცვლებს  
და სულ სხვა რამ ჩნდება:  
„რამდენი სხივი ჭირდება ღმერთს  
ჩვენი სარჩულის გასანათებლად!“  
ან „მუსიკა“, „მოციმციმე არითმია“:  
„მაგრამ მზე თუ მდულარეა  
და არითმია ცხოვრების წესი,  
თუ ჩემი ნახევრადბრმა თვალებით  
ვხედავ, რომ ოპერასა

და კონსერვატორიას  
ხესავით ჩრდილი აქვთ?  
მარტო ამისთვის შემოფარებენ  
და არა იმიტომ, რომ  
ვილაცაზე უკეთესი ვარ, ან უარესი,  
როგორც მუსიკა,  
არც კეთილია, არც ბოროტი,  
უბრალოდ მუსიკაა“  
და დაკეტილი ზღვის შეგრძნება,  
რომ სადაც მუდამ არსებობს,  
მუდამ გეგულდება  
„დიდი ქიშია“,  
უკიდურესი „რეალიზმი“.

პოეზია არ გულისხმობს თანმიმდევრულ ცდას: სიუჟეტს, კულმინაციას, კვანძის გახსნას. მაგრამ მკითხველს ხელის ალების მომენტებიდან ჭირდება აზრი, მიყვებოდეს ამბის პოეტურ დინამიკას. სტილური თავისებურება მკითხველისაგან ითხოვს დელიკატურობის იშვიათ უნარს. შეეცადე, შეაღწიო დაკეტილ ზღვაში, შეერწყა და შეითვისო სიმბოლური ფასეულობა. ეს უდაო პირობაა პოეზიის ხიბლში შესვლისა. ლოცვის რიტუალს, ღმერთთან მიასხლებას რომ ესადაგება. გულმხურვალეა უტოლდება განგების რწმენას. სხვაგვარად იქაც ვერ შეძლებ, უნდა განმარტოვდე, კარი დაკეტი. ბოლოს და ბოლოს, უნდა გაგაჩნდეს შენი ოთახი.

და რა ხანია, ვფიქრობდი მათზე. და რამდენჯერაც ხელი მოგვიდებ ამ ნაწერებს, ხელს მკიდებდა განცდა. როგორ ილაპარაკებ სინათლეზე, რასაც, როცა შეიგრძნობ, ხედავ ლაპარაკის უნარს გართმევს.

ამკარაა, ამ წერილში ჩემი მკითხველი არ ელოდება ჩემგან ტექსტის არითმეტიკულ შეფასებას. რიტმის, ბგერნერის, სემანტიკის განსაზღვრას. თავს ვინმე ჩემზე უკეთ გაართმევს.

ჩემი მიზანი არ ყოფილა, ვერანაირად იქნებოდა, ანალიზი ანდა მცდელობა ტექსტების დეკოდირებისა. არ ვარ ასეთი გაბედული. მით უფრო, ვთვლი, საკრალური პოეტური სამყაროს ახსნა, მისი თარგმნა, თუ დაყვანა ემპირიულ სინამდვილემდე, ადამიანურ ხელოვნებას და, მით უფრო, რიგით მცდელობას აღემატება. რაც ბუნებრივად ამ შემთხვევაში ჩემი მიზანი არ იქნებოდა. მე შევეცადე მიმემართა მკითხველის ხედვა „ზღვის დაკეტილი“ ტილოსაკენ, ხელახალი სამყაროს ლურჯი ნაკრძალისკენ, ულურჯესი სიყვარულისკენ, რაც დედამიწას მოიცავს, რაც სილაჟვარდეს მორიგჯერ იწყებს.

# სიასლე ქველი და ახალი თაობის ორი მწერლისგან

\*\*\*  
მივიპლახიზმილი, ქართველ მწერალთა უფროსი თაობის წარმომადგენელი, განსაკუთრებით გამოიჩინა აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით. გარდა იმიისა, რომ ახალ ლექსებს ინტენსიურად აქვეყნებს ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში, მკითხველს პოეტური კრებულებითაც ახარებს. ერთი წელი არ გასულა, რაც საზოგადოება მწერალთა სახლში მისი რჩეულის — „შენ ცოცხლობ ჩემში“ — პრეზენტაციაზე შეიკრიბა, ამჯერად კი მაჩაბელზე ავტორმა ახალი ნიგნი — „უცნობი მზე“ — წარუდგინა მკითხველს.

კრებულის სახელწოდება სახარები-სეულ სურათ-ხატებს იტევს, მოციქულის



მიერ წარმართებისთვის „უცნობი ღმერთის“ შესახებ არეოპაგში წარმოქმულ ქადაგებას გვახსენებს, სასულიერო თუ საერო ლიტერატურაში შექმნილ მის სიმბოლურ ანალოგიებს ეხმიანება და წინამდებარე კრებულის სახით „უცნობი მზე“ შეცნობის მარადიული პროცესის გაგრძელებაზე მიგვანიშნებს. „ნიგნი ამ ყველაფერს დაიტევს-მეთქი, ვერ ვიტყვი, — ბრძანა ბატონმა გივიმ, — ეს ფილოსოფიური ნაშრომი არ არის, პოეზიაა, მაგრამ პოეზიაშიც ხერხდება ხოლმე გარკვეული მახვილების დასმა, არა ხელოვნურად, არამედ ბუნებრივად. როდესაც შენში ის სამყარო გათავისუფლდა — თავისთავად მოძრაობს, თავის თავს გამოთქვამს“.

ნიგნი თავებდაა დაყოფილი. პირველი ვრცელი თავი, სახელწოდებით „უცნობი მზე“, მთლიანად ახალ ლექსებს ეთმობა, ისინი ავტორს ბოლო რვა თვის განმავლობაში დაუწერია. მკითხველი ნაიკითხავს იმ ტექსტებსაც, ბატონმა გივიმ სხვადასხვა მიზეზის გამო წინა კრებულში, „შენ ცოცხლობ ჩემში“, რომ არ შეიტანა. ძველი „შეცდომები“ ახალ ნიგნში გამოსწორებულია და იმ ლექსებს ცალკე თავი „ვრცელი წიგნი“ ეთმობა. მესამე თავი კი, „ჭაშნიკი“, გამოთიანებულია ლექსები, რომლებიც ქართველი კლასიკოსი პოეტების სტილისტიკის ავტორისეულ გათავისებას წარმოადგენს.

კრებული გამოსცა გამომცემლობა „საუნჯემ“. კრებულის რედაქტორმა და შემდგენელმა, ლექსო დორეულმა, ამგვარი შეფასება მისცა ნიგნსა და მის ავტორს: „წინასიტყვაობაშიც აღვნიშნე და ახლაც გავითმორებ, ამ ნიგნის მნიშვნელობა ქართული თანამედროვე პოეზიისთვის განსაკუთრებულია. მასში ძალიან კარგად ჩანს პოეტისა და ინტელექტუალის თეორიულ შეხედულებათა ენობრივ-ლინგვისტური გამოხატვის შესაძლებლობა. ერთ მთავარ ნიუანსზე გავამახვილებ ყურადღებას, რომელმაც გამსჭვალა ში-

ნაარსიც ამ ტექსტებისა. ეს გახლავთ ფორმისეული ერთეული, სინტაქსი, რომელიც ამ კრებულის პირველ ნაწილში შინაარსისეულ დატვირთვის იძენს, რამდენიმე ლექსი ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი და ზოგჯერ მთლიან წინადადებას წარმოადგენს. საუბარი მხოლოდ მცირე ზომის ლექსებზე როდია, რამდენიმესტროფიანი ლექსებიც ერთ ვრცელ წინადადებაშია განფენილი. მათი შინაარსი, ვიტყვოდი, ფენომენალურ სუნთქვაში მოათავსა ავტორმა. გივი ალხაზიშვილი ინტელექტუალი პოეტი“.

ბატონმა გივიმ პოეზიის ხედვა ასე განმარტა: „ჩვენი კავშირები თავიდან ბოლომდე პოეზიას, დაუნერულ პოეზიას შეიცავს. ცხადია, ადამიანის გარეშე და ადამიანთან კავშირების გარეშე პოეზია არ არსებობს“.

სალამოზე რამდენიმე სიმღერა შეასრულა ნინო ბაშარულმა.

\*\*\*  
ახალი თაობის მწერალმა ნათია როსტიაშვილმა და გამომცემლობა „პალიტრა L“-მა მწერალთა სახლში „ჭალის ანგელოზის“ პრეზენტაცია გამართეს. ეს ახალგაზრდა ავტორის პირველი პროზაული კრებულია, თუმცა მკითხველმა მწერალი ნიგნის გამოცემამდე ბევრად ადრე გაიცნო — ნათიას მოთხრობები ლიტერატურულ პერიოდიკაში ხშირად იბეჭდებოდა. ნოველა „ჭალის ანგელოზი“, „წერო 2013“-ის გამარჯვებულია. თუმცა ეს ახალგაზრდა პროზაიკოსის ერთადერთი წარმატება არ არის. ნათიას მიღებული აქვს რეზო ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსის მესამე პრემია, არის „ლიტბუნობა 2“-ის ფინალისტი, „ლექსების გამოფენის“ ფინალისტი, კონკურსის „მოკლედ ითქმის“ რჩეული, მწერალთა კავშირისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არაერთი ჯილდოს მფლობელი.

პრეზენტაციაზე ნათია როსტიაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა მწერალთა სახლს, გამომცემლობა „პალიტრა L“-ს, დამსწრე საზოგადოებას, განსაკუთრებული მადლიერებით კი მოიხსენია მიმა რატიანი, რომლის წვლილიც ნიგნის დაბადებაში უზარმაზარია.

ავტორმა კრებულის მიმართ დამოკიდებულება მხატვრულად გამოთქვა, საინტერესოდ გაგვიზიარა ემოციური გამოცდილება, თუ როგორ იბადება მოთხრობა, როგორ მწოდდება, იტიტება, როგორ იზიდავს ავტორს, თავის სამყაროში აქცევს, როგორ ფერადდება პერსონაჟები, თავიანთი ცხოვრებით აცხოვრებენ მწერალს, შემდეგ კი ფურცელზე გადადიან და როცა დრო მოდის, მკითხველსაც ეცნობიან. თუმცა პერიოდიკის ფურცლებზე, თუნდაც სხვადასხვა მწერლის ნაწარმოებებთან ერთად ამა თუ იმ კრებულში დაბეჭდილი მოთხრობა, რადაცნაირად, ახალშობილივით არის, არ სცილდება ავტორს, ზრუნვას ითხოვს მისგან; ბოლოს და ბოლოს კი, განშორების დღეც დგება, დღე, როცა მწერლის მოთხრობები ნიგნად უნდა იქცეს, ავტორს კი იმგვარი განცდა ეუფლება, თითქოს შვილს სრულწლოვანებისთვის მიეღწიოს და ახლა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ემზადებოდეს. „მშობელიც“ სევდამორეული ემშვიდობება თავის ქმნილებას, მკითხველის სამყაროსკენ ულოცავს გზას.

ღირსშესანიშნავი დღე მიულოცა ავტორს გამომცემლობა „პალიტრა L“-ის მთავარმა რედაქტორმა ნინო დეკანოზიძემ: „ვულოცავ ნათიას პირველ ნიგნს, ვულოცავ ჩვენს გამომცემლობას, რადგან კიდევ ერთ კარგი ავტორი შევიძინეთ. ვულოცავ მკითხველსაც — უპირველესად, სწორედ მას, რადგან წინ დაუვიწყარ პერსონაჟებთან შეხვედრა და დიდი სიამოვნება ელის“.

მომზადდა თამარ შურულმა





\*\*\*

კუ-კუ მატარებელი — გულის გამხარებელი  
ანუ აი დოსტ

გასაღები დამეკარგა  
რისი  
ყველაფრის  
მათ შორის ბინის  
იმდენი დავლიე რომ ამერია ტვინი  
გამიხევი პიჯაკიც  
არაფერი მახსოვს

აი დოსტ

და დაინყო  
დაინყო ჩვეულებრივ  
უსიამოვნება  
ახალი უსიამოვნება  
კიდევ უსიამოვნება  
სიამოვნების საზღაური უსიამოვნებაა  
ეს ყველამ იცოდა  
ეს ყველამ იცის  
მაინც შეჩვეულთან განშორება მიჭირს  
მიყვარს შეჩვეული  
და მეყვარება უკუნითი უკუნისამდე

უკუნისის რა მოგახსენოთ და  
კუ-კუ  
მომემის დროდადრო  
უკვე  
ჰოდა ცოტაც მაცალეთ  
შეჩვეულს ნუ გადამაჩვევთ  
კაცია და გუნება  
მე მიყვარს შეჩვეული  
ცოტა შეჩვეულიც მიყვარს  
უფრო მეტად კი —  
ბევრი შეჩვეული  
სწორედ იმდენი რომ  
აი დოსტ

იძახე ახლა შე ბებერო  
აი დოსტ  
მაინც არაფერი გახსოვს

ჯანდაბას საფულე  
დოზანას ფული  
(ან რალა დარჩებოდა)  
გასაღები მენანება  
ჩემი ქალიშვილის ნაჩუქარ  
იმ ლამაზ ბრელოკზე მაინც არ შემემა  
თან ცრურწმენა მიპყრობს —  
თუ გასაღებს ვერ ვიპოვი  
საქმე კარგად არ წავა  
მართლაც  
რალაც გაგრძელდა  
უსიამო ვნებათა ლელვა  
უსიამოვნებათა ლელვა  
უსიამოვნებათაღელვა  
ჩვეულებრივზე დიდხანს გაგრძელდა  
წყალი არ გაუვა  
გასაღების ბრალია  
გასაღების პოვნამდე საქმე კარგად არ წავა

ისე კი  
არ წავა და ნუ წავა  
ვიმუშავებ მწუნავად  
კუ-კუს  
ჩა-  
მო-  
დგო-  
მა-  
მდე

\*\*\*  
რა ვაკეთო?  
ორი საათი დარჩა საფრენი.  
დილის ხუთი საათია.  
თვალეები მენვის.  
მაინც ვერ ვიძინებ.  
ვერც ვკითხულობ.  
რა ვაკეთო?  
ორი საათი დარჩა საფრენი.  
არა, უკვე საათი და 59 წუთი —  
როგორც იუნყება ტელეეკრანი.  
არაფრის საკეთებლად მაინც ბევრია.  
რა ვაკეთო?  
ირგვლივ ყველა თვლემს.  
მეც ვხუჭავ თვალებს.  
არა, ასე უარესია.

ვიხედები მრგვალ ფანჯარაში და ვატყობ —  
ირღვევა ერთფეროვანი ლამის წყვილიადი:  
ამ შუქფეხების რეჟისორი ღვთაებრივთან  
უთუოდ წილნაყარია — ჯერ ფანტასტიკური  
მოყვითალოთი იფერება ცის კიდე, აი, უკვე,  
ჯადოსნური მოვარდისფროც გამოჩნდა...

ნეტავ, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს  
ილუმინაცია, ვიდრე — ჩააქრობდეს



ერთფეროვანი დღის შუქი მას?  
აღბათ, ოციოდე წუთი.

თუმცა ამისაც მადლობელი ვარ:  
ხუმრობა ხომ არ არის —  
ათას ორასი წამი...

**63300**

მერე რა რომ — 10 სთ თვითმფრინავის  
ეკონომკლასში — უკვე ნამდვილი წამებაა  
ჩემთვის: ვინრო სავარძელში გაჭედდის —  
ალარც ფილმების ცქერა მართობს და  
ალარც მუსიკის სმენა, ციურმა საჭმელმა კი,  
საერთოდ, ლამის ბოლო მომიღოს!

მერე რა, რომ — ხვალისა და ჭკვიანური სახით  
უნდა ვიჯდე სავალდებულო კონფერენციაზე  
და ვუსმინო წყლის ნაყვას!

სამაგიეროდ, დღეს ვზივარ ჩემს ერთადგილიან  
ნომერში, პატარა „დივანზე“, ფეხები პატარა  
საჟურნალო მაგიდაზე მაქვს შემოწყობილი,  
წყნარად ვკითხულობ ჩვენს ლიტერატურულ  
ჟურნალ-გაზეთებს, შიგადაშიგ გავხედავ  
ხოლომე — როგორ ასველებს ტროპიკული  
სალამოს წვიმა, პალმებით, როდოდენდრონებით  
და ოქროსთევზებიანი აუზებით დეკორირებულ,  
ატრიუმის მაგვარ, ბალს... არავინ  
„მეკონტაქტება“, არავის „ვეკონტაქტები“...

და ამას ბედნიერებაც შეიძლება, დაერქვას —  
ბედნიერების წვეთი...

\*\*\*  
სააბაზანო ბანკოკის სასტუმროში

თეთრი აბაზანის კუთხეში —  
უბრალო შუშის ვინრო, მალალი, ვაზა,  
ვაზაში — უბრალო მცენარე —  
მოგრძო მწვანე ფოთლები —  
შტრიხი, ცივი კომფორტის  
გამომაცოცხლებელი...

ეტყობა, ვაზაში ყოველდღე წყალსაც ცვლიან  
მუდამ მომდიმარი, ვინრო-ნუშისთვალეა  
გოგოები...

ვინრო-ნუშისთვალეა გოგოები,  
რომლებიც გრძნობენ  
სიმწვანის  
სუთქვას...

\*\*\*  
ალარ მინდა არაფერი  
არაფერი ალარ მინდა  
ალარ მინდა ალარაფრის კეთება  
თენდება თუ ლამდება თუ  
ლამდება თუ თენდება

ალარ მინდა პროექტები  
ალარ მინდა რეპორტები  
ალარ მინდა ლექტორობა  
ალარ მინდა მენტორობა  
ალარ მინდა რექტორი და  
დირექტორი ალარ მინდა  
ალარ კმარა  
სიბერეში  
ცალფეხნახევარი მიდგას  
ალარ მინდა ალარაფრის კეთება  
თენდება თუ ლამდება თუ  
ლამდება თუ თენდება

კაცი მაინც კაცი არის  
ცოცხალს ჰგავს თუ არაცოცხალს  
და სიცოცხლეს თავის წესით  
მაინც მიდის თუ მიცოცავს  
მიცოცავს თუ იპარება  
სულ მიმალვას სადღაც ცდილობს

ჰოდა ალარ მინდა მეტი  
ამ ლუპუსტაცს კუდში ვსდით  
ალარ მინდა ალარაფრის კეთება  
თენდება თუ ლამდება თუ  
ლამდება თუ თენდება

მინდა გახდეს ჩემი ეგო  
ცარიელი  
უშედეგო

შენი ეგო  
შემდეგი  
დასრულდება შედეგით

ფუჭი გზებით  
სავსე გზებით  
ასე  
გავწო-ნასწორ-  
დებით

\*\*\*  
კიდევ ერთი სასიმღერო

თამაშ-თამაშ,  
თამაშ-თამაშ,  
ნაკლებ სერიოზულად!  
— ძმაო, იქნებ დღესაც ჩავკრათ,  
მოსულა?  
— მოსულა!

თუკი მაინც ვერ მოვიგებთ,  
ვერ წაუვალთ განგებას —  
წვალე-წვალე ნაგებას სჯობს  
თამაშ-თამაშ ნაგებას.

ლიმილ-ლიმილ,  
ლიმილ-ლიმილ,  
ნაკლებ სერიოზულად!  
— ძმაო, იქნებ დღესაც ჩავკრათ,  
მოსულა?  
— მოსულა!

წუნუნ-წუნუნ — აპრუნუნუნ!  
არც ვდარდობთ და არც ვწუნუნებთ.  
არაფრით სჯობს წამი წამს და  
საუკუნე საუკუნეს.

სიცილ-სიცილ,  
სიცილ-სიცილ,  
ნაკლებ სერიოზულად!  
— ძმაო, იქნებ დღესაც ჩავკრათ,  
მოსულა?  
— მოსულა!

ვინ საით და ჩვენ კი ისევ —  
ძველისძველი დუქნისაკენ.  
რა დუ-შაში, რის დუ-ბეში —  
რა სჯობია დუ-იაქეს?!

ნელა-ნელა,  
ნელა-ნელა,  
ნაკლებ სერიოზულად!  
— ძმაო, იქნებ დღესაც ჩავკრათ,  
მოსულა?  
— მოსულა!

დროს ვერაფერს ვერ წაართმევ,  
დროს თავისი მაინც მიაქვს.  
თუკი ქვეყნად რჩება რამე —  
აღბათ, მხოლოდ —  
„აი ია“...

ჰოდა:

თამაშ-თამაშ,  
ლიმილ-ლიმილ,  
სიცილ-სიცილ,  
ნელა-ნელა...

\*\*\*  
როცა ეძახი შენ თავს  
და ხმას არა გცემს თავი —  
ეს ნიშნავს რომ შენ თავთან  
ვერ დაგიდია ზავი,  
ეს ნიშნავს, რომ ჯერ სული  
სულელობს ისევ ისე,  
ეს ნიშნავს რომ ჯერ ხედავ  
არევ-დარეულ სიზმრებს.  
ეს ნიშნავს რომ ჯერ ისევ  
იმედი დაგრჩა ხვალის,  
კვლავ გელანდება გზა და  
კვლავ გელანდება კვალი...  
დრო კი არა გკლავს თითქოს —  
დროს თითქოს თვითონ კლავ...  
ეს ნიშნავს, რომ მთლად ვერ ხარ  
კაი ჭკუაზე კვლავ.



დაზიუბი

„უდაბნოში ჩვეულებრივი დილა თენდებოდა... მზის შუქი კვლავ ჰაერში ლივლივებდა, ქამელეონებიც სოროებიდან ძვრებოდნენ. სადღაც შორს დაღლილი ქარავანიც მოჩანდა. ეტყობა, დიდი ხნის ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, „შავი ოქროს“ კვალს მიაგნეს და ჭაბურღილის თხრა უნდა დაეწყათ. ქარავანი ოცდახუთი კაციისაგან შედგებოდა. ერთ-ერთი ლურჯარაფატიანი მითითებებს იძლეოდა, შიგადაშიგ ცას ახედავდა და მზის ზენიტთან მიახლოვებასთან ერთად უფრო და უფრო აჩქარებდა დანარჩენებს. ყველაფერზე ეტყობოდა, ქარავნის წინამძღოლი იყო და უდაბნოსაც სხვებზე უკეთ იცნობდა. ოცდათხუთმეტიდან ორმოც წლამდე ევროპელი თარჯიმანი ქალი, არაბ მუშებსა და ამერიკელ მკვლევარებს ერთმანეთთან რომ აკავშირებდა, ახლა ვილაცას გადამცემით ატყობინებდა ნავთობის აღმოჩენის ამბავს და ვაშინგტონელი მთავარი ინჟინრის მოთხოვნით დამხმარე ტექნიკოსის გამოძახებას ცდილობდა.

ორიოდე საათში მთელი მოსამზადებელი სამუშაო დასრულებული იყო. ქარავნის ეკიპაჟმა დამხმარე ძალის მოლოდინში კარვები გაშალა და უკვე სადილიც უნდა დაწყებულიყო, როცა ყველაზე ასაკოვანი არაბი მუშა უცებ მუხლებზე დაეცა და ძველი, მივიწყებული ენაზე უცნაურ ყვირილს მოჰყვა, დანარჩენი არაბები შეშინებულნი წამოცვივდნენ ფეხზე.

— რა დაემართა, რა აყვირებს? — იკითხა ინჟინერმა.  
— ლოცულობს, — აუხსნა თარჯიმანმა.

იმ მხარეს, საითაც მომლოცველი არაბი იყურებოდა, მათკენ მომავალი კაცი გამოჩნდა... უცხო მალევე მიუახლოვდა. მომლოცველი არაბის ყვირილისაგან ისედაც შეშინებული ამერიკელები უცხოს გარეგნობამ კიდევ უფრო დააბნია. კაცს გრძელი, დიდი ხნის შეუჭრელი თმა ერთიანად ქვიშით ჰქონდა სავესე, თუ მონივდომებდნენ, გაბურღულ ნვერშიც უამრავ საინტერესო რამეს აღმოაჩენდით. სხეულს ძველისძველი, უამრავ ადგილზე დაკერებული ერთიანი ჯვალის პერანგი უფარავდა. ქარავანს რომ მიუახლოვდა, იქ მყოფთ თავის დაკვირვებას მიესალმა.

— ვინ არის?... აქ საიდან გაჩნდა? — იკითხა ინჟინერმა, რომელიც მანამდე, სანამ არაბი მუშა ყვირილს მორთავდა, თავის მონესრიგებით იყო დაკავებული და ახლა ნევრის საპარისი და სავარცხელი ისე დაეჭირა ხელში, თითქოს საფრთხის მოლოდინში შეიარაღდა.

— არ ვიცი, მისი ენა არ მესმის. ძველ ენაზე ლაპარაკობს, — უპასუხა თარჯიმანმა.

როგორც ჩანს, მისი არც სხვა არაბებს ესმოდათ, გარდა მომლოცველი მუშისა, რომელიც უსმენდა უცხოს და მის ყოველ სიტყვაზე უცნაურად იმანჭებოდა — ცდილობდა, მისი ნათქვამი სხვებისთვისაც ეთარგმნა.

— რაო, რას ამბობს? — ვედარ მოითმინა ინჟინერმა.

— ამბობს, პირველყოფილი ვარ, დიდი ხანია, უდაბნოში დავეცელები... და მალე აქ ქარიშხალი დაინფება... — მესამე ენაზე თარგმნა თარჯიმანმა ქალმა ნათქვამი.

— რა ქარიშხალი?! ეს, ეტყობა, ჭკუაზეა შემცდარი. ქარიშხლის საშიშროება რომ არსებობდეს, აუცილებლად შეგვატყობინებდნენ... — თავი დაიმშვიდა ამერიკელმა.

უცხო არაბ მუშასთან საუბარს განაგრძობდა... ინჟინერი ამჩნევდა, რომ რაც მეტს უთარგმნებდა მომლოცველი მეგობრებს, მათში სულ უფრო ლვივებოდა შიში.

— ხომ არ გაგიუდნენ! ვის უსმენენ! — ამერიკელმა ქალს სთხოვა, მისი ნათქვამი არაბებისთვის ეთარგმნა.

— ქარიშხალი რომ იყოს მოსალოდნელი, ბაძიდან აუცილებლად გვამცნობდნენ... ხვალ ამ დროს დამხმარე ძალა უკვე აქ იქნება და თხრას დაიწყებთ. ასე რომ, სანერვიულო არაფერია, — თარჯიმანმა წინადადება დაასრულა თუ არა, მუშებს ლურჯარაფატიანი გამოეყო და ქალს მიუახლოვდა. ქალმა წინამძღოლს მოუსმინა და მერე ინჟინერს მიმართა: ის ამბობს, რომ უდაბნოში ზედმეტად ღრმად ვართ შემოსულები და ამ მიდამოში შესაძლებელია, ქარიშხალი ისე ამოვარდეს, რომ ამის შესახებ ვერავინ შეიტყოს...  
ინჟინერმა გაკვირვებით შეხედა ლურჯარაფატიანს:

— ესენი სულ გადაირივინენ? ამ გიყს

გიორგი ჩალაძე

ქარაპანი

როგორ უსმენენ?! თარჯიმანმა მხრები აიჩეჩა და თავი გააქანა. ინჟინერი გადამცემს დასწვდა... გადამცემში საპასუხოდ სიცილის ხმა გაისმა, როცა ბაზაში აქ მომხდარი ამბები მოისმინეს. შემდეგ თქვეს, რომ არანაირი საფრთხე არ არსებობდა და მოქმედება გეგმის მიხედვით უნდა გაეგრძელებინათ — საწყისი სამუშაოები დაეწყათ. ინჟინერი და თარჯიმანი მითითებების გაცემას ცდილობდნენ, თუმცა არაბები უკვე კარვებს შლიდნენ. ამას დაერთო ისიც, რომ ლურჯარაფატიანიც მოითხოვდა აქაურობის დატოვებას. ქალმა ბრძანების შესახებ უთხრა, წინამძღოლმა თავი გააქანა:

— მე თქვენს პროგნოზზე მეტად ამ კაცის მჯერა...

ქალმა მისი ნათქვამი სიტყვა-სიტყვით უთარგმნა ინჟინერს, რომელიც მაშინვე ყვირილს მოჰყვა:

— ვადას თუ გადავაცილებ, ინვესტორები თვალის დაუხამხამებლად გამოგზავნიან სხვას! ნავთობის ძებნაში ისედაც ხუთი დღით მეტი დრო დავკარგავთ, ვიდრე ნავარაუდები გვქონდა!.. ასე რომ, დამატებითი დრო არ გვაქვს!..

თარჯიმანს თარგმნა დასრულებული არ ჰქონდა, რომ...

— გასაგებია, მაგრამ თუ თავს არ შევადარებთ, შეიძლება, ყველანი დავიღუპოთ, — უპასუხა ლურჯარაფატიანმა.

— არავითარ შემთხვევაში! ჩვენი ძალებითაც შეგვიძლია, თხრა დავიწყეთ! — არ ცხრებოდა ინჟინერი.

კამათი ამკარად ჩხუბში გადადიოდა... ყველანი ინჟინერს და ლურჯარაფატიანს შემოეხვივნენ გარშემო. უეცრად სროლის ხმა გაისმა! პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე... და ვილაცამ ასე მთელი მჭიდი დაცალა... ყველანი ძირს იწვნენ!.. გარდა პირველყოფილისა, რომელმაც სროლის ხმაზე უკვე ზენიტში ასულ მზეს ახედა და არაბი მუშის მსგავსი ყვირილი მორთო. პირველად თავის წამოწევა ლურჯარაფატიანმა გაბედა... მათგან დაახლოებით ოცდაათი მეტრში იარაღშემართული პრაქტიკანტი, აქ წამოსვლისას უნივერსიტეტმა რომ მიამაგრა ინჟინერს, ქამელეონებს დასდევდა.

— რა ჯანდაბას აკეთებ? სულ გაგიჟდი?! — იფეთქა ინჟინერმა. პრაქტიკანტი შეცბა, პასუხად უაზროდ დაიღრჩა და თავი ჩახარა. ლურჯარაფატიანმა იარაღი ხელიდან გამოგლიჯა და — იარაღს ჩემი ნებართვის გარეშე ხელი არავინ ახლოსო! — ყველას გასაგონად დაიღრიალა, თან თარჯიმანსაც ანიშნა, რომ მისი ბრძანება ყველასთვის გასაგები გამხდარიყო. შემდეგ ისევ ინჟინერს მიუბრუნდა:

— თქვენს ხალხს იქნებ შეაგნებინოთ, რომ უდაბნოში არიან და შესაბამისადაც უნდა მოიქცნენ!..

— იცით, თავიდანვე მივხვდი, რომ თვალში არ მოგივდით... ანაზღაურებით ხომ არ ხართ უკმაყოფილო?

თარჯიმანი ქალი მათ საუბარს უკვე მექანიკურად თარგმნიდა...

— ანაზღაურება აქ არაფერ შუაშია!.. სიმართლე თუ გინდათ, სამინისტროდან რომ არ ებრძანებინათ, თქვენს გიძობას საკუთარ თავზე არც ავიღებდი... თქვენგან განსხვავებით, უდაბნოს ვიცნობ და ვიცი, გაძარცვას არავის აპატიებს.

— ისევ ეს ცრურწმენები!.. ძალიან მაინტერესებს ასეთი მსოფლმხედველობით საერთოდ როგორ მოახერხებთ არაბებმა გადაარჩენა?.. — დაბნეულმა თარჯიმანმა ინჟინერს შეხედა, მაგრამ მისმა დაჟინებულმა მზერამ აიძულა, ნათქვამი გადაეთარგმნა. ლურჯარაფატიანს სახეზე რისხვა გამოეხატა და კბილებშია გამოსცრა:

— ცრურწმენებით!..

ინჟინერს გადათარგმნა აღარც დასჭირვებია, პასუხი ისედაც გასაგები აღმოჩნდა მისთვის, ირონიულად ჩაელიმა და ყველას ზურგი შეაქცია... წინამძღოლმა ბანაკის აშლის ბრძანება გასცა... როგორც კი ხალხი წამოიშალა, ინჟინრის ხმა ისევ გაისმა:

— აქედან ფეხს არ მოიცვლის არავინ! — თარჯიმანმა ესეც გადათარგმნა.

— ჩემს ხალხს თქვენი ნავთობის გამო ვერ გავწირავ, — შეეპასუხა ლურჯარაფატიანი.

— ჩვენ კი საქმიანი ხალხი ვართ და

თქვენი ილუზიების გამო პროექტს ვერ ჩავაგდებთ!.. ასე რომ, აქ ვრჩებით, — არ ჩამორჩა ინჟინერი.

— თქვენ შეგიძლიათ, თქვენს ხალხს უბრძანოთ, ჩვენ კი — არაბები, თავად გადავწყვეტოთ, რა ვქნათ...

არაბებმა თავიანთი კარვები აშალეს. ნასვლისას წინამძღოლი ბანაკში დარჩენილებთან მივიდა გამოსამშვიდობებლად:

— ჩვენ ჩრდილოეთით, აქედან დაახლოებით ათი კილომეტრის მოშორებით, ძველი ქალაქის ნანგრევებს შევადარებთ თავს და თქვენც გირჩევთ, ასევე მოიქცეთ...

— თქვენ თქვენივე ილუზიებს გაურბიხართ, ჩვენ კი არ ვართ მიჩვეულნი უაზრო წინათგონებების გამო საქმის შეწყვეტას, ასე რომ, აქ ვრჩებით! — გაისმა ინჟინრის პასუხი.

ცხენებზე და აქლემებზე ამხედრებული არაბები უკვე ნასვლას აპირებდნენ, როდესაც თარჯიმნის ხმა შემოესმათ:

— შეჩერდით!.. დამელოდეთ...

ინჟინერმა გაკვირვებით გახედა კარვებიდან გამოსულ უკვე ზურგჩანთიან ქალს.

— იცით... თუ არაბები აქედან მიდიან, ჩემს საჭიროებას ვეღარ ვხედავ... ასე რომ, თუ შეიძლება, მეც მათთან ერთად წავალ, — მორიდებით ჩაილაპარაკა ქალმა.

— თქვენი გადასაწყვეტია, — უპასუხა ინჟინერმა და ზურგი შეაქცია.

ლურჯარაფატიანმა თარჯიმანი ერთ-ერთ აქლემზე შესვა და თვითონაც არაბული ჯიმის ცხენზე აპირებდა ამხედრებას, როცა ბანაკის განაპირას ქვაზე ჩამოიჯდა. პირველყოფილს მოჰკრა თვალი. კაცი მშვიდად უყურებდა წამსვლელებს და, როგორც ჩანს, თვითონ განძრევასაც არ აპირებდა. წინამძღოლმა მოხუც მუშას პირველყოფილზე მიუთითა, მოხუცმა რაღაც გასახა პირველყოფილს მისთვის გასაგებ ენაზე, პასუხს დაელოდა და შემდეგ თავისიანებს განუმარტა, რომ „უცხო“ დარჩენას აპირებდა. ინჟინერი მიხვდა, რაც ხდებოდა და გაბრაზებულმა დაიყვირა:

— ამას აქ გვიტოვებთ?!

— ამბობს, რომ უდაბნოს შვილია და დედა შვილს არაფერს ავენებს, — განუმარტა თარჯიმანმა.

— შემოიღო!.. — ჩაიბურტყუნა ინჟინერმა და საქმეს მიუბრუნდა.

არაბები უკვე ორი საათის ნასულები იყვნენ, როცა ამერიკელებმა თხრა დაიწყეს... პირველყოფილი მთხრელებს მივარდა და მათთვის ბურღის ნართმევა სცადა. დიდი ხნის ძიძგილაობის შემდეგ ერთ-ერთმა მუშამ სახეში გაარტყა და ძირს დასცა. პრაქტიკანტმა იარაღი დაუმიზნა „უცხოს“ და ანიშნა, ახლოს აღარ მისულყო.

მუშაობა გაგრძელდა და როგორც კი ამის შემდეგ ბურღი მიწას შეეხო, პირველყოფილი მუხლებზე დაეცა და ამჯერად ჩურჩულს მოჰყვა, შიგადაშიგ ოდნავ ხმამაღლა რაღაც უცნაურ ბგერებსაც წამოისვრიდა. რაც უფრო ღრმად თხრიდნენ, მისი ჩურჩულის ხსნარაფეც მატულობდა... ინჟინერმა დარჩენილებს ანიშნა, ყურადღება არ მიექციათ მისთვის და მუშაობა არ შეწყვიტოთ, თვითონ კი შიგადაშიგ გახედვად ხოლმე პირზედუქმოდგარ, მუხლებზე დაცემულ პირველყოფილს, ჯიუტად რომ განაგრძობდა ლოცვას და საკუთარ თავს იმ უცნაურ, გაუგებარი შიშის გამო საყვედურობდა, მაინც რომ უჩნდებოდა ამ შემოღობი მომლოცველის შემხედვარეს. ცდილობდა, ლოგიკური ახსნა მოეძებნა ამ შეგრძნებისთვის. „იქნებ, მართლაც ამბობს?... იქნებ, მართლა საფრთხე გვემუქრება?“ — ჩნდებოდა ეჭვი, მაგრამ იქვე ყურში ბაზაში მჯდომი თანამშრომლის სიცილი ჩაესმოდა და საკუთარ თავზე ბრაზდებოდა.

სიცხისგან გათანგულებმა მუშაობა დიდხანს ვერ შეძლეს, მზეც უკვე გადადიოდა, ამიტომ გადაწყვიტეს, დაესვენათ და დილით დამხმარე ძალასთან ერთად გაეგრძელებინათ საქმე. დაღამებისთანავე ამერიკელებმა ცეცხლი დაანთეს და სმა დაიწყეს. უკვე შემთვარალმა ინჟინერმა ბანაკის კუთხეში კვლავ მუხლებზე მდგარი პირველყოფილი დაინახა, რომელიც მთელი ამ

დროის მანძილზე განუწყვეტლად ბუტბუტებდა. პრაქტიკანტს დაუძახა და სთხოვა, მისთვის სასმელი შეეთავაზებინა. ახალგაზრდა უკან მალევე მობრუნდა და თქვა, რომ „უცხო“ ყურადღებაც კი არ მიაქცია. ინჟინერმა ხელი ჩაიქნია და პრაქტიკანტთან ერთად ახალი აღმოჩენის სადღეგრძელო შესვა. ღამის თორმეტ საათზე კარგად შეზარხოშებულმა თავი თავიანთ კარვებს მიაშურეს, მხოლოდ პირველყოფილი დარჩა გარეთ და მასაც მალევე ჩამოეძინა მუხლებზე მდგომს...

შუალამე დიდი ხნის გადასული იყო, როცა სიცივემ გამოაღვიძა, მის გარშემო მიმოფენილ ცელოფენსა და ქალაღებებს ქარი ჰაერში აფრიალებდა. პირველყოფილი ნელ-ნელა წამოინა ფეხზე, ხოლო როდესაც საბოლოოდ გამოერკვა ძილბურანიდან, აჩქარებით გაიქცა იმ ბორცვისკენ, რომლის თხრაც მკვლევარებმა წინა დღეს დაიწყეს. ბურღის ვიწრო ნვერი მიწაში მხოლოდ ორ მეტრზე იყო ჩასული და ამ ორი ცერის სისქის დამეტრის ხვრელიდან შავი, ბლანტი სითხე ნელ-ნელა ამოდიოდა... შემინებული ახალმოსული მუხლებზე დაეცა, ორივე ხელი ხვრელს დაწვა და ლოცვა განახალა. მიუხედავად მისი მცდელობისა, სითხე არ ჩერდებოდა და ახლა უკვე ხელებს უფარავდა. ქარმაც იმატა, ჭავლი გაძლიერდა, ხელის დაფარებას აზრი აღარ ჰქონდა. „უცხო“ ფეხში წამოხტა, ხელები განზე, მხრების სივანეზე ჰორიზონტალურად გაშალა, მთვარეს ახედა და კივილი მორთო, გაურჩებლად გაჰკიოდა გაურკვეველ სიტყვებს. მის ხმაზე გაღვიძებული, ჯერ კიდევ ნახევრადმთვრალი ამერიკელები კარვებიდან გამოცვივდნენ... თავდაპირველად ამ სანახაობით შემინებული მკვლევარები ადგილზე გახევდნენ. უფრო მოხერხებულმა კარვების გამაგრება სცადეს. დანარჩენები უაზროდ დაძრწოდნენ ბანაკის ტერიტორიაზე, ერთმანეთს ეხლებოდნენ და მომუშავეებს ხელს უშლიდნენ. აღელვებული ინჟინერი აქეთ-იქით დარბობდა და მითითებებს იძლეოდა. ერთიანად განუხულ პირველყოფილთან მიახლოებას ვერაფერს ბედავდა. ისიც დროდადრო ბრუნვიდან ბრუნვამდე როკავდა. შეხტომისას ჰაერში, პირით მთვარისკენ აღმოჩენილი, მეგლივით შეჰყმებოდა და შემდგომ მუხლებში მოკეცილი ეხეთქებოდა მიწაზე.

ქარმა კიდევ უფრო იმატა, სამაგრებს პალოებიანად მინიდან გლეჯდა და კარვებს მისტიკური, ზღაპრული ფრინველებივით ჰაერში აფრიალებდა. შემინებული ცხენები, რომლებმაც თავის დახსნა ვერ მოახერხეს, ტორებზე შემდგარი განწირულები ჭიხვინებდნენ.

შემინებული პრაქტიკანტი იარაღის ყუთს მივარდა და, ინჟინრის ყვირილის მიუხედავად, შადრევნის ცენტრში მოხტუნავე პირველყოფილს ესროლა. ტყვიის გაფარდნასთან ერთად ნავთობი ააღდა, ჭავლს უმატა და ჰაერში სფეროსებურად შეიკრა. მროკავს „ახალმოსული“ ახლა გაბმულ ყუთში მოჰყვა. უეცრად სფეროდან „შავი ოქროს“ ცეცხლმოკიდებული ცხენები გამოცვივდნენ და მთელ ბანაკს მოედნენ. რასაც კი შეეხებოდნენ, მაშინვე ფერფლად აქცევდნენ. ააღებული ადამიანები მიწაზე გორავდნენ და შველას იხევებოდნენ. ამ სურათის შემყურე ინჟინერი გაქვავებული იდგა, სანამ მის სხეულშიც არ გაიარა ოქროს ცხენმა...

... მზის შუქი ჰაერში ლივლივებდა და ქამელეონებიც სოროებიდან ძვრებოდნენ. უკან დაბრუნებულ არაბებს ბანაკის ადგილას მხოლოდ ფერფლი დახვდათ, რომელსაც სუსტი ნიავი ათამამებდა ჰაერში. მოხუცმა მუშამ, რომელიც გუშინ „უცხოს“ მოსვლისას გაბმულ კივილს მოჰყვა, ჰაერში თითი გაიშვირა და შორს, ჰორიზონტზე ყველამ დაინახა აღმოსავლეთისაკენ მიმავალი „პირველყოფილი“, რომელიც სიმორის გამო ჭიანჭველასავით პატარა ჩანდა...





პოეტი

ზვიად რატიანი

ზვიად რატიანზე და მის ლექსებზე ბევრი იწერება. არ ვიცი, წერილების ავტორები რატომ უთმობენ განსაკუთრებულ ყურადღებას იმას, რომ ის ლიტერატურული თავყრილობების ხშირი სტუმარი არ არის, რომ მწერალთა წრეებში არ ტრიალებს, რომ თავის წარმოჩენა არ უყვარს და ასე შემდეგ. ალბათ იმიტომ, რომ იშვიათია ავტორი, რომელიც აღიარებულია ერთ-ერთ საუკეთესო პოეტად, მუდამ ყურადღების ცენტრშია და ეს ხდება არა სხვადასხვა გარეაქტივობის, არამედ სწორედ საკუთარი შემოქმედების გამო.

ძალზე ახალგაზრდა მახსოვს — თარგმანებს კითხულობდა უცნაური, დასამახსოვრებელი ინტონაციით. მას შემდეგ მუდმივად ვეცნობი მის ახალ ნაწარმებს, თითქოს ნივთებივით ხელშესახებ ლექსებს, მის შესანიშნავ, პატიოსან თარგმანებსაც. ძალიან მინდა, მეც პატიოსნად მოვეპყრო, როგორც რესპონდენტს, და მისი სახე, ენა, ინტონაცია სრულად შევიწარმოე ამ ინტერვიუში.

— როგორც ვიცი, თითქმის მთელი საქართველო შემოიარეთ. არაერთი წლის განმავლობაში სამსახურებრივად გვევალვოდით „მოგზაურობა“, სულ სადღაც მიემგზავრებოდით და ბრუნდებოდით. მაინტერესებს, რა მოგიტანათ ამან, როგორც შემოქმედს და მწერალს — დაკვირვებების, სურათების ადამიანს...

— გავიგე! ამაზე ახლა უფრო შემიძლია ლაპარაკი, როცა მოგზაურობები შეწყდა, მომაკლდა და ეს ყოველდღიურობაში ვიგრძენი. თვითონ მოგზაურობაზე — არა საკურორტო ზონებში, არამედ მთაში, სოფლებში, ტყეში, ნებისმიერ საინტერესო თუ უინტერესო ადგილას — ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ზოგადად, დიახ, ვექცეოდი შთაბეჭდილებების ქვეშ და ვწერდი ამაზე. თუმცა არ მგონია, მიზეზი იმდენად მოგზაურობა ყოფილიყო, რამდენადაც, უბრალოდ, ჩემი, ალბათ უკვე სამუდამო ჩვევადაქცეული მიდგომა, რომ პრინციპში, რასაც ვცხოვრობ, იმას ვწერ, მინდა თუ არა. სწორედაც რომ არ მინდა, მაგრამ რეალურად ასე გამოდის.

— მოგზაურობის ცამეტი წელი, ცხა-დია, აისახა თქვენს ლექსებზეც, მაგრამ — მხოლოდ შინაარსობრივად თუ სტილის, ფორმის თვალსაზრისითაც რაიმე შეიცვალა?

— შინაარსობრივ მხარეზე ლაპარაკი უფრო ადვილია, იმიტომ, რომ შეიქმნა ლექსების ციკლი, „გზები და დღეები“, რომელიც, მთლიანად იმ მოგზაურობებზეა. იმდენად კოლაჟური იყო ის წლები, ის ადგილები, სადაც დავდიოდი, ხშირად ახალგაღვიძებული ვერც ვიხსენებდი, სად ვარ — მეხსიერებაშიც ფრაგმენტულად ჩამრჩა და წერის დროსაც, როცა სადღაც დაბანაკებული ვჯდებოდი, რომ მეწერა, კოლაჟურად ვხედავდი. ასე რომ, ლექსებში, შინაარსის დონეზე, რა თქმა უნდა, აისახა, ისე როგორც სხვა ყველაფერი. ამ თვალსაზრისით, ცხოვრება მთავარი ნყაროა ჩემთვის, თუმცა არ მომწონს, რომ ასეა. რაც შეეხება წერის ტექნიკას — ცოტა უფრო სერიოზულ და ღრმა რაღაცებს — აქ ერთადერთი, რაც მოქმედებს, ნიგნებია, რომლებსაც ვკითხულობ და რომლებიც მახსენდება. არ მგონია, რომ რიკოთი, ან ჯვრის უღელტეხილი განსაზღვრავდეს ლექსწერას, არა. ერთადერთი გამოცდილება, რომელიც ამაზე მოქმედებს, მკითხველის ცხოვრებაა.

— რატომ გინდათ, ბიოგრაფია და ტექსტები დააშორეთ ერთმანეთს?

— ეს წმინდა მწერლური ინტერესია — გაცდეს საკუთარ თავს, როგორღაც გაიშა-

ლო, უცნობ კუთხეებში შეიხედო, რაღაც უფრო მეტს მისწვდე. ობიექტური ნაწარმოები მეტის საშუალებას აძლევს ავტორს. მქონდა მცდელობები — სოციალური ტიპის რამდენიმე ნაწერი, სადაც „მე“ არ ვიყავი, სადაც „ჩვენ“ ვიყავით, მაგრამ იქაც ბევრი იყო პიროვნული, საკუთარი. შეიძლებოდა სხვა „მე“-ს შექმნა და მის გარშემო ტრიალი, საინტერესო იქნებოდა ძალიან, მაგრამ „მე“ სულ მე ვარ, სხვა „მეები“ ვერ დაგვიკეც.

„ რაც მოქმედებს, ნიგნებია “

— არასოდეს გიფიქრიათ, პროზაშიც გეცადათ ბედი?


— მიფიქრია. სულ ვფიქრობ ამაზე. უბრალოდ, არ გამოდის. ერთადერთი პროზაული ნაწარმოები, მოთხრობა, მგონი, 2001 წელს „არილში“ დავებეჭდე, სხვა დანარჩენი მხოლოდ მცდელობები იყო და ჩემთან დარჩა. ენობრივი ინტერესი, შინაგანი მოთხოვნილება, ამბები — ეს ყველაფერი მაქვს, მაგრამ ძალიან მიჭირს პროზის წერა. ალბათ, ცოტა უფრო მსუბუქი ხელია საჭირო. ყოველ წინადადებას, ფრაზას ლექსივით არ უნდა მივუდგე. იუველირული დამოკიდებულება, ამ შემთხვევაში, სანამ ხელს გაეინაფავ, ზედმეტი. ასე მგონია, პროზას მაინც სხვა სპეციფიკა აქვს, ჩემთვის საპატივცემულო პროზაიკოსებისგანაც მსმენია, რომ წერენ ნაწარმოების მთავარ ნაწილს, ასე ვთქვათ, კორპუსს და მერე ამუშავებენ. ჩემ შემთხვევაში კი პირიქითაა — გზადაგზა, სტრიქონ-სტრიქონ, სიტყვა-სიტყვა მივყვები. თუმცა ტექსტს ჩასწორება და მონტაჟი მერეც სჭირდება. პროზაზე მაინც სულ ვფიქრობ. ზოგადად, პროზა დამაწერინაო, ამ განწყობითაც არ ვარ, უბრალოდ არის კონკრეტული ჟურნალ-გაზეთებში, თუმცა ისინი კრებულებს მიღმა დარჩა, იმ ჩემს წარმოდგენილ კონკრეტულ წიგნში, ჩემს „შემორაგულში“ მათ ადგილი ვერ ვუპოვე.

ზვიად რატიანი  
გზები და დღეები

ტული რაღაცები, რაც შეიძლებოდა, გამომსვლოდა. ვიმედოვნებ, რომ როდესმე დავეწერ.

— კრებულს იშვიათად გამოსცემთ. რატომ გაქვთ ამხელა ინტერვალები, ან როგორ ცხოვრობთ ნიგნდან ნიგნამდე?

— არ მგონია, ჩემ შემთხვევაში, 5-6 წელიწადს დიდი შუალედი ერქვას. 1994-2000 და 2005-2009 წლებში გამოიცა ბოლო ოთხი კრებული. უფრო ადრეც იყო ერთი, ბავშვობისდროინდელი, რომელსაც სერიოზულ გამოცემად არ მივიჩნევ. ჯერ ერთი, არსად მეჩქარება, აშკარად. მეორეც, როცა ვწერ, ნიგნს ვხედავ. ერთი პუბლიკაციები, მაგრამ სხვაა ნიგნი. ლექსების გარკვეული რაოდენობა, რომელიც სანაგნე თაბახებს შეავსებდა, აპრიორი ახალ კრებულს არ ნიშნავს. კომპოზიციური თამაშებს — ასე დავარქვით — ჩემთვის ძალიან სერიოზული მნიშვნელობა აქვს, თუმცა მკითხველმა, ნიგნს რომ გადაშლის, შეიძლება ვერც შეამჩნიოს, რატომ არის ლექსები სწორედ ისე დალაგებული და არა სხვაგვარად. ახლაც რაღაცებს ვაკეთებ, უბრალოდ, ნიგნს ვერ ვხედავ. ბევრი ლექსია, რომელსაც ვებეჭდავდი ლიტერ-



ატულ ჟურნალ-გაზეთებში, თუმცა ისინი კრებულებს მიღმა დარჩა, იმ ჩემს წარმოდგენილ კონკრეტულ წიგნში, ჩემს „შემორაგულში“ მათ ადგილი ვერ ვუპოვე.

— „ნეგატივი“ მთავარი მიზანი იყო, გამომერიცხა ლექსები, რომლებიც არ მიყვარს და ჩემთვის აღარ არსებობს. ასეც მოვიქციე, დავტოვე მხოლოდ ის, რაც, ჩემი აზრით, ასე თუ ისე, გამოიჩინებოდა. დანარჩენები გააქრე. თუმცა რამდენად გაავაქრე, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, რაც კრებულში არ შევიდა, იმას ხელს არ ვანერ.

— თქვენს ბოლო წიგნზე, „ნეგატივი“, ბევრი დაინერა. როცა ინტერვიუსთვის ვემზადდებით, რამდენიმე რეცენზიას გავეცანი. იმ პუბლიკაციების ავტორები ამბობენ, ნიგნი წინა კრებულებისგან სრულიად განსხვავდება. — განსხვავებული იმიტომ არის, რომ, ჯერ ერთი, მასში შესულია ოთხი კრებული. ორი ძველი — „ჯიბის ჰაერი“, „გზები და დღეები“ — და ბოლო ორი ახალი ნიგნი, ლექსების ორი ციკლი, გამოუცემელი. იქ შევიდა ლექსები, ლექსების სახეობა, რომლის წერასაც ვაგრძელებ. მომავალში მათი შედარებით ვრცელი ვარიანტი დაიბეჭდება. მქონდა კიდევ ერთი ასეთი ნაწილი — „ღია და ფარული მიძღვნები“, ზომით გრძელი ლექსები, თუ არ ვცდები, ხუთი თუ ექვსი ლექსი, რომელიც იდეაში ასევე გრძელდება, თუმცა იმ ციკლიდან, „ნეგატივის“ გამოცემის შემდეგ, მხოლოდ ერთი ლექსი დავებეჭდე. რა ვიცი, ბოლო წლებში ნიგნის მიმართ გაცვივდი და აღარც ეს ბოლო ლექსწყობა მომწონს.

— ლექსების მიმართ რატომ გაცივდა?

— ასე ხდება ცხოვრებაში. ამაში, ალბათ, ცუდი არაფერია. მოწონება-არმოწონებაზეც არ არის, უხერხულიცაა ლაპარაკი, ძალიანაც არ მომწონს უამრავი რამ, თითქმის არაფერი, რაც დამიწერია. აქ, უბრალოდ, ვგულისხმობ თვითონ წყობას, დალაგებას. სხვანაირადაც შეიძლება და-მეთქი, ვამბობ.

— ბოლო წლებში ცოტას იმიტომ ხომ არ წერთ, რომ განსაკუთრებულ მოთხ-

ოვნებს უყენებთ საკუთარ თავს?

— უბრალოდ, ვცდილობ, ინტუიტიურად მივუდგე საკითხს. შეიძლება, უამრავი იტყუისკოლოფო და სხვადასხვა ახსნა მოუძებნო შენს მუშაობას, მაგრამ გაგიტაცებს ეს, სხვაგან წაგიყვანს და არასწორ სურათს დაგანახებს. ინტუიტიურ დონეზე კი ყოველთვის სწორად აღვიქვამ, თუ რა არის ჩემთვის ახლა საჭირო და რა — არა.

— „მე მიყვარს ცივი პოეზია და არა ცხელი, არა წვნიანში ჩაღობილი, არამედ ხმელი“ — თქვენი ფრაზაა.

— ის არის, რასაც ვფიქრობ და ვცდილობ: მაქსიმალურად სადად, უბრალოდ, გამჭვირვალედ ვწერო. სხვათა შორის, ვიღაცამ სადაც დაწერა, სტერილური ენა აქვსო. ნეგატიურ კონტექსტში იყო ნათქვამი, მაგრამ მე საუკეთესო კომპლიმენტად მივიღე და ამიტომაც დამამახსოვრდა. სწორედ ასეთი ენით მსჯერ, ვწერო.

— გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან წერთ. მახსოვს, სწორედ იმ წლებში „კავკასიური სახლის“ ლიტერატურულ საღამოებზე კითხულობდით ხოლმე ლექსებს, ასევე — თარგმანებს. მაშინ რილკეს თარგმნიდით. მერე ვნახე,

რომ საუბრობდით რაღაცების დავინყევის სურვილზე. რას გულისხმობდით, რის დავინყევას — ძველი ნაწერებისას?

— არა, დავინყევა მინდა-მეთქი, რომ ვთქვა, არასწორი იქნება, რადგან ეს თავისთავად ხდება. ყოველ შემთხვევაში, მუდმივად რაღაც ახლის შექმნის სურვილი არ მაქვს, ეს კარგი თვისება არ გამაჩნია. დიდად ჩაკეტილ მწერლად ვხედავ საკუთარ თავს და, შესაძლოა, სხვადასხვა ფორმით, მაგრამ მთლიანობაში, ერთსა და იმავეს ვუტრიალებ. ლექსის ფორმა იცვლება, ჩემს შემთხვევაში უფრო მარტივდება, ვიდრე რთულდება. არის რაღაც გამჭვირვალეობა, რომელსაც სიტყვებით ვერ გამოსცემ. არსებობს წარმოსახვითი, ამორფული, სიტყვებით შეუვსებელი ფორმები, თუნდაც — ვიზუალურ დონეზე, გრაფიკულ დონეზე და მათ შევსებას ვცდილობ. მინდა, კონკრეტული ენით შევავსო. ენა ხომ — ქართული თუ ნებისმიერი სხვა — უამრავია. ქართული ენის კონკრეტული ფენით და შრით მინდა, შევავსო და, მაქსიმალურად მარტივად მოვახერხო ეს — მარტო ის რომ იყოს, რაც არის, ზედმეტი არაფერი. დიდი ხანია, ამგვარი სურვილები მამოძრავებს. ალბათ, მეტს ვკითხულობ და ამიტომ. კაცმა რომ თქვას, ყველა არ კითხულობს ლექსებს, პოეზიის მსახური ხალხიც კი. ჩემზე კი ძალიან მოქმედებს. თავიდანაც ვთქვი, აბსოლუტურად დამოკიდებული ვარ ხოლმე იმ პოეზიაზე, რომელიც მიყვარს, რომელსაც ვკითხულობ და რომელიც სხვადასხვაა. ამიტომ, ერთის მხრივ, ჩემი არცერთი მომდევნო ნიგნი სიახლით არ გამოირჩევა, თითქოს თვისობრივად განსხვავებულიც არ არის, მეორე მხრივ — სხვადასხვაა, უანობობრივადაც არაერთფეროვანია. პოეზიის, ლექსწერის რამდენიმე ტიპი არსებობს, რომლებიც, ასე თუ ისე, სხვაზე მეტად მიზიდავს და ასე ვტრიალებ თხუთმეტობედ წლის წინ მოსაზღვრულ სივრცეში, თუ არ ჩავთვლით ბოლო პერიოდებს, როცა ცოტა უფრო ვრცელი ლექსის წერა დავინყე — ერთ მთლიან ნიგნს ვწერ. აქაც, განსხვავება მხოლოდ ზომამია, თორემ არ მგონია, პოეტიკისა და ტექნიკის, თუნდაც

ზვიად რატიანი  
ნიგნები  
2009-1996



ესთეტიკის თვალსაზრისით, ძალიან განსხვავებული იყო ნინა ნიგენებისგან.

**ესე იგი, როცა ამბობთ, გავლენების მწერალი ვარო, გულისხმობთ იმ ავტორების გავლენას თქვენზე, რომელთაც კითხულობთ?**

— დიახ, სწორედ ეს იგულისხმება — უკვე არსებული პოეზიის, დანერგილი პოეზიის გავლენა. რა თქმა უნდა, ავტორები იცვლებიან, თუმცა ჩემთვის მუდმივად ძვირფასი პოეტებიც არსებობენ.

**ვინ არიან ისინი? როგორც ვიცო, ერთ-ერთი ბროდსკია.**

— ბროდსკი — თავისთავად. რილკეც, მაგრამ ძველებს და დიადებს რომ ჩამოვყვეთ, შორს წავალთ, ისინი ძალიან ბევრნი არიან. ვთქვათ, დანტეს სიყვარული ჩემს ნაწერებში არანაირად არ აისახება, არც არასოდეს ვეცდები იქამდე ახტომას, თუნდაც გავლენის დონეზე. მითუმეტეს, რომ დანტე თარგმანში წამოკითხავს. გარდა ამისა, ვიცი ინგლისური, ვთარგმნი ინგლისურიდან და, თუ არ ვილაპარაკებთ ქართულზე, მეტწილად დამოკიდებული ვარ ინგლისურენოვან პოეზიაზე, რუსულენოვანზეც, ან ინგლისურად და რუსულად თარგმნილ ტექსტებზე.

**ერთ-ერთ რეცენზიაში ეწერა, ბროდსკისეული მოდერნიზმის მეთაფიზიკური ქარგა გასდევს რატონის შემოქმედებასა და სტრიქონებსო.**

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ, ჩემი აზრით, სულ სხვა ავტორები არიან, რომლებიც უფრო მოქმედებენ ჩემზე. ერთი ხანობა ხარანაული დამყვა, შემდეგ ბროდსკი. ხარანაული ყოველთვის იყო და იქნება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი პოეტი, ისევე როგორც ბროდსკი. ეს უზარმაზარი პოეზიებია, რომელსაც ვუტრიალებ და მათში ახალ-ახალ განძს ვპოულობ. თუმცა სხვებს უფრო უმოქმედათ და ამ თვალსაზრისით, ზემოთმოყვანილ მოსაზრებას არ ვეთანხმები, თუმცა საწინააღმდეგოც არაფერი მაქვს. იმაზე კარგი რა არის, როცა ამხელა პოეტის გავლენებს დაგნამებენ, თანაც პატარა ენაში, რომელიც რაც უნდა ძვირფასი და დიადი იყოს ჩვენთვის, მაინც მცირე ენაა, მცირე ლიტერატურაა. ეს არაფრით აკნინებს ქართული ენის მნიშვნელობას, მაგრამ ფაქტია, მსოფლიოში ძალიან ცოტა ბაგე მეტყველებს ქართულად, შესაბამისად, ენაც ნაკლებად გავარჯობებულა, განსაკუთრებით დღევანდელ სამყაროში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც მეტი ბაგე მეტყველებს ერთ ენაზე, მით მეტი შრე ჩნდება ენაში და მით მეტი საშუალებებია.

**მწერლისთვის სხვა მწერლის თარგმანა რთული არ არის? თუნდაც იმიტომ, რომ უნებლიედ არ „დაიმსავსო“?**

— ჩემ შემთვებაში მწერალსა და მთარგმნელს შორის დიდი ტიხარია, სათარგმნელად მასალას ყოველთვის იმ პრინციპით არ ვარჩევ, თუ როგორი პოეზია მომწონს, როგორც პოეტს. იქ უფრო ენობრივი ამოცანებია. მაინტერესებს, რამდენად მოხერხდება რაღაცის გამეორება ქართულად. თანამედროვე დასავლური პოეზიის სათარგმნელად ქართული ძალზე რთული ენაა. მარტო ენობრივ სირთულეებს არ გვულისხმობ, მათ შორის ფასეულობრივი განსხვავებებია და როცა პატიოსნად და ზუსტად მოთარგმნი, შეიძლება, ლამაზად არც იკითხებოდეს. არადა, სხვანაირად ვერ მოიქცევი, იმიტომ, რომ თარგმანს მაინც ინფორმაციული დანიშნულება აქვს, მან მაქსიმალური მინიმუმები უნდა მოგცეს დედანზე — დანყებული მისი გრაფიკული გამოსახულებიდან, კონტურული შემოწერილობიდან, დამთავრებული — ენით, იმ ენობრივი შრით, რომლითაც ის ლექსი თუ პოემაა დანერგილი. ამიტომაც ვცდილობ, ნაკლებად მოვანონო ქართველ მკითხველს თავი მთარგმნელური ოსტატობით, მიგნებებით და მაქსიმალურად შევიხარჩუნო ის ავტორი, ვისაც ვთარგმნი, თუნდაც ბევრი რაღაცის ხარჯზე.

**ახლახან მწერალთა სახლში ამერიკული პოეზიის საღამოზე მოგისმინეთ, მარცხტრენდი წაიკითხეთ და შემდეგ თარგმანის სირთულეებზე ისაუბრეთ.**

— ამერიკული პოეზია სრულებით ცალკე თემაა. მას, როგორც პოეზიას, ზოგადად, ძალიან მცირე შეხება აქვს პოეზიის ჩვენეულ გავლენასთან. ის არ არის დამყარებული ეფექტებზე. გვულისხმობ, როგორც კონვენციურ ეფექტებს, ისე რიტორიკულ, მომწესხველ, შთამბეჭდავ ფიგურებს. ანუ ის, რაც ჩვენს პოეზიაში ტრადიციულად მუშაობს, ამერიკელებთან მინიმუმამდეა დაყვანილი და შემთხვევითი სახე აქვს. ტექში გაცილებით უფრო ნელია, ავტორი ფოკუსირებულია კონკრეტულ საგანზე, გრძობაზე, ან სულაც კონკრეტულ არაფერზე. ამერიკული მეტაფორაც სრულიად განსხვავებულია ქართულისგან, გაცილებით დამინებულია და მიმარჩნია, რომ გაცილებით ეფექტურიც. გარდა ამისა, ინგლისურენოვან ლიტერატურაში, ზოგადად, კონკრეტულად კი პოეზიაში, ძალიან მოქმედებს ინგლისურენოვანი ბიბლიის გავლენა — ეს სრულიად უნიკალური ენის წყობა, რიტმიკა. თანაც თვითონ ინგლისური ენა ხომ უამრავია. ჩემი ინგლისურიც კი ინგლისურია.

გრანდიოზული ენაა თავისი დაფარვის ზონით, შესაბამისად, თემატურად და ფორმალურადაც, მეტს შეისრუტავს, რასაც ვერ ვიტყვით რუსულზე, რომელიც არანაკლებ დიდი ენაა, მაგრამ — ჰერმეტიულად ჩაკეტილი საკუთარ მექანიზმში, რაღაცნაირად იზოლირებული, თითქოს გამიზნულადაც.

**ეს ბროდსკის პოეზიასაც ეხება?**

— ბროდსკის გარღვევა პიროვნულ დონეზე უფრო განხორციელდა, ვიდრე ენობრივი თვალსაზრისით. ის მაინც თავის ლიტერატურულ ტრადიციაში მოქცეულ აბსოლუტურად ცალკე პლანეტად დარჩა. მაშინ, როცა ინგლისურენოვანმა პოეზიამ მსოფლიოს ყველა ენობრივი პლასტი შეითვისა, ყველგან შეაღწია, რუსული ენა გარედან არაფერს იღებს, ის თავისას ხარშავს. ამის მიუხედავად, ის პოეზია არაჩვეულებრივია. და ბროდსკითაც არ მთავრდება. დღესაც ძალიან მაგარი პოეტები მუშაობენ რუსულ ენაში.

განსხვავება დიდ და პატარა ენებს შორის ამოცანების დასმისა თუ ინფორმაციის, სიგნალების გაცვლის დონეზე ძალზე თვალშისაცემია. მაშინ, როცა მსოფლიო პოეზია მაინც რაღაც საერთო ზონაშია, სხვადასხვა დონის სიგნალების გაცვლა მუდმივად ხდება. სხვათა შორის, ეს პროცესი ჩვენთანაც შეიმჩნევა, ბევრად მეტად, ვიდრე რუსულ ლიტერატურაში.

**თუმცა, ქართულ ენასაც არ აკლია პრობლემები.**

— ქართველ მწერლებსა თუ, უფრო მეტად, გრამატიკოსებს შორის ძალიან არის ფეხმოკიდებული, ცუდი გაგებით, კონსერვატორული, მესაკუთრული დამოკიდებულება ენის მიმართ. არადა, ენა ხომ ცოცხალი ორგანიზმია, თავის თავს თვითონ უვლის. მაგალითად, არაერთი ბარბაროზი ვიცი, რომელიც ენამ მიიკვდლა, უკაცრავად პასუხია და, ლექს ათწლეულების განმავლობაში, და მერე მოიშორა, ან პირიქით — შეისისხლბორცა, იმიტომ, რომ ის უფრო იგუა, ვიდრე თავი-

სი, ქართული შესატყვისი. შესაბამისად, არაფერს მოგცემს ენაზე ზრუნვა მათრახით, გვულისხმობ ვერთნოდებულ სალიტერატურო ენას, რომელიც უკვე მართლა აღარავინ იცის, რას ნიშნავს. ვერავინ იტყვის, რა აზრი დევს ამ ცნებაში. თანაც ენასაც გარდატეხის პერიოდი აქვს, ხომ? სხვა რეალობაში, სხვა სამყაროში შევიდვართ. ამ ყველაფერს ენა უცბად ვერ გადახარშავს.

**თარგმანში ინტენსიური მუშაობის გამო ხომ არ გააიშვიათეთ ლექსები?**

— მგონია, რომ ორივე გავაიშვიათე — ადრე გაცილებით მეტს ვმუშაობდი, თუმცა — ფრაგმენტულად. უბრალოდ, ბევრი პუბლიკაცია მქონდა, უსისტემოდ ვთარგმნიდი, მაგალითად — რამდენიმე პოეტს ერთი პუბლიკაციისთვის. ცხადია, ძალიან ბევრი მომცა იმ პერიოდმა და იმ შრომამ. რეალურად, თუნდაც მატერიალური თვალსაზრისით, ნაკლებად ვიყავი დამოკიდებული ჰონორარებზე და, გარკვეულწილად, თარგმანის შემცირებაზე ამანაც იმოქმედა. რაც შეეხება ჩემს ნაწერებს, როგორც ვითხარით, სულ უფრო გამიჭირდა წერა. რაც დრო გადის, მით უფრო ძნელი ხდება ჩემთვის მოსაწონი ფიგურის შექმნა.


**მაინტერესებს, რას ფიქრობთ ჩვენთან მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე.**

— მთლიანობაში, ტენდენციებზე თუ ვისაუბრებთ და არა კონკრეტულ ავტორებზე, ვიტყვი, რომ პროცესების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება მაქვს. საფუძველიც გვაქვს — ქართულ პოეზიაში საუკუნეების განმავლობაში დიდებული რაღაცები მომხდარა, განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში, მიუხედავად მაშინდელი დახურული სივრცისა. დღესაც კარგად ვითარდება პოეზია. აქ ლაპარაკი იმაზე არ არის, სწორი მიმართულებით ვითარდება თუ არა. ეს არავინ იცის. მთავარია, თავის უფალ რეჟიმში გადავადით. მკითხველის გაქრობაზეა ლაპარაკი, ამბობენ წიგნი აღარ უნდათ. არც ადრე უნდოდათ, თუმცა ყიდულობდნენ, ხომ? ბევრი რამ გადაფასდა, მწერლობაში თითქმის აღარაფერი ყრია, არც ფული, არც სახელი, ყოველ შემთხვევაში, არაფერი ისეთი, რაც მოგანდომებს წერო და რაღაც კომპრომისებზეც ნახვიდე. ამიტომ ვამბობ, თავისუფალ რეჟიმში გადავადით-მეთქი. კარგია ის, რაც ბუნებრივია, ყოველ შემთხვევაში, არაბუნებრივს და ყალბს ჯობს, თუნდაც — მეოცე საუკუნის პატრიოტული პოეზიის აბსოლუტურ ბალასტს, რაც უნდა შედეგები ერიოს მასში. ახლა პოეზია სიტუაციური, კონკრეტულ გარემო-ფაქტორებს მორგებული და, საერთო ჯამში, ყალბი აღარ არის. სულ უფრო ორიენტირებულია სოციალურ თემებზე, უფრო თანამედროვე სახეს იძენს და სათბურში გამოყვანილი, ხელოვნური, ნებადართული სუბკულტურის სახე აღარ აქვს.

**ახლო მომავალში რას უნდა ველოდოთ თქვენგან, ახალ წიგნს თუ თარგმანების ახალ კრებულს?**

— უფრო — წიგნს.

**ესაუბრა თამარ შურული**



**ლექსიკონობრავის მიმუარები**



ბასული, უაღრესად რთული საუკუნის კიდევ ერთ მემატიაუნდ გვევლინება ცნობილი ლექსიკონობრავი მიხეილ ჭაბაშვილი წიგნით — „მოგონებები“.

როგორც ცნობილია, არაერთი მემუარული ნაშრომის უმთავრესი ნაკლი მთხრობელის თვითმყაფილება, პირადი ამბიციებია. უნდა ითქვას, თვითმყაფილება-პატივმოყვარეობის უკუგდება მცირედთ ხელენიშნება. ქედმაღლობა ისეთი მომენტია, რომ სტრიქონსა და სტრიქონს შუა მაინც გამოკრთება. არის მეორე უკიდურესობაც: როცა მთხრობელი ზედმეტ „ობიექტურობას“ იჩენს და შეგნებულად აზვიადებს, მუქ ჩრდილებში წარმოაჩენს საკუთარი პიროვნების მანკიერ მხარეებს. დიმიტრი ლიხაჩოვი ამგვარ საჩოთირო თემებზე მსჯელობისას ასახელებს ჟან-ჟაკ რუსოს „აღსარებას“ და დაასკვნის, მეტად დამორგუნველი საკითხავიაო...

არასასურველობის ეს, ზემორე ნახსენები, ორივე მომენტი მიხეილ ჭაბაშვილისეულ თხრობაში შესანიშნავად, მაღალ-ოსტატურადაა დაძლეული. ამის თვალსაჩინო ნიმუშია „მოგონებების“ არაერთი თავი, მაგალითად, „არწოდ ჩიქობავა“ (კეთილშობილების, ჭეშმარიტი მეცნიერების სანიშნო გაცვეთილები, თავმდაბალი და ღირსეული მონაფე-მთხრობელი), „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (ქართველ მეცნიერთა საუკუნოვანი დიდება, ხელთქმნილი განძი, სანიშნო კოლეგიალობა), „ფორტუნა მწყალობდა“ (ფორტუნა ფორტუნად, მაგრამ ბატონი მიხეილი აქაც თავმდაბლობს: მხოლოდ ფორტუნა თუ ღმერთი ყველას ვერ ან არ შევლის, გავისხნოთ რუსთაველის ტარიელის ნათქვამი: „ღმერთმან ქმნა და გიპოვნივარ, შენცა ცდილხარ მამაცურად“).

ქართული ფილოლოგიური მეცნიერების სინდისი და ეტალონი, ჭეშმარიტი მოქალაქის იდეალური ნიმუში, სულხან-საბას ღირსეული მემკვიდრე, უტყუარი და უშუალო მემატიაუნე — აი, ასეთი თვისებებით შემკულ პიროვნებად გვევლინება მიხეილ ჭაბაშვილი თავის მემუარებში.

აუცილებელია, ითქვას: „მოგონებების“ ავტორი შესანიშნავი მთხრობელია — სადა, გულწრფელი, ნაღდი მწერლისეული აღლოს მქონე, სათანადოდ „შენიღული“ კრიტიკოს-მამხილებელი იმდროინდელი პოლიტიკურ-სოციალური ყოფისა, თვითონონის და აფორისტიკული ნიჭით მომადლებული, ობიექტური შემფასებელი მოვლენებისა და ვითარებისა...

მიხეილ ჭაბაშვილის „მოგონებები“ თავის მკითხველსა და ღირსეულ შემფასებელს ელოდება.

ისე, გულწრფელად მეძალეა ერთი კითხვა: დღევანდელი ახალგაზრდობა კითხულობს ამგვარ წიგნებს?..



ანბანი

ჭიკჭიკი დამატკობელი, რაც გესმის დედა-ენიდან, მოდის ქართული სისხლიდან, მოდის ქართული გენიდან.

აი, თხა — აი, ვენახი, ცა ყინვით მოუთუთქავი, აი, მუდამ რომ ფუსფუსებს ოცდაცამეტი ფუტკარი.

ერთად მოდიან და-ძმანი, ქვეყნად არა ჰყავთ ბადალი, სულ მათი მოქარგულია ჩვენი ლამაზი მთა-ბარი.

ვიდრე გამოიძინებდა ბუნაგში დათვი დანდალა, ნინკანა ჩიტმა-ჩიორამ სულ სათითაოდ დათვალა —

ოცდათორმეტჯერ ნისკარტი როგორც კი დაჰკრა, შორიდან, ბუზღუნითა და ქაქანით ტანწვრილი ჰ-აეც მოვიდა.

ანბანში ა-ნი პირველობს, მოფრინავს ბიჭი მერცხალა, ბ-არტყებს ნისკარტი დაბანა ბებია ბოლოცეცხლამა.

ბ-უნდ-გუნდად გადაიფრენენ გნოლები გორაკებისკენ, ღ-ოლი, დოლაბი, დანდური, დასტრიალებენ ენის წვერს.

ჟ-რკემალს, ცხვარს რომ მიუძღვის, ჰ-ერას დააკლებს ბოტაო, ვერც ვიხვი ემჯობინება, წვერი რომ შეიკობტაოს.

ზ-აფხულს ზამთარი რითი სჯობს — ზოგჯერ ზოზინა, ზანტია.

თ-ებერვალს თოვლის თივთიკი, ვინც შემოადნო — მარტია.

ი-ა, ივლისი, ივერი, იცოცხლე, ჩემო კეთილო! — მაშინვე შემოგაშველებს, ცხვირი რომ დააცემინო.

კ-ეკეს კალათში დაიწყო კრუნმა კვერცხებზე კრიახი. ლ-ოლოს კნანუნა ჩურჩხელით პირს იტკბარუნებს ლიახვი.

მ-ურნა მთებიდან მოჰყვება, მოცურავს, მოუხარია, იცის, ლიახვის სათავეც ჩვენი სამშობლო მხარეა.

ნ-აუ, ნაუო, ზარის ხმაც გალობს მშობლიურ კილოზე. ო-სკო, ზარზმავ და ხახულო, საქართველოსთვის ილოცეთ.

ორჯერ ორი რომ ოთხია, შენა ხარ ჩემი ბატონი, პ-ინგვინმა ძლივს გამოთვალა „ნოკიას“ კალკულატორით.

ჟ-ივჟივებს ლაჟო ჟოლოზე, თუმცა ამინდი ჟიჟმატობს. რ-უმ ჩხრიალით რომ იდინოს, ს-იცხეს თოვლი და წვიმა სჯობს.

ტ-ატო ხატის წინ ტანტალებს, უ-ფალმა ასე ინება, დედა ღვთისმშობლის კალთაში იესოს ეტიტინება.

ფ-ურდედოს უყვარს ფუჩეჩი, რძე იცის ღალიანიო, ძ-ვაბში რომ წამოდუღდება, უნდა უთუოდ დალიო.

ღ-არი, ღანძილი, ღიობი, ღობე, ღაღანა ღიღილო. აბა, რა უნდა მიირთვა, უცებ რომ აგალიდინოს?

ყ-ელში თუ ჩაირაკრაკა, მწყუროდა, განა მშოიდა. ყვანჩალამ დააყრანტალა, შ-ავი შაშვი რას ჩ-იოდა.



ვანო ჩხიკვაძე

ც-იხეს ცისკარი აღვიძებს, არწივის ფრთების ხმაურით. ცხრაკარა აიჯაგრება და ბრძოლის ჟინი დაუვლის.

ძ-იძგილაობენ მამლები, მამაცი და გამბედავი. მეღია თუ არ გამოჩნდა, ვინ დააშველებთ, ნეტავი?

წ-ინილას წვიმის წინწკალი, ულავს ბალახი ცვრიანი, „ნაბლა“ რომ დაითხება, ნალებს გაუდის წკრიალი.

ჭ-იშკარი ჭასთან ჭრიალებს, ჭორი ჭორებთან ჭიდაობს, მზესთან რაც უნდა იდაო, მაინც იძახის — ჭიტაო.

ხ-ართუთა, ხარი, ხარება, ხატვით გამოისახა, ჯ-ვარი, ჯაგანი, ჯავარი, ვინც შემინახა, ისა ხარ!

ოცდათორმეტჯერ ნისკარტი როგორც კი დაჰკრა ჩიორამ, მოფრინდა თითქოს ღუნღულა ღრუბელის ქულა, ფიორა.

პ-იმინი — მეურმის ურმული, მისდევს ზაფხულის საღამოს: — ჰამო, ჰამო, ჰამო, იკორავ, თივა გაამოს... ერთად მოდიან და-ძმანი, ქვეყნად არა ჰყავთ ბადალი, სულ მათი მოქარგულია ჩვენი ლამაზი მთა-ბარი.

შეყვარებული მთხარა

— აღარ არის ძილის დრო? — ვეჩხუბებით ილიკოს.

გაგვიბრაზდა ილია: — რა ვქნა, რა დროს ძილია?

არ იცით, რომ როგორც კი შუალამე დადგება, მთვარე, დიდრონთვალეა, ახლოს მოიპარება.

ხელებივით სხივები უნდა შემოაცოცოს, და გაბუშტულ ლოყაზე დედამინას აკოცოს.

კამერტონი

დო, რე, მი, ფა... დონი, დონი! — ყურთან ბზუის კამერტონი.

დო, რე, მი, ფა, სოლ, და... სი... სი! — ასე ცუდად რატომ ისმის?

ყველა თავის ადგილზეა, სო რომ სოა, დო რომ დოა, მაინც უკმაყოფილოა — „კლუბია თუ ტორონტოა!“

კონტრაბასი, დიდი ბავშვი, ჩუმად არის თუ არ შია: „სულ არა აქვს ჭკუა თავში? ტორონტო რა შუაშია!“

დო, რე, მი, ფა... დონი, დონი! — მაინც ბზუის კამერტონი.

მოკანჭული, მიკანჭული, ეს არ არის კრიმანჭული.

აბუზღუნდა, აჩურჩულდა, ვინც არ არის, სად არიან, ამ პატარამ, ამ კალიამ, ლოტბარიც კი გადარია.

დო, რე, მი, ფა... დონი, დონი! — არ ილლება კამერტონი.

ხინკალი

ამოყარეს ხინკალი ორთქლიანი, ჩქარ-ჩქარა, გაგრილება ჭუჭულმა ხინკალს არც კი აცალა.

მერე იცი, რა მოხდა? მათლაფიდან გადმოხტა.

ხინკალმა რომ ბუჰუ ქნა, პირი გამოუფუფქა.

შვილი დედამ დატუქსა: — შე სულსწრაფო, შე ბატო, დაისსომე, მსუნაგებს ასე ემართებათო.

ენატრება

ენატრება ოლიკოს, კვლავ პატარა რომ იყოს.

თბილად ბებოს კალთაში თავს არ გადაილიდა, არც ლექსებს ისწავლიდა, აღარც ბაღში ივლიდა.

მერე გინდა, დაღამდეს, მერე გინდა, გათენდეს, სხვები ჩააცმევდნენ და რძეს ბოთლით მიართმევდნენ.

რაც გეპატიებოდა, აბა, ახლა გაბედე, წლები უნდა გავიდეს, ბებოსავით დაბერდეს.

ენატრება ოლიკოს, ცეროდენა რომ იყოს.

— ჩურჩხელასაც ვერ სწვდება ლურსმანზე რომ ჰკივია, — ეცინება თოჯინას: — ვითომ ახლა დიდია!

სახელარი

აცე, ვირო, აცე, აცე, აცე, ცოტა თუ არ ივაჟაცე, ქეჩოში რომ წამოგცხებენ მერე აღარ იზარმაცებ.

ქორორი დაგივარცხნია, თან ღერიღერ დაგივლია. პატრულს არსად გადაეყარო — ცალი ფარი არ გინთია.


მთელი მიჯნა გადაძოვე, სადაც მელას ნაკვეთია, ძილში რომ დაიფროყინე? — ჩლიქზეც ნალი გაგცვეთია!

ნალს ვინ ჩივის, მერე ნახე — ყველა ჩოჩორის მტერია — ვირი ხარ და საბუთებში სახედარი გინერია.

ცხვირიც არ დააცემინო, გაძუნძულდი, აცე, ვირო!

სიჯიუტეს წიხლი ჰკარი, თორემ ბზუის ბუზანკალი.

ჩქარა, თორემ ხელი გტაცეს, აცე, ვირო! აცე! აცე!



ყვანი და კაჭკაჭი

ტოტზე შემოსკუპულმა ყველას უხმო გუგულმა: — ვინც მოხვედით ან უკვე აქეთ მოემართებით, მოისმინეთ, უხუცეს ყვავს სიტყვა აქვს სათქმელი.

თავის ოთხი მხლებელით, სამასი წლის ბებერი, წინ წამოდგა შავი, ხინჩლიანი ყვავი:

— მინდა, თქვენც რომ იცოდეთ, კაჭკაჭი დამიმონმებს, სამინელი აფთარი, გავაქციე ზამთარი!

დასცხო ტაში კაჭკაჭმა, ძმებო, ყვავმა გვიმველა,

ბუჩქის ძირას ენძელა უკვე ამოიწვერა.

ვინც კი ტყეში ცხოვრობს, მიატოვა სორო.

ყვავის პატივსაცემად ამღერდა და აცეკვდა.



— მეც მითხარით, მაღლია! —  
დათეს ხომ ერთი ნაკლი აქვს —  
ყურთასმენა აკლია —  
იცის ტურა — ნათლიამ.

ჰოდა, ყურში ჩასახსი:  
— არ მოგიწევს ცახცახი,  
არა მარტო მოსულა,  
გაზაფხული, ძამია,  
თურმე ამ ჩვენს ყვანჩალას  
მარტოს მოუყვანია.

რუხ მგელს ნერწყვი მოადგა —  
გაშეშებულ კისერას —  
დახტის თოვლზე თორმეტი  
ბაჭია ფეხშიშველა.

— ვისაც წამოაცხინკებს,  
ყველას წამლებს ტენიან,  
ლამის გადაგვიყოლოს  
გრიპის ეპიდემიამ.

აბა, ჩქარა, ლუმელთან,  
თორემ წამოუბერავს...

მიილაღავს სოროსკენ,  
თუნდაც აქვე ჩაქოლონ,  
უნდა, ერთი ბაჭია  
მანაც ხელს გააყოლოს.

დაინახა ნაცარამ,  
მგელს აღარ დააცალა,  
ტანჯვით გამოზრდილები,  
გამოსტაცა შვილები.

ყურცქვიტა და ნაბია,  
ცმაცუნა და შავთვალა... —  
ბაჭიები ნაცარამ  
ხელდახელ გადათვალა.

როგორც იქნა, კუნძიდან  
გამოლოდა მუხლუხოც,  
არ იქნება — უხ, უხო,  
რომ არ ჩაილულულოს.

— ყოჩაღ, ყვავო! — ღრუტუნებს  
კმაყოფილი ღორი და  
ყვავის დასაფასებლად  
ირმის ჯოგაც მოვიდა.

ყვეს კაჭკაჭი რუპორით:  
— ხმაში ხრინნს ვერ უპოვინთ!

კოდალები ყვირიან:  
— უღრანეთის გმირია!..

ჩაიცინა მელიამ,  
— საქმე გამოგელიათ.  
ყველა როგორ გვატყუებს  
ტრაბახა და უტვინო,  
რიგრიგობით ორივე  
უნდა გამაპუტინოთ?

ვერც ჩხავილა ყვანჩალა,  
ვერც კაჭკაჭი ჭახჭახა,  
პირმშვენიერ გაზაფხულს  
მზე მოიყვანს ჩახჩახა.

**თხუნელა**

„თანაკლასელებში“ ხომ  
სულ დაეძებს ტოლი ტოლს,  
ესეც, გათენებამდე  
არ სცილდება მონიტორს:

„გამარჯობა, ჭორიკო!  
გაგიმარჯოს, ბროლიკო!“  
„შენნაირმა თხუნელამ  
ბევრჯერ გამასულელა.“

„გამოვიდა მწყობრიდან  
ერთად ყველა რადარი.“  
„სჯობს, მითხარი, კენგურუ  
ცხვირპაჭუა რად არი?“

„ცხვირპაჭუა? აქამდე  
მე არ გამიგონია.“  
„არც ის იცი, ჩინეთში  
ბელურების ომია.“

„უკვე ყველგან ისვრიან,  
ყველგან სისხლის ტბორია.“  
„მთელ ბრიტანეთს აწუხებს  
თურმე მელანქოლია.“

„აფრიკაში ჩამონვა  
სიყვარულის ღრუბელი.“  
„ტიბეტში რომ მურა დათეს  
შეეძინა ყრუ ბელი.“

„ამბავს გეტყვი ისეთს, რომ  
არც კი დაგსიზმრებია,  
წითელქუდამ შეჭამა  
საკუთარი ბებია.“

აქედან და იქიდან  
ორი ბრიყვი უბერავს,  
გოგრისხელა გაუხდა  
უკვე თავი თხუნელას.

„მელა დათევს აწმორებს,  
მგელიც უკვე ჩმორია!“  
სულ ეკრანზე გროვდება  
თუკი სადმე ჭორია.

ჰოდა, როგორც საიტზე,  
სახლშიც დიდი ომია,  
ცხვირს ყველგან ყოფს თხუნელა  
სადაც არა მგონია.  
აღარ უნდა მოეშვას  
ინტერნეტში ძრომიას?

**ბაზარი**

იგავი

იტენება ცელოფანი,  
ემატება კილოს კილო.  
— ჯერ ნიორის რიგი არის,  
მოითმინე, კარტოფილო.

წუხს სამწნილე ნიახური,  
ყველა წინ წავიდეს, ცდილობს,  
— უფროს-უმცროსი არ იცით,  
ეს რა თაობა ხართ, შვილო!..

წინაკა რომ გაცხარდა,  
განა, საკვირველია:  
— ყელტიტველა მამალო,  
შენ შეგჭამა მელიამ!

დაიკაკანა დედამა:  
— უნდა ვთქვა, ჩემი ვალია,  
რომელ დედიკოს ფიცულობს  
ინკუბატორის ვარია?

თეთრად გაბღენძილ კომბოსტოს  
ქაშაყი ებაასება:  
— სასწორთან რატომ არ მიშვებთ,  
რადგან პირი წყლით სავსე მაქვს?

იქ ბოლოკი განწმამდა,  
სურს სასწორზე აფორთხება,  
ამ ისპანახს არ უყურებთ,  
ნიტრატთან საფრთხობელას!

მარწყვს ლობიომ გაუხურა,  
მუშტი დაჰკრა მაგიდას:  
— შენ თუ პატიოსანი ხარ,  
მარტში დახლზე რა გინდა!

— შური გახრჩობს, შე სანყალო,  
თავს მიხედო, ის გიჯობს,  
შენსკენ რომ არ იყურება  
ფულიანი ბიძიკო!

შეხედე, ვისკენ წამოვა,  
როცა ბაზარში შემოვა,

მე იანვარშიც არ მწუნობს,  
ვისაც კი პირის გემო აქვს.

წამოიზღაზნა გოგრა,  
აჰყენენ წინმატის კონები:  
— შეხედეთ, როგორ გვიტყვენ  
გადამთიელი კლონები!

ჭარხალმაც გამოიღვიძა,  
გამოესარჩლა მოყვასსა,  
ფრჩხილი სახეზე დაისვა,  
წითლად იხოკავს ლოყასა.

ზოგს ფასი დაუვარდა და  
ზოგიც ზედმეტად დაფასდა,  
ზოგი წარსულსაც იხსენებს —  
თეთრი ვერ მოვა აბაზთან.

მოკლედ, შეუდგათ ქოთქოთი,  
საქმე გართულდა, გაბაზრდა.

განზე გამდგარი ღრუტუნა  
ყურს უდებს მემამბოხეთა:  
— მანამ არ მოისვენებენ,  
ვიდრე ცოცხი არ მოხვეტავთ.

იცინის ფევილის ტომარა,  
თონის გვერდით რომ ტრუნჭია:  
— ნეტავი, რად ავიწყდებთ,  
მათი ბოლო რომ კუჭია.

**მამალი**

— აბა, ვინ მყავს ბადალი! —  
ყივის მთავარსარდალი.

ისე დაიჯგიმება,  
ისე დაიფხორება,  
სულ მამლის გეგონება  
მთელი უბნის ქონება.

დედალი თუ ვარია,  
სუყველა გადარია.

კატას თვალში ნაცარი,  
ბატკანს კიკინს ასწავლის,  
მურამ ლამის ჯავრისგან  
ჩამოაბას ბანარი:

— არ მჭირდება ფიცო,  
ყეფა სულ არ იციო!

მოსისინე ბატუნას  
თავში ჩაუკაქუნა.

— ინდაურის ყიტ-ყიტი,  
მოგინდება ხით-ხითი.

ან მელიას ვინ აფრთხობს,  
ბედმა ასე ინება,  
დილით რომ არ დაგყვილოთ,  
სულ არ გაგეღვიძებათ...

აღარ ედავებიან,  
რაც არ უნდა იკადროს:  
— რომ არ გყავდეთ ნეტავი,  
მზეს ვინ ამოგიყვანთო.

ხარიხიდან აბდალი,  
ყივის მთავარსარდალი.

**ბრიყვითის საბავშვო**

მაცალეთ სული მოვიტყვა,  
ამბავს ნელ-ნელა მიყვებო,  
ის რა ბრიყვეთი იქნება,  
რომ არ ცხოვრობდნენ ბრიყვები.

ბრიყვეთი თავზე ექცევათ,  
ამბობენ, არაფერია,  
ბრიყვეულ ზეიმებს მართავენ,  
ბრიყვეულ სიმღერებს მღერიან.

ბრიყვემა ბრიყვეული რომ არ თქვას,  
დიდი ბრიყვეთის კანონით,  
მთელი სიმკაცრით ისჯება  
წამსვე მთქმელიც და გამგონიც.

გამგონი რა შუაშია,  
შუაზე რატომ იყოფა,  
დანაშაული მთქმელისა?  
სწორედ ეს არის ბრიყვეობა!

დაგრძელებული ჩიყვებით,  
მასწავლებლობენ ნიყვები,  
გვმოძღვრებენ, უკეთესია,  
რაც მალე გამობრიყვედებით.

მტყუნან ციხიდან უშვებენ,  
მართალს არ სწყალობს თემიდა,  
სწორედ ამიტომ გარბიან  
მშვიერი საბრიყვეთიდან.

ბრიყვია გუბერნატორი,  
ჭკვიან ვეზირსაც ნუ ელი,  
და, რა თქმა უნდა, სამეფოს  
მართავს პირველი სულელი.

ეტიკეტს თუკი დაიცავ,  
უნდა მიმართო მეფესო —  
ბრიყვეული უმადლესობავ,  
ბრიყვეზე უბრიყვეთესო.

არის ასეთი სამეფო,  
ერთგული ბრიყვი მეფისო...  
თუ სიმართლეს არ ვამბობდე,  
ბრიყვობას აღარ ველიდრო.

**დაჯილდოება**

არწივის სკინტლის ორდენით  
დაჯილდოვებულ ბუს,  
სულ ბოლოს სამადლობელი  
სიტყვით გამოსვლა სურს.

აბა, რა უნდა ეთქვა,  
ამ გაუგონარ ყუმს —  
— ბუმ, ბომ, ბამ,  
— ბამ, ბომ, ბუმ!..

ყვავი ხარხარებს — ყვა-ყვა!  
მარჯი ხითხითებს — ყვი-ყვი!..  
ამხიარულებს ალღუმს  
ეკვილიბრისტი ციყვი.

სკინტლის ორდენით ლაცკანი  
რომ დაიმშვენა ბუმ,  
ამცნო ქვეყანას დოლმა —  
— ბამ, ბომ, ბუმ!..

დოლი რომ გასკდა, შემოჰკრეს  
ბუს გასიებულ თავს —  
ბამ, ბომ, ბუმ,  
ბუმ, ბომ, ბამ.





ზურაბ გოგიძე

# თეთრი ბუს ნაამბობი

## თვითმომღერალი საყვირისა

ბიამბობი სიამოვნებით, რამეთუ მიყვარს ესე ამბავი და თხრობაც მისი. რა და, ღამის ფრინველის ბედისწერამ იყო, რომ მიმიყვანა ერთხელაც, სანტა ხუსეპინას სასაფლაოზე ვათენებდი სავსე მთვარის ერთ მონმენდილ, სუსხიან ღამეს. დიდ ტოტზე ვიჯექე, კისერში ვიყავ ჩამძვრალი ჩასათბობად, სანადიროდ აღარა მშობდა და ფიქრსა მივიცემოდი: სხვადასხვა ჭემ-მარიტებიდან სიბრძნეები გამოიყავდა არც არავისთვის.

მართალი ფიქრი ხომ ისედაც ტკბილია და ერთიც ვნახოთ, კიდევ უფრო და უჩვეულოდ დამიტკბილდა იმ ღამის ფიქრები. მალევე მივხვდი: საყვირის ტკბილი სიმღერა ყოფილიყო, რომ თავში ფიქრებს მიამებდა. მაგრამ საიდან მოისმოდა ამ მკვდარ უკაცრიელებაში? მივიხედე, მოვიხედე, გადავიფრინე, საიდან მღერა ისმოდა და ვიხილე რამ უჩვეულო: ვიღაც კაცი ზის საფლავთან, დიდი, სქელი ბუშლატი აცვია, თავქუდიანა იმის სქელ საყელიში ჩამძვრალა, ჩემი არ იყოს. წინაც პატარა კოცონი დაუნთია, ხელ-ფეხს იმაზე ითბობს. იმის ახლო ხეში დაჯექი, ვუყურე კაცსა, მაგრამ თავად არაფერს უკრავს, პაპროსს ენევა მხოლოდ, სიმღერა კი მაინც მოისმის. დავაკვირდი, საფლავის თავზე, რაღაც საყვირი ჰაერზე დანავარდობს, ისა კრავს სიმღერასაც, თავისით, უდამკვრელოდ.

დაკვრა კი იყო მეტად საამური და გაუგონარი, სულ ბუმბულში მბურძგლა. მაშინა ვნახე პირველად, რა ძალა ქონია კარგ სიმღერას. მე და ის კაცი ვუსმენდით საყვირის ჰანგსა, ვინემ მთვარე ცაზე მოღვანეობას მორჩებოდა. დაჩუმდა საყვირი ბოლოს, დაეშვა, საფლავზე დაიდო და დაისვენა უმოძრაობით. გამაძლარი მქონდა სულიერება იმისი სილამაზით და ძლიერ მომინდა იმისი საიდუმლოს გაგება. დავფრინდი ხიდან, საფლავზე დაეჯექე საყვირთან, კაცს მივაჩერდი, რომ საუბარში გამოვიწვიო. არა ვჩქარობ მაინც ადამიანის ენის გამხელას, ვითომ არ ვიცი ლაპარაკი. მიყურა იმანაც, გამიღიმა, დამელაპარაკა და ჩემი სათქმელიც თვითონვე მითხრა:

მღერვარე მოფრენილხარ ვხედავ, ძმავ ფრინველო. ჰოდა, გაგიმარჯოს, მიხარია კარგი ამხანაგი. ხედავ? კეთილი ბედისწერა ჩემი ყოფილა, რომ მესაფლავეს სწორედ ეს საფლავი მერგო მოღვანეობად. ესეთი საამური სიტყბო, აქ რომ ვიცი, არც მსუყე ვახმაზე მიჭამია ოდესმე და არც ხელგაშლილ დედაკაცში. ყოველ სავსე მთვარეზე ეს ჯადოსნური ჰანგი სიმაართლით მივსებს დაბერებულ გულს. ეს მკვდარი უკრავს სავსე მთვარეებზე ამავე საყვირსა.

თვალს არ ვაშორებდი მესაფლავეს, ცნობისმოყვარეობა გამოვიჯღანე, რაც სახეზე დავიტიე. მიყურა იმანაც და მეუბნევა ბოლოს:

— უნდა გიამბო. თუ გინდა, გიჟიც დამიძახე, ფრინველებს ზღაპრებს უყვებიო,

მაგრამ ეს ამბავი მოყოლადა ღირს მაინც. შენ რომ გულისყური კაცისა გქონია, სულაც რა ვიცი, იქნებ კაცის ენაც გეყურებოდეს.

ესა თქვა და მაინც ყოყმანი დააპირა, მაგრამ თავი დაუქუნიე და იმანაც განაგრძო:

— რა და, ეს მკვდარი ადრე ცოცხალი ყოფილა. დაკვრაც მაშინვე სცოდნია. სოფლის ზეიმი და მხიარულება უიმის-საყვიროდ თურმე არ ჩაივლიდა, ყველას უყვარდა იმისი სმენა. მაგრამ დრო ვერ გამოუვიდა სახარბიელო, რომ ჯერაც მთლად ყმანვილს მოუხსნო უტვინო ომმა, რომელშიც სამშობლო ტარაბახასი ვისმე უცხო ხელმწიფეს კი არა, თავის თავს ერხებებოდა: სამხრეთი ჩრდილოეთს აუჯანყდა და ჩრდილოეთი სამხრეთს, მშვიდობით ველარ მოეფიქრებინათ, რანაირად უნდა მოწყობილიყო ამიერიდან მთავრობა და წესრიგი სამშობლო ტარაბახასისა. ამიერიდან ერთმანეთში ხედავდნენ სრულიად ბოროტებას თანამომხმეები, ნამდვილი შაჰ-აბასი რომ დაგედო ამათთვის, ზედ არ შეხედავდნენ და უმალ თანამომხმეებს იტყოდნენ მაინც ბოროტებად. უხაროდათ მეომრებს სხეპა ერთიერთმანეთისა და დაბრალებაც რისიც გინდა ბოროტებისა ერთმანეთზე.

თავად რას ნავიდოდა, ამბოხებულმა მთავრობამ გაიწვია ომში მესაყვირეც. ნაილო იქაც საყვირი განუყურელი. არ უყვარდა ამას ომობა, თოფის გასროლები. არც ბანაკიდან გამორბოდა ომის არიდებად, მაგრამ ჯიუტად არც თოფის ჭერას არა სწავლობდა. როცა კი დრო გამოჩნდებოდა, გაძვრებოდა თავისიანების ბანაკიდან, სადმე უკაცრიელებს შეეფარებოდა, თავდავიწყებით უკრავდა თავისთვის, სიმღერით გამაძლარი ბრუნდებოდა ისევ თანამებრძოლებთან და უსათუოდ მეთაურის რისხვა დაატყდებოდა იმ თავენება გასეირნებისთვის. განა არა, ზოგჯერ თანამებრძოლთათვისაც უკრავდა ბანაკში, მაგრამ აქედან კიდევ უარესი გამოდიოდა: ღრიალით აგინებდა მეთაური, ემაგ ძაბრის ზმუილით გაგვცემ, მტერს ცხრა მთის იქიდანაც მოიზიდავო და მყრალი გინებით ალიყურსაც ჩააფარებდა მესაყვირეს.

ომი ცვალებადობდა. როცა ამათები ჯობნიდნენ ხოცვა-ჟლეტაში და ამისი თანამებრძოლი ამხანაგები ზეიმობდნენ, მესაყვირეს მაინც ჩუმი სევდა ქონდა გულში. როცა ამათა ჟლეტდნენ უხვად, მაშინ ხომ გლოვობდა და გული უკვებოდა, შურისძიება კი არა წყურდებოდა აგრემც, ომის დამთავრება ენატრებოდა მხოლოდ.

— გიჟი მინახავს და ამნაირი კი არაფერი! რა ვუყო ამ შობელძალს, — აღშფოთებით ამბობდა ხოლმე თურმე რაზმის მეთაური, — ეს რა მკვდარი მერგო რაზმში. ამისთანას თოფი რად უნდა, მიეამას სალამური, გაუშვი და მწყემსოს ღრუბლები. მოვკლა, რა ვქნა? ან რანაირად მოვკლა, მიზეზად რა მოვლო? — თანაც ენანებოდა საკლავად, — ომიდან გავაგ-



ლო, შინ გაუშვა? ვერც გაუშვებ, მერე სხვებსაც წასვლა მოუნდებათ, ყალბათან-დობას დაინყებენ, მოგიჟიანებას. მაშ რა ვქნა, კაცო, თან რისთვისა ვათრიო?!

ასეთ საგონებელში იყო მეთაური.

ერთხელაც კარგი დრო ედგათ ამათ: რაზმი წინ მიიწვიდა და მტერს ბლომად აუღებდა. ბრძოლის შემდეგ, სალამო ხანს გაძვრა, გაიპარა თავისთვის საყვირის სამღერად. არ უხაროდა არც ამხანაგების სიხარული, არც გამარჯვების აღტაცება, არა სჯეროდა არც საყოველთაო ნათელი მიზნის, ემძიმებოდა ყოველივე ძლიერ. გორაკზე ავიდა, უკრა ტკბილი და მწარე სიმღერები თავდავიწყებით, გატაცებით. მორჩა მღერას და მაშინდა ხედავს, მტრის ჯარისკაცებს ალყაში მოუქცევიათ, თოფებს უმიზნებენ და სიმღერას არ აწყვეტინებენ მხოლოდ. მღერიდან დაჩუმებული კი ტყვედ წაიყვანეს თავიანთ ბანაკში. რაღაც მიტოვებულ საკუჭნაოში დაამწყვდიეს. რაზმელები თურმე თავიანთი მეთაურის დაბრუნებას გათენებისთვის ელოდნენ და იმის მართლმსაჯულებას უნდა გადაეწყვიტა, დაეხვრიტათ მესაყვირე თუ ცოცხალ ტყვედ შეენახათ და შტაბში გაეზავნათ.

ამღერა ვინრო საპურობილემიც საყვირი. მცველი-რაზმელები უკლებლივ იმის-სიტყვით გაიტაცა. თავიანთი სამშობლოს სიმღერები ხომ მათაც უყვარდათ, მონატრებულ, მშვიდობიან ჯველობას აგონებდათ ესაღაც ამისი მღერა. ადროვს მცველებმა, მონუსხული ისმენდა მათგან ყოველი. თითქოს ძალა თუ სიმართლე ემატებოდათ გულებში, თითქოს სინდისი უზეიმებდათ რაღაცატომ იმ შავნელ ხანაში. თითქოს დამხეცებული სულიერება უკაცდებოდათ ისევ, სიძულვილიდა სძულდათ გადამტრებული თანამომხმეების მაგივრად. ნამღერი ყოფილა გასაოცარი იმ ღამით.

გათენებამდე მართლაც მიეწვია რაზმს მეთაური. ზემდგომი ხელმძღვანელობისგან მითითება მიეღო ახალთახალი: უკან დახევას იწყებდნენ რაზმები და ნაბრძანები იყო ყოველი ზედმეტი ტვირთის დაუყოვნებლივ მიტოვება-განადგურება, მათ შორის უსარგებლო ტყვეებისა. მესაყვირის ბედსაც ეს ბრძანება წყვეტდა: ადრიან რიჟრაჟზე კედელთან გაიყვანეს რაზმელებმა.

შიშით თვალებს აცეცებს, ფეხს ძლივს იმორჩილებს მესაყვირე, უაზროდ ბლუჯავს თავის საკრავს გზადაგზა. თავპირი დამჟავებით რაზმელებს, არცერთს არა სურს, სროლა უნევედეს, ფეხებს ითრევენ ესენიც.

ბრძანა მეთაურმა და კედლის პირდაპირ გამსკრივდა სამი ჯარისკაცი. ბრძანა მეთაურმა და ჯარისკაცებმა მიზანში ამოიღეს კედელთან მდგარი ტყვე უმწეო. კბილებს კუმშავდა, ცხვირ-პირი ემანჭებოდა ტყვეს წინასწარვე მწარე ტყვიების მოლოდინში. გასროლა ბრძანა მეთაურმა. სახვრეტად გამწესებული სამი ჯარისკაციდან ვერცერთმა გაბედა სროლა. იდგნენ, მიზანში ყავდათ ტყვე და დუმდა სამივე ლულა.

გაცხარდა მეთაური, უკანასკნელი სი-

ტყვებით დალანდა ჯარისკაცები. ხელახლა ბრძანა და გაისროლა მაშინ სამივემ, მოკვდა მესაყვირე. ქუდებს იხდიდნენ სხვები და ილბალს იწყველიდნენ ის სამნი...

კიდევ პაპროსს მოუკიდა მთხრობელმა მესაფლავემ, განაგრძო ამბავი:

— ერთხელაც ვზივარ ჩემთვის სამესაფლაო ბუდრუგანაში. სამი ჯარისკაცი მომადგა, მიკაქუნებენ, ბარსა მთხოვენ, ნიჩაბს, ნერაქეს, ამხანაგი გეყავსო დასამარხი. ვხედავ, ამათ მკვდარს ამათი მტრის ფორმა აცვია. გამიკვირდა. მაგრამ, აბა, წმინდა საქმეზე უარს რად ვეტყვიდი, მივეც იარაღი, ერთად გავთხარეთ ოთხივემ, ჩავასვენეთ საბრალე მომღერალი და საყვირიც მასთან, მისსავე გულზე დასვენებულნი. რა მიწაც მივაყარეთ, ჩამოვუსხედით იქვე შესვენებად და ეს ამბავი მიამბეს ჯარისკაცებმა, სწორედ ეს სამი ყოფილა უიღბლო მკვლელი უბრალე ტყვისა. გამომარულან უკუქცეული რაზმიდან მესაყვირის საპატრონოდ და მოეყვანათ სანტა ხუსეპინას უახლოს სასაფლაოზე.

— ჰო, მანამდეც მომეკლა, — ამბობდა იმათგან ერთი, — მაგრამ ამისმა მოკვლამ სულიერებით დამცა და დამანარცხა. აღარა მწამს და აღარა მეყურება. მარტო ის ვიცი, ამიერიდან აღარ მოვკლავ, არცერთ გარემოებაში აღარ.

პაპროსებსა ვნევდით ოთხივე, მაშ, რაღას ვიზამდით.

— გიჟი ის იყო თუ ჩვენ ვიყავით გიჟები იმის მაგივრად? ჩვენი ჭკუისა კი იმას ვერაფერი გაეგო და, — თქვა მეორემაც.

ამათ ხომ ადრე მტრების ხოცვა უხაროდ და ეხლა სამარცხვინოდ გახდომოდით მთელი ძველი ვაჟკაცობა და სიჩაუქე.

წავიდნენ ჯარისკაცები სანანალოდ, რაზმს განდგომილნი ამიერიდან, მოლალატენი ერთი ბანაკისა და ჯერაც მტრები მეორისა. რავი, რაღა ქნეს და რა ბედი ენათ... გასაოცარი ამბავი კი რა მოხდა, იცი? მეორე დღით საყვირი მიწიდან გამოცოცებული დამხვდა, საფლავზე ამოსული, პირველივე სავსე მთვარეზე კი სწორედ დღევანდელივით მიმღერა. და ყოველ სავსე მთვარეზე ასეა.

— მერე ვინმე რო მოიპაროს საყვირი?! — ვკითხე, სულ დამაინყვდა რომ ენის ცოდნას არ ვუმხელდი საფლავის მთხრობელს, — აქ რო ტოვებ, არ გეშინია?

— მეჩვენება, რა ვქნა?! — ფრინველისგან ლაპარაკი იკვირვა კაცმა, — მაგრამ ესეც ხომ უკეთესი: ესე იგი, გესმოდა კიდევ და გაიგონე მთელი ნაამბობი. ბიჭოს! — გაუხარდა, — რად ვინმეს მოვაპარვინო ძვირფასი საკრავი? ჩემთან ვინახავ და სავსე მთვარეებზე გამომაქვს ხოლმე. რომც არ გამოვიტანო, სადაცა დევს საყვირი, მესაყვირის სულიც იქვე მიუვა და დაუკრავს, ოღონდ მგონია, საკრავს თვითონაც აქეთ მოუწევს გული, ჰოდა, მეც აქ მომაქვს.

„ესეთი ამბავი იყო სანტა ხუსეპინას“, — თხრობა დაამთავრა ბარნაულის თეთრმა ბუმ.



# ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com